

# ცისკარი.

1 8 6 7

ფ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

*Спасай*

წელიწადი მეთერთმეტე.

წოდება თხზულებათა:

- 1 — იულიუს ცეზარი: (ნათ. დრამა) მ. ყიფიანისა.
- 2 — ქართული სიმღერა. (ლექსი). ი. კერესელიძისა.
- 3 — თოთა. (ოსურის ცხოვრებიდამ.) ან. ფურცელაძისა.
- 4 — სწავლის საჭიროებაზედ. ქრისტ. მამაცაშვილისა.
- 5 — სია 1857 წლის ცისკარზედ ხელის მომწერთა.

---

ტ ფ ი ლ ი ს ს.

კერესელიძის სტამბაში



მოქმედება შესამე.

5.

გამოსვლა პირველი.

კაპიტოლია. სენატის შეყრილობა. შრავალი ხალხი ქუჩაში, რომელიც კაპიტოლიისაკენ შიდის, მათ შორის არიან არტემიდოროსი და მთხრობელი. შემოვლენ ცეზარი, ბრუტუსი, კასიუსი, კასკა, დეციუსი, შეტელიუსი, ტრებონიუსი, ცინნა, ანტონიუსი, ლეპიდესი, პოპილიუსი, პუბლიუსი და სხვანნი.

ცეზარი. აი დადგა იღი მარტისა.

მთხრობელი. მართალია; მაგრამ ჯერ არ გაუყვლია:

არტემიდოროსი. სალამი ჩემს ცეზარს, გთხოვ, წაიკითხო ეს ბარათი.

დეციუსი. ტრებონიუსს სურს, რომ შენ მოცალების დროს წაიკითხო იმისი უმდაბლესი არზა.

არტემიდოროსი. ოჰ, ცეზარო, წაიკითხე პირველად ჩემი, უმეტესად ცეზარის შესახებია. წაიკითხე დიღო ცეზარო!

ცეზარი. რაც ჩემნი შესახებია, იმას შემდგომ მივაპყრობ ყურსა.

არტემიდოროსი. ნუ დასტოვებ საველაინდროთ, წაიკითხე ჩემი ბარათი ეხლავე, ცეზარო!

ცეზარი. გიჟია?

პუბლიუსი. მოეცა გზიდგან ძმობილო.

კასიუსი. რას ირევით არძებით ქუჩაში? წადით კაპიტოლიაში. (ცეზარი შევა კაპიტოლიაში, დანარჩენნი მისდევნენ უკანა. ყველა სენატორები ფეხზე აუდგებიან.)

პოპილიუსი. (ეუბნება კასიუსს.) ღმერთმა ხელი მოგიმართოთ თქვენს საქმეში.

კასიუსი. რომელ საქმეს, რაზედ ამბობ?

პოპილიუსი. მშვიდობით.

ბრუტუსი. რას ამბობს პოპილიუს ლენა?

კასიუსი. ჩვენი საქმის კეთილად აღსრულება ისურვა. მე მემჩინან, ხომ არ გაგვიგეს.

ბრუტუსი. ყური უგდვე: ცეზართან მიდის ისა; თვალ-ყური აღვენე.

კასიუსი. კასკა, ცქეცათ იყავი: ჩვენ გვემჩინან, რომ ჩვენი განზრახვა არ გაეგოთ. ბრუტუს, რა გქნათ? თუ ჩვენი შეპირება გაუგიათ, მაშინ ან მე უნდა დავიღუპო აქა, ან ცეზარი... ოჰ, თავს მოვიკლამ!

ბრუტუსი. კასიუს, მაგრათ იყავი. პოპილიუს ლენა უთუოთ სხვა საგანზე ამბობს; უყურე — იცინის, და ცეზარი სახეში არ შეიცვალა.

კასიუსი. ტრებონიუსმა თავისი ბოლი იცის; შენიშნე; ანტონიუსი ვაიხმო. (ანტონიუსი და ტრებონიუსი მიდიან; ცეზარი და სენატორები თავთავის ადგილს სხდებიან.) სად არის ციმბერი? მისცეს თავისი არზა ცეზარსა ამ საათში.

ბრუტუსი. ის აძლევს არზასა; მივიდეთ ახლოსა, და ციმბერს მხარი მივსცეთ.

ცინა. კასკა, პირველათ შენ უნდა გამოიღო ხელი.

ცეზარი. განა ყველანი შეგროვდნენ? აბა, რა ბოროტება

უნდა მოესპოთ მე და სენატმა?

მეტელიუსი, დიღო, ყოვლად შემძლებელო და უძლიერესო ცეზარო. მე ჩემს ყოვლად ქვეშე ვრდომილსა გულსა შენს ტახტსა ვამონებ.

151 ცეზარი. მე უნდა წინათვე გითხრა, ციმბერო; ნუ დაცოცამ დედა-მიწაზე: პირ-მოთენობა და მონება ასიამოვნებს მხოლოდ მდაბიო ხალხსა, და ბენემის სათამაშოდ გადააცვლევენებს წინათ მოფიქრებულს გადაწყვეტილებასა. ნუ დაჰკარგამ გონებას იმ აზრით, რომ ცეზარის ძარღვეებში იდგეს ისეთი სისხლი, რომლის თვისების გამოცვლაც შეგეძლოს ტკბილის სიტყვით, მიწასთან გასწორებული თავის დაკვრით და ძაღლური მოლაქუცუნავეებით, რომელთაგანაც სულელეობი დაღწებიან ხოლმე. მენი ძმა განაჩენის ძალით არის გაგზავნილი; თუ შენ იმისათვის ქედს იღრეკამ, პირმოთენობ, მთხოვე, მე შენ, როგორათაც ძაღლის ლეკვსა გზიდგან ისე გადაგისვრი. იცოდე, რომ ცეზარი არის სამართლიანი და უმიზეზოთ არა მოუქმედნია რა.

მეტელიუსი. ოჰ, ხომ არაგინ არის აქ იმისთანა, ვისი ხმაცა უფრო სასიამოვნოა ცეზარისათვის, ვიდრე ჩემი, რომ იპატიოს ჩემი გაგდებული ძმა?

ბრუტუსი. გიჟოცნი შენ ცეზარო ხელსა, მაგრამ პირფერობითკი არა, — და გთხოვე, რომ პუბლიუსი დააბრუნო თავისს ქვეყანაში.

ცეზარი. ბრუტუს!

კასიუსი. აპატივე, აპატივე, ცეზარო! კასიუსი დგას შენს წინ დაჩოქილი და გთხოვს აპატივო ციმბერსა.

ცეზარი. მე რომ თქვენს მზგავსი ვყოფილვიყავი, მამინ

მეძღვებოდა ჩემი შერყევა; მე რომ მქონდეს თხოვნის ნიჭი, მამინ თხოვნა მეც მომწყლავდა გულსა; მაგრამ მე ისეთი არა ვარ; მე ვარ უცვალებელი ხასიათისა, როგორათაც ჩრდილოეთის ვარსკვლავი, რომლის მსგავსიც სიმაგრით და შეუცვლელი თვისებითა არა არს რა ცაზე. იქ ბევრია ნათელი ვარსკვლავი, და ყველანი ანთიან, პრწყინვალეებენ, კამკამებენ, მაგრამ უცვალებელია მხოლოდ ერთი მათგანი. აგრეთვე დედა-მიწაზედაცა: ხალხი ბევრია, მაგრამ კაცია სისხლი და ხორცი, ისინი ისე უღონონი არიან! იმათ შორის მხოლოდ ერთს ვიცნობ, რომელიც არის მოუდგომელი, როგორათაც ფრიალო სიმაგრე, რომელსაც ვერაფერი ვერ შეარყევს; ის არის ცეზარი, ამას დაგიმტკიცებთ ეხლავ; ერთხელ გადამიწყევტია ციმბერის აქედგან გაძევება და ჩემს განაჩენს არას დროს არ გამოვეცვლი.

ცინნა. ოჰ, ცეზარო!

ცეზარი. დაიკარგე! შენ გინდა ოლიმპი ადგილიდგან დასძრა?

დეციუსი. დიდო ცეზარო!

ცეზარი. განა შენ ვერ დაინახე, რომ ბრუტუსმა ტყუილათ მოიდრიკა მუხლი?

კასა. მაშ ილაპარაკეთ ჩემს მაგიერათ ჩემო ხელებო! (კასა დასცემს ხანჯალს კისერში ცეზარსა, ცეზარი ხელს სტაცებს ხელში, ამ დროს იმას დაჰკერენ სხვანიც ბევრნი შეპირებულნი და ბოლოს მარკუს ბრუტუსი.)

ცეზარი. შენც აგრე, ბრუტუს! მამ მოკვდი, ცეზარო! (მოკვდება. სენატორები და ხალხი არეულნი ეშურებიან გამოხელასა.)

ცინა. თავისუფლება, თარხნობა! მოკვდა მტარვალი! გასწით და შეატყობინეთ ყველას ქუჩაში.

კასიუსი. გასწით ჩქარა ტრიბუნებისაყენ, ღაიძანეთ თავისუფლება და სითარხნე!

ბრუტუსი. ხალხნო, სენატორებო, ნუ გეშინიანთ, მოიცადეთ, ნუ მირბიხართ! პატივის მოყვარებას ჩვენ გაუქვითლით.

კასკა. ტრიბუნისაყენ, ბრუტუს!

დეციუსი. კასიუსიკ აგრეთვე!

ბრუტუსი. სად არის პუბლიუსი?

ცინა. აქ არის. იმას გონება დაებნა ამ არეულობისგან.

მეტელლიუსი. ერთათ შეეჯგუფდეთ მაგრა! ცეზარის მეგობრები... შეიძლება მოხდეს....

ბრუტუსი. კარგია ერთი, (პუბლიუსს.) ყოჩაღათ იყავი, პუბლიუს, შენსა და ჰრომელების წინამღღვათ ბოროტი განზრანვა არა გვაქვსრა. პუბლიუს, უთხარი იმათ ესა.

კასიუსი. ბერეკაცო, წადი, ხალხმა ჩვენს შემოტყეწში, შენც არა გიყოსრა.

ბრუტუსი. ჰო, გაგეშორდი, რომ ჩვენს გარდა პასუხის გებაში არაინ მიეცეს ამ ჩვენი მოქმედებისათვის. (შემოვა ტრეზონიუსი.)

კასიუსი. ანტონიუსი სად არის?

ტრეზონიუსი. შეშინებული შინ გაიქცა. ქალები, კაცები, ბავშვები. უმეცრულად იყურებიან, მირბიან და ბლავიან თითქო ქვეყანა გაწყდაო.

ბრუტუსი. ბედის-წერავ! შენს სურვილს ჩვენა ენახამთ. ჩვენ ვიცით, სივედილი ვერ აგვცდება, და ხალხი ცდილობს თავის სიცოცხლის ედის მოშატებასა.

კასიუსი. ვინც ოცს წელიწადს მოაკლებს სიცოცხლესა, ის სიკვდილის შიშს ამდენსავე წელს გადაანარჩუნებს.

ბრუტუსი. ეგ თუ ეგრეა, მამ სიკვდილი მოწყალეა არის, ჩვენ ცეზარის შეგობრები ვართ: ჩვენ იმისი სიკვდილის შიშის დროება შევამოკლეთ. მოიდრიყენით, ჰრომაელებო, დავიბანოთ ხელები იმის სისხლში ნიდაყვამდისინ. და იმითი შესერილი მახვილების თავს ტრიალით მივიდრე მეიდანზე და ხმა მალლა გამოვაცხადოთ: მშვიდობა, თარხნობა და თავისუფლება!

კასიუსი. ჰო, ჰო, დაეწოდოთ და დავიბანოთ ხელები! გაივლიან საუკუნოები, და რამდენჯერ იმ სახელმწიფოებში, რომელნიც ჯერ ქვეყანაზე არ გაჩენილან და იმ ენაზე, რომელიც ჩვენ ეხლა არ ვიცით, ტიატრებში ეს სცენა განიმეორება!

ბრუტუსი. და რამდენჯერ სიკვდილი ცეზარისა, რომელიც ეხლა ძევს პომპეიუსის სტატუსის წინა საცოდავად, შეიქნება შესაქცევარი.

კასიუსი. და ყოველთვის ჩვენ დაგვიძახებენ დალუპული თავისუფლების მხსნელებსა!

დეციუსი. ჩვენც წავიდეთ?

კასიუსი. ჰო, ყველანი წავიდეთ: ბრუტუსი გაგვიძღვეს, და გაჰყვებიან იმას უგულითადესი და საუკეთესო ჰრომაელებო-ბთავანნი. (შემოვა მსახური.)

ბრუტუსი. მოიცადეთ, ვინ მოდის? ანტონიუსის მსახურია.

მსახური. ბრუტუს, ჩემმა ბატონმა მიბრძანა მე შენს წინ დავიჩოქო, ფეხქვეშ მოგექცე, და პირქვე დამხობილმა მოგახსენო იმის მაგიერად: „ბრუტუსი არის კეთილშობილი, ბრძენი, გულადი, და პატიოსანი, და ცეზარი იყო ყოველად

შემძლებელი და გამბედავი, ხელმწიფის მსგავსი, და მოსი-  
ყვარული. მე ბრუტუსი მიყვარს და პატივსა ვსცემ, და ცე-  
ზარისა მეშინოდა, მიყვარდა და პატივსა ვსცემდი. თუ მე  
ბრუტუსი ნებას მამცემს, რომ მივიღე იმასთან უშიშრად,  
შესატყობრად რა მიზნით შეიქმნა ღირსი თავის აღსრუ-  
ლებისა, მაშინ მიცვალებული ცეზარი არ შეყვარება მომა-  
ტებულად ცოცხალს ბრუტუსზედ; მიუღრეკელის ერთგულე-  
ბით ანტონიუსი მიჰყვება კეთილშობილს ბრუტუსსა და შე-  
იქნება მონაწილე იმის ბედის წერისა: იმისი შზრუნველობი-  
სა და უცნობარი ვზის შიშისა.“ ესრე ამბობს ანტონიუსი,—  
ბატონი ჩემი.

ბრუტუსი. შენი ბატონი არის ჰევიანი და კეთილშობილი.  
ყოველთვის მე ამ აზრისა ვიყავი იმაზე. გამოგზავნე ის აქა,  
და მიიღებს კმაყოფილებასა: და შემდგომ, გეფიცები, რომ  
იმას შეუძლიან აქედგან უშიშრად დაბრუნდეს.

მსახური. ამ საათში მოვიყვან იმას აქა.

ბრუტუსი. მე ვიცი, რომ ის ჩვენი მგობარი შეიქმნება.  
კასიუსი. ნეტავი ვგრე იყვეს, მაგრამ მაინც კიდევ მე  
იმისი მშინიან. წინასწარ-გრძნობა მე ძალიან მაწუხებს. (შე-  
მოვა ანტონიუსი.)

ბრუტუსი. აი ისა. კეთილი იყოს შენი მოსვლა, ანტონ-  
იუსი!

ანტონიუსი. (მიუბრუნდება მცხედარს.) ოჰ, ძლიერო ცე-  
ზარო, მენ ძეგხარ მცხედრად! და ეგ არის ყოველის ფერი  
რაც ღარჩა შენს გამარჯვებისა, ღიდების და სახელოვანების  
შემდგომ? მშვიდობით! — პატრიციებო, არ ვიცი თქვენი გა-  
ნძრახვა, ვისი სისხლი უნდა დაიღვაროს? ვინ არის აქ ჩვენ-



ში მეტი? ოჰ, თუ მე ვარ, ამაზე უმჯობესი სასჯელის წა-  
მი აღარ იქნება, როგორათაც საათი ცეზარის მიცვალებისა.  
რა იარაღი იქნება ამისათვის თუნდ ნახევარზედ შესწმენი  
იმპედ, როგორადაც მახვილნი გაწუწულნი ამ უძვირფასესი  
და ფრიად კეთილშობილურის ამ ქვეყანაში სისხლით? თუ  
მე სამძიმო ვარ თქვენთვის, გებვეწებით, აღასრულეთ თქვე-  
ნი სურვილი ვიდრე სისხლის ორთქლი ასდის თქვენს ხე-  
ლებსა: თუ გინდ, რომ ათასი წელიწადიც ვიცოცხლო ასე  
განზადებული სასიკვდილოთ არას დროს არ ვიქნები: ყო-  
ველისფერზე საუკეთესოა ჩემთვის აქ სიკვდილი, ცეზარის  
მახლობლად. ისეთი კაცების ხელით, როგორცა ხართ თქ-  
ვენ, საუკუნეში აღრჩეულნი ჭკუისანი!

ბრუტუსი. ანტონიუს! სიკვდილს ნუ ელი ჩვენგანა; თუნდ  
მხოლოდ მისთვის, რაც ჩვენ ეხლა მოვახდინეთ, ხელეშზე რომ  
შემოგვხედო ჩვენ უნდა გგვოხნათ თქვენ შეუბრალებელნი და სის-  
ხლის მწყურვალენი, მაგრამ შენ მხოლოდ ჩვენს ხელებსა ხედამ  
და ამათს სისხლიანს მოკმედებასა; და ჩვენს გულსკი ვერა.  
შებრალება აქვს ჩვენს გულსა, მაგრამ ჰრომის შებრალებამ  
დასჯაბნა, — და ცეზარი ამოიფხვრა. (ესრედ მცირე აღი  
უძლიერესს აღში დაიკარგება ხოლმე). და შენთვის, ანტო-  
ნიუს, ჩვენს მახვილს პირი შეექნება ტყვიისა. — საღამით გა-  
ძლივთ შენ ხელსა; ძმურად, კეთილის სურვილით მიგიღებთ  
ჩვენს საზოგადოებაში.

კასიუსი. ახალი თანამდებებების დარიგებაში მენს ხმას  
ისეთი ძალა ექმნება, როგორათაც ყველას ხმასა.

ბრუტუსი. ეხლა ჩვენ უნდა ხალხს დავამოშმინოთ, რად-  
განაც შიშისაგან წრეს გარეთ არიან გასულნი, და შემდგომ

გიაშობთ რისთვის მოვეყეცი მე ასრე ცეზარსა, თუმცა მიყვარდა იმ წამსაცა, როდესაც დავეცი მე იმას ხანჯალი.

ანტონიუსი. მე შენი სიბრძნის ეჭვი არა მაქვს, თქვენი სისხლიანი ხელები მამეცით მე. ჯერ შენ, ბრუტუს, ახლა—კაიუს კასიუს, შენც დეციუს, შენ მეტელლიუს, შენ ცინნა და გულადო კასკა, ბოლოს ტრებონიუს, უკანასკნელო ხელის ჩამორთმევაში და არა სიყვარულში. მეგობრებო, — ვაჰ! — რა უნდა ვსთქვა მე? თქვენი ნდობა ჩემთან ეხლა არ არის საიმედო, ეხლა თქვენ უნდა გეჩვენოთ ან პირ მოთნედ ან მხლლად. (მაუბრუნდება ცეზარსა). მე შენ მიყვარდი ცეზარო, ეს მართალია, თუ სული შენი გვხედამს ჩვენ ეხლა, განა სიკვდილზე უმეტესად სამწუხარო არ იქნება იმისათვის ყურება იმისი, როგორ ურიგდება შენს მტრებს სისხლიანი ხელის ჩამორთმევით, მარკუს ანტონიუსი? ისიც სადა? უძრავს მცხედარს წინა! დიდო ცეზარო! მე რომ მქონდეს იმდენი თვალი, რამდენიც შენ ტანზე გაქვს იარა, და მე, რომ შემეძლოს ტირილი ისე ძრიელ, როგორათაც იარებიდგან შადრევანივით გადმოდის სისხლი, — ეს უფრო შესაფერი იქნებოდა, ვიდრე შენს მკვლელებთან გაამხანაგება, როგორათაც მეგობარი! მამიტვე მე, ოჰ, იულიუს! როგორათაც ირემი ისე მონადირებული, აქა ხარ წაქცეული, და აქვე მონადირეები, რომელთაც ნანადირევი შენა ხარ, დგანან გაწუწულები შენის სისხლით. ქვეყანა ტყე იყო ამ ირმისათვის, და ის ირემი იყო გული ქვეყნისა. ოჰ ცეზარო, რა ნაირადა ჰგევხარ ირემსა, რომელიცა მფლობელთა ძირს დასცეს.

კასიუსი. ანტონიუს!

ანტონიუსი. მომიტევე მე, კაიუს კასიუს, ამას ცეზარის მტრებიც იტყვიან: ამისთანა გრძნობა მეგობრისათვის არ არის მოქარბებული!

კასიუსი. ცეზარის ქებისათვის მე უნ არ გადაგებ; მაგრამ მითხარი რა გვარად გვიამხანაგდები უნ ჩვენა: როგორც მეგობარი, თუ ჩვენ უნდა წავიდეთ ჩვენს გზაზე უნგან მონაწილეობის მიუღებელნი?

ანტონიუსი. მე თქვენთან პირობის შეკერის ნიშნათ მოგვით თქვენ ხელი. მაგრამ უცეფ რომ შეევხედე ცეზარსა, გულის ხმა დაეკარგე. ჰო, მე ვარ თქვენი მეგობარი, და მე თქვენ მიყვარხართ, იმის იმედით, რომ მე თქვენ ამიხსნით — როგორ და რით იყო სწამი ცეზარი?

ბრუტუსი. აგისხნით; თუ არა და ეს ჩვენი მოქმედება გეჩვენებოდა მხეცურად. მიზენი, რომელთაც გვაქმნენ ისა, ისე შესაწყნარებელნი არიან, რომ უნ თუ ცინდ შეილი იყვე ცეზარისა, მწმინაც საკმაო იქნება უნს დასარწმუნებლად.

ანტონიუსი. ჩემთვის სხვა არაფრის შეტყობა არა არისრა საკორო, ამასა გთხოვეთ კიდევ, რომ მამეცით ნება წავილო მცხედარი შეიდანზე და ტრიბუნდგანა ესთქვა მე სიტყვა ამის მიცვალეზაზე, როგორც შეშენის მეგობარსა.

ბრუტუსი. ინებეთ ანტონიუს.

კასიუსი. ბრუტუს, ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი!! (იქით) უნ თვითონ არა იცი, რას ჩადიხარ; ნუ მისცემ ნებასა, რომ მცხედარზე სთქვას რამე. აბა ჯერ ის იფიქრე, რომ რა რიგათ ააღვლევეს მარკუს ანტონიუსი, ხალხსა თავისი სიტყვითა.

ბრუტუსი. ნუ შესწუხდები, კასიუს. მე თვითან ავალ

პირველათ ტრიბუნზე და ცეზარის მოკვლის მიზნებს აუხსნი ყველასა; ვეტყვი, რომ მარკუს ანტონიუსი იტყვის სიტყვას ჩვენის ნება დარჩევით და ჩვენ თვითონ გვსურს აღვასრულოთ ჩვეულებრივი წესი და მიცვალებულს მივცეთ ღირსეული პატივი. ეს ჩვენი სასარგებლო უფრო არის და არა საენებელი.

კასიუსი. არ ვიცი, რა იქნება. მაგრამ ეგ ჩემებული არ არის.

ბრუტუსი. აი, წაიღე ცეზარის გვამი, ანტონიუს, მაგრამ დასაფლავების სიტყვა, როდესაცა სთქვა, ჩვენ არ გავგლანძლო; და ცეზარი აქე როგორც გინდა. სთქვი, რომ იმას ყოველისფერს მოქმედებ ჩვენის თანხმობით, თუ არა და დასაფლავებაში შენ არ მიგაღებინებთ მონაწილეობასა. შენ უნდა ილაპარაკო იმ ტრიბუნიდგან, რომელზედაც ავალ მე ეხლა, და მხოლოდ მანინ დაიწყოფ შენა, როდესაც მე გავათავებ ჩემს სიტყვასა.

ანტონიუსი. აგრე იყვეს. ჩემთვის მაგზე მეტი არა არის-რა საჭირო.

ბრუტუსი. მამ ვგრე, მცხედარი შენ მოამზადე და შემდგომ შეგვატყობინე ჩვენა. (ანტონიუსის გარდა ყველანი გავლენ.)

ანტონიუსი. მამიტევე მე, სისხლიანო მიწის გუნდა, რომ მე აღერსიანად ვეკცევი შენს მტარვალებსა. გვამო უკეთილშობილეს კაცთაგანო, რომელნიც თუ ოდესმე ყოფილან ქვეყანაზე! ოჰ, ვაი იმ ხელის ბრალი, რომელმანც დაღვრა ეს უძვირფასესი სისხლი! ეხლა მე ვსწინასწარმეტყველეფ შენი სხეულის დაჭრილობაზე, რომელთაცა მუწჯის ტუჩების

მსგავსად, გაუღიათ აღისფერი ტუჩები და მიხრევენ მე ხმა-  
სა და სიტყვასა. — ხალხის ასოს განმეხავს წყევა; შინაური  
და სამოქალაქო ომი, უწყალოდ მოეგზნება ყოველს იტა-  
ლიეთის კუთხესა. სისხლის ღერა ქლევთა შეიქნება ისე ჩვე-  
ულებრივი და სწინელება ისე ყველასი ნაცნობი, რომ მშო-  
ბლები ღიმილით დახედვენ თავის შეილებს, გაგლეჯილებს  
ომში. შებრალებას აღმოუხრავს მხეცური ჩვეულება, სული  
ცეზარისა, სისხლის ასაღებად, ჯოჯოხეთის გეკატით მოვა  
და მოუხმობს თავის ხელმწიფურის ხმით აქა მოსამუსრავად,  
ის აუშვებს ომის ძალებსა, და სწინლარი კაცის-ყელა მო-  
ურბენს მთელს მიწის ზურგსა სუნით ადამიანის მძორისა,  
რომელშიც დასაფლავებისათვის იქმნებიან მკენესარნი! (შემო-  
ვა მსახური.) შენ ემსახურები ოკტავიუსსა?

მსახური. სწორეთ აგრე განლავს, მარკუს ანტონიუს.

ანტონიუსი. ცეზარმა დაიბარა ისა ჰრომში?

მსახური. ჰო, ის წიგნები ოკტავიუსმა მიიღო; ეხლა ის  
მოდის; იმან მიბრძანა სიტყვიერად კითხრა შენა... (დაინახავს  
ცეზარის გავსა.) ოჰ. ცეზარო!

ანტონიუსი. გული მოგიკვდა შენა? მაშ მიდექ იქითა და  
იტრე. მე ვხედამ, მწუხარება შესაყარია: შენს ცრემლს  
რომ ვხედამ, მეც თვალები შემისეფლდა. — მაშ შენი ბატო-  
ნი მოდის?

მსახური. ის ამაღამ იქნება შეიღს მიღზე (\*) ჰრომიდგან.

ანტონიუსი. მაშ გაემურე უკანვე იმასთან და შეატყობინე  
ამბავი, რაც მოხდა. ჰრომია მწუხარებაში, ჰრომია აღშფოთებაში:  
ჰრომია უბედურებაში ის ოკტავიუსისთვის ეხლა საშიშია; უთხარი

(\*) ორმოც და ცხრა კენი.

ეს იმას! ან მოიცადე; ჯერ მე გადავიტან შეიდანზე მცხედარსა, ვიტყვი იქ სიტყვასა და გაწმინჯამ ხალხს რა აზრი აქვს ამ სისხლის მსმელების შეუბრალებელ მოქმედებაზე. მაშინ ნამდვილს საქმის მდგომარეობას შენ იმას შეატყობინებ. — მამე-ხმარე შენა. (გაეღვენ და გაიტანებენ ცეზარის გვამსა.)

### გამოსვლა მეორე.

ფორუმი. შემოვლენ ბრუტუსი, კასიუსს და ჯგუფად მოქალაქეები.

მოქალაქეები. ჩვენ ვითხოვთ განრკვევასა. განგვირკვიეთ ჩვენ საქმე?

ბრუტუსი. მამ წამომყევით მე ჩემო მეგობრებო, და მოისმინეთ ისა, რაც მე თქვენ ვითხრათ. გავიწილოთ კასიუსს, შენ წადი სხვა მხარეზე. ისინი, ვისაც უნდა ჩემი ყურის გდება, აქ დარჩნენ, სხვანი კასიუსს გაჰყვებიან და ჩვენ ყველამ ხალხს ჩავაბაროთ ანგარიში ცეზარის სიკვდილისა.

პირველი მოქალაქე. მე დაუგდებ ყურს ბრუტუსსა.

მეორე მოქალაქე. მე გავჰყვები კასიუსსა; შემდგომ იმათი ნათქვამი მიზეზები შევაფარდოთ, როდესაც იტყვიან ისინი. (კასიუსი გავა ზოგიერთი მოქალაქეებით. ბრუტუსი ავა ტრიბუნზე.)

მესამე მოქალაქე. აი კეთილშობილი ბრუტუსი ავიდა. ჩუმათ იყავით!

ბრუტუსი. ბოლომდინ იყავით მოთმენით. ჰრომაელნო, თანა მოქალაქენო ჩემნო, მეგობარნო! მოისმინეთ ჩემი თავის-მართლება და ჩუმათ იყავით, ვიდრე არ მოისმინოთ

სრულად. მერწმუნეთ მე, ჩემის პატიოსნებისათვის, და გქონდესთ პატივისცემა ამ პატიოსნებისა, რომელიც თქვენ შეგიძლიანთ დაერწმუნოთ; განსაჯეთ ჩემი მოქმედება, როგორც გასჭრას თქვენმა გონებამ, დაატანეთ ძალა თქვენს გრძნობას საქმის უკეთესად განსჯისათვის. თუ ამ კრებაში არის ვინმე ცეზარის გულითადი მეგობართაგანი, მე იმას ვეტყვი, რომ მე იმაზე უფრო მეტად მიყვარდა ცეზარი და არა ნაკლებად. თუ მკობხამს მე, რისთვის შეიქმნა ბრუტუსი ცეზარის წინააღმდეგი, ამაზე მე იმას ვუპასუხებ: იმისათვისკი არ შევიქენი წინააღმდეგი, რომ ცეზარი მიყვარდა ნაკლებად, არა, მხოლოდ იმისთვის, რომ ჰრომი მიყვარდა მე ცეზარზე მომეტებულად. რა უფრო გინდოდათ თქვენა; ცეზარი ყოფილიყო კოცხალი და დახოცილიყენენ ყველანი მონების ქვეშა, თუ ის გენახათ მკედარი და ყველანი ყოფილიყენენ თავისუფალს ცხოვრებაში? ცეზარს მე უყვარდი — და მე ვტირი იმისათვის; ის იყო ბედნიერი და მოხარული ვარ ამისი, ის იყო ქველი, და მე თაყვანსა ვსცემ იმასა; მაგრამ ის იყო უფლების მოყვარე, და მე მოგვალი ისა. აქ არის კრემლი იმის სიყვარულისათვის, პატივისცემაც იმის სიქველისა, და სიკედლიც იმისი უფლების მოყვარეობისათვის. ვინ არის თქვენში ისეთი სულით მდაბალი, რომელსაც სურს მონად ყოფნა? თუ არის ვინმე აქ ამისთანა კაცი, სთქვას; ამისათვის რომ მე ვაწყენინე იმასა. ვინ არის თქვენს შორის ისეთი ბრიყვი, რომელსაც არ უნდოდეს ჰრომაელად ყოფნა? თუ არის ვინმე ამისთანა კაცი — ხმა ამოიღოს: იმას ვაწყენინე მე. ვინ არის აქა ისეთი უკადრისი ადამიანი, რომელსაც არ უყვარს თავისი მამული? თუ თქვენს შორის არის ისეთი კა-

ცი — ხმა ამოაღოს: მე ვაწყენინე იმასა. პასუხს ველი.

მოქალაქეები. მაგისტანა ჩვენში არავინ არის, არც ერთი, ბრუტუს! (მრავალი ხმა ამბობს ერთად.)

ბრუტუსი. მაშასადამე მე არავისთვის არ მიწყენინებია. მე უყავი ცეზარს ისა, რასაც თქვენ უზამდით ბრუტუსსა. ცეზარის სიკვდილის მიზნები ჩაწერილნი არიან კაპიტოლიაში: დიდება, რომლისაც ღირსი იყო ისა, იქ არ არის დამცირებული; დანაშაული რისთვისაც ის მოკვდა — არ არის განცხობვლელთა (შემოვლენ ანტონიუსი და სხვანი, და შემოიტანებენ ცეზარის გვამსა.) აი იმისი გვამი, რომლისათვისაც ცრემლსა ღვრის მარკუს ანტონიუსი; თუმცა იმას არ მიუღია მონაწილეობა ცეზარის მოკვლაში, მაგრამ ისარგებლებს კეთილმოქმედებით, რომელიც წარმოსდგება იმის სიკვდილისაგან; ის მიიღებს რესპუბლიკაში ადგილსა ისე, როგორათაც მიიღებს ყოველი თქვენგანი. მე ვათავებ. ჰრომის სიკეთისათვის მე მოვკალი ჩემი საუკეთესო მეგობარი; ეს ხანჯალი იყევს სახმარებელი ჩემთვისაცა, თუ ჩემი სიკვდილი შეიქნება საჭირო ჩემი მამულისათვის.

მოქალაქეები. იცოცხლე, იცოცხლე!

პირველი მოქალაქე. ჩვენ გავაცილოთ ისა სახლამდინ მრეობით.

მეორე მოქალაქე. სტატუია დაუდგათ ჩვენ წინაპართ სტატუებთან.

მესამე მოქალაქე. დეე! ეგ შეიქმნეს ცეზარად.

მეოთხე მოქალაქე. გვირგვინოსან ვჰყოთ ბრუტუსი სრულიად მით, რითაც იყო ცეზარი განთქმული.

პირველი მოქალაქე. ჩვენ ყვირილითა და ქლივილით



გავაცილოთ ეგ სახლამდისინ.

ბრუტუსი. თანა-მოქალაქენო!

მეორე მოქალაქე. მოიცადეთ, დაჩუმდით! ბრუტუსი ლაპარაკობს.

პირველი მოქალაქე. ეი, ნელო!

ბრუტუსი. თანა-მოქალაქენო, მამეცით ნება წავიდე მე მარტოკა; მე გთხოვთ — დარჩით ანტონიუსთან მიცვალბულის უკანასკნელი ფალის გადასახდელად, და ამასთანავე, სიტყვის მოსასმენლად, რომელსაც ანტონიუსი იტყვის ჩვენის თანხმობით ცეზარის შესამკობლად ამის გვამზე. მე გებეწვებით, ნუ წახვალთ, ვიდრე არ გაათავებს.

პირველი მოქალაქე. დადექით, ეი! ყური უგდოთ, რას იტყვის მარკუს ანტონიუსი.

მესამე მოქალაქე. დეე, ტრიბუნაზე ავიდეს: დაუგდოთ ყური. ადი რალა, უკეთილშობილესო ანტონიუს.

ანტონიუსი. გმადლობთ თქვენ ყველას ბრუტუსის მაგივრად.

მეოთხე მოქალაქე. რას ამბობს ეგ ბრუტუსზე?

მესამე მოქალაქე. ეგ ყველას ბრუტუსის მაგივრად მადლობას გვეუბნება.

მეოთხე მოქალაქე. მე ურჩევ, რომ ბრუტუსზე ცუდს ნურაფერს იტყვის.

პირველი მოქალაქე. ეს ცეზარი მტარვალი იყო.

მეოთხე მოქალაქე. მამ არა და! სწორეთ ვერეა. ჩენი ბედია, რომ ჰრომი გადარჩა ცეზარსა!

მესამე მოქალაქე. დაჩუმდით; ყური დაუგდოთ, რას იტყვის მარკუს ანტონიუსი.

ანტონიუსი. თანა-მოქალაქენო!

მოქალაქეები. გაჩუმდით, სუ!

ანტონიუსი. ჰრომეილნო, მეგობარნო, თანა-მოქალაქენო! გთხოვთ ყურის გდებასა. მე მოვედი ცეზარის დასასაფლავებლად, და არა საქებრად. ადამიანის ცუდი საქმეები იმის სიკვდილამდე განჰქარდებიან ხოლმე, და ყოველივე სიკეთე, რაც იმათ უქმნიათ სიცოცხლემი, ხშირად დაიმარხება ხოლმე სამრავემი, იმათ ძვლებთან. აგრეთვე აღესრულა ცეზარსა. თქვენ ბრუტუსმა გითხრათ, რომ ცეზარი იყო უფლების მოყვარე: ეს თუ მართალია, — მძიმე დანაშაულია, და იმისათვის სასტიკად დაისაჯა! მე ბრუტუსისა და სხვების ნება-დართვით (ბრუტუსი პატიოსანი კაცია, და ისინიც ყველანი პატიოსანნი ხალხნი არიან), მოვედი სიტყვის სათქმელად ცეზარის გემს წინ, ის იყო ჩემი გულითადი მეგობარი, მართალი მეგობარი, მაგრამ ბრუტუსმა სთქვა; „ის იყო უფლების-მოყვარე“. და ბრუტუსი, უეჭველად, პატიოსანი კაცია. ცეზარმა ჰრომში მოიყვანა მრავალი ტყვე, რომელთაც დახსნილი ფულით ხაზინა გაამდიდრა; ეს ხომ არ არის იმისი უფლების-მოყვარება? საწყალი ხალხის დრტეინვის დროს, ცეზარიც სტიროდა ხოლმე: ასე გულჩვილი არ იქნებოდა უფლების მოყვარე კაცი. მაგრამ ბრუტუსმა სთქვა: „ის იყო უფლების მოყვარე“, და ბრუტუსი, უეჭველად, პატიოსანი კაცია. თქვენ ნახეთ ლუპერკალიუსის დღეობას მე იმას სამჯერ მიუტანე გვირგვინი და სამჯერვე მიღებისა უარი სთქვა: დაეიჯერო ესეც უფლების მოყვარება არის? მაგრამ ბრუტუსმა სთქვა, ცეზარი უფლების მოყვარე არისო, და ბრუტუსი, უეჭველად, პატიოსანი კაცია. მე ამას იმისათვის

კი არ ვამბობ, რო დავარღვიო ბრუტუსის ნათქვამი, მე ვამბობ მხოლოდ იმასა რაც ვიცი. თქვენ ხომ გიყვარდათ ცეზარი, — რადგანაც ღირსი იყო, — მამ რა გაბრკოლებთ, რომ არა სტირით იმისათვის? ოჰ, კეთილ გონიერებავე! შენ განივლტე მხეცებთან, და ხალხმა თავისი გონება დაჰკარგა. მოიცადეთ, გული მომაბრუნებინეთ. გონება ცეზარს ჩაჰყვა კუბოში, დროებით მე უნდა გაფწყვიტო სიტყვა, ვიღრე ისევ არ დამიბრუნდება....

პირველი მოქალაქე. მე მგონია ამში ბევრი მართალი იყვეს.

მეორე მოქალაქე. ჰო, რომ განესაჯოთ საგანი როგორც რიგია, აღმოჩნდება, რომ ცეზარს სამინლად შეუბრალებლად მოქცევიან.

მესამე მოქალაქე. მე მემინიან, რომ ცეზარის მაგივრად-დადგება, — უარესი კაცი.

მეოთხე მოქალაქე. გაიგონეთ თქვენა, ცეზარს არ უნდოდაო გვირგვინის მიღება? ოჰ, ცხადია, რომ ის არა ყოფილა უფლების მოყვარე.

პირველი მოქალაქე. ეს თუ გამართლდა, მაშინ ბევრს მოხედება.

მეორე მოქალაქე. საწყალია ეს მარკუს ანტონიუსი! თვალები დასწითლებია ცრემლისაგანა.

მესამე მოქალაქე. ჰრომში არ არის მაგაზედ უკეთილშობილესი კაცი.

მეოთხე მოქალაქე. სუ ყური დაუგდეთ ლაპარაკს აპირებს. ანტონიუსი. გუმინ ერთის შემძლებელის სიტყვით ცეზარს შეეძლო მოეწოდნა მთელი ქვეყანა საომრათა: ეხლაჲი აი

აქა ძეგს, და არაინა გრძნობს თავის თავსა ისე კნინად, რომ პატივი სცენ ამასა! ოჰ, მეგობარნო! მე რომ მინდოდეს თქვენი გონების გახელება და თქვენი გულის აღელვება და გაბრაზება — მე მშინ ბრუტუსსა და კასიუს ვაენებლი, მაგრამ თქვენ ყყელამ იციოთ, რომ ისინი პატიოსანი ხალხნი არიან: რათ უნდა ვაენო იმათა? არა. მე ვამჯობინებ უმაღლეს ვაწყენინო ცეზარსა, ჩემს თავსა და თქვენა, ვიდრე უმტრო ისეთს პატიოსანს ხალხსა. მაგრამ აი ცეზარის ბეჭდით და ბეჭდული საწერი ტყავი, რომელიც ვიპოვეთ ცეზარის ოთახში: თქვენ რომ გაგეგონათ რა სწერია ამაზე, — არ წაგიკითხამთ, უკაცრავათ, — თქვენ მივარდებოდით მოკლულს იარების დასაკოცნელად; იმის განსაკუთრებით პატიეს-საცემელს სისხლში დასველებდით ხელცახოცებსა; ცეზარის მოსაგონებლად თმას მაინც ითხოვდით. და თქვენის ანდერძით, იმ თმას თქვენს შთამამავალთ, როგორათაც უძვირფასეს საჩუქარს, ისე უანდერძებდით.

მეოთხე მოქალაქე. ჩვენ გვინდა გავიგონოთ ანდერძი. წაიკითხე ანტონიუს.

მოქალაქეები. ანდერძი! წაიკითხე, რალა, ანდერძი, ანტონიუს!

ანტონიუსი. მოთმინება, მეგობრებო! — მე არ უნდა წაიკითხო, არც არის საჭირო თქვენც იცოდეთ, რა ნაირათ უყვარდით თქვენ ცეზარსა: თქვენ ქეები ხომ არა ხართ, ხეები არა ხართ, თქვენა ხართ ხალხნი; როგორათაც ხალხსა, ეს აგანთებთ, კჳუაზე შეგშლით თქვენა; სჯობს არ იცოდეთ, რომ თქვენა ხართ იმისი მემკვიდრები: თქვენ, რომ ეს იცოდეთ... მშინ რა მოხდებოდა?!

მეოთხე მოქალაქე. წაიკითხე, წაიკითხე, ანტონიუს. ჩვენ გესურს შევიტყოთ, რა სწერია ანდერძში; შენ უნდა წაგვიკითხო ანდერძი. წაიკითხე!

ანტონიუსი. გთხოვთ, მოიცადეთ, მოითმინეთ: მე შევსცადი, რომ მოვიხსენე ცეზარის ანდერძი: მე მეშინიან, რომ ამითი ვაფნე მე პატროსანს ხალხსა. იმის მკვლელებსა... ოჰ, მეშინიან ამისი.

მეოთხე მოქალაქე. მოლალატენი არიან-ის პატროსანნი ხალხნი!

მოქალაქეები. ანდერძი! ანდერძი წაიკითხე!

მეორე მოქალაქე. უკეთურნი არიან ისინი. კაცის-მკვლელები! ანდერძი! ანდერძი წაიკითხე!

ანტონიუსი. თქვენ ძალას მატანთ, რომ წაგიკითხო...--მამ შემოგხეივით გარემემო მცხედარსა და მამცით მე ნება გაჩვენოთ მოანდერძე. შემძლია ჩამოვიდე? მამცემთ მე ძირს ჩამოსვლის ნებასა?

მოქალაქეები. ძირს ჩამოდი.

მეორე მოქალაქე. ჩამოდი.

(ანტონიუსი ჩამოვა ტრიბუნიდგან). (\*)

მესამე მოქალაქე. თუ გსურს შევიძლიან.

მეოთხე მოქალაქე. შემოგხეივით გარემემო და.

პირველი მოქალაქე. კუბოზე მომორებით, ჩამოეცალეთ მცხედარსა!

მეორე მოქალაქე. ადგილი. კეთილშობილ ანტონიუსისათვის.

(\*) ტრიბუნი არის ამაღლებული ადგილი საიდანაც ლაშარკობენ სასაღსოთ სასულმწიფოს წარმომადგენელნი პირნი, სადაც წარმომადგენელთათი მმართველობაჲსი არის. რქდ.

ანტონიუსი. გთხოვთ ნუ მამაწვეებით მე, მიიწიეთ.

მოქალაქეები. უკან! ადგილი დაუცალეთ! უკან დაიწიეთ!

ანტონიუსი. თქვენ თუ ცრემლი გაქვსთ,—მოემზადეთ იმის დასადგრებად. ამ პლამჩის იცნობთ თქვენა, ასე გამინჯვით დღეცკი მახსოვს მე, როდესაც პირველათ ჩაიცვა ესა ცეზარმა. ეს იყო კარავები, ზაფხულის საღამოზე,— იმ დღეს საქმურად დამარცხა ცეზარმა ნერვიენელები. — უყურეთ ამასა. აქ კასიუსის ხანჯალმა გამოჰყო წვერი, რამოდენათ გაფლითა გულ-პილწმა კასკამ! აი აქ შესცა ხანჯალი ბრუტუსმა.... როდესაც თავისი წყეული რკინა სხეულიდგან ამოაძრო, აი ნახეთ რა ნაირად გამოხეტქა ცეზარის სისხლმა აქედგანა, ათიქო კარებიდგანა, იმის შესატყობრად — დავიჯეროვო ბრუტუსი ასე გაბედვით კარებს ურახუნებსო. ბრუტუსი — თქვენც იცით იმის საყვარელი კაცი იყო,—ოჰ ღმერთნო! თქვენ ხართ მოწამენი, როგორ უყვარდა ცეზარს ისა; და ყველაზე უსაშინელესი დაკრულთაგანი იყო იმისი დაკრა: როდესაც ნახა ცეზარმა, რომ ბრუტუსიც იმისი წინააღმდეგია, ამ უმადურებამ უფრო მოსწყეიტა ისა, ვიდრე მოლაღატების ხანჯალმა: იმას გული გაუსკდა და პომპეიუსის სტატუიას ქვეშ, რომლიდგანაც იმისი სისხლი სდიოდა, პლამჩით პირ მოფარებული დიდი ცეზარი მოკვდა.ოჰ მოქალაქენო, საშინელია ეს სიკვდილი! ცეზართან მეც და თქვენც ყველანი დავმცირდით და ჩვენ დაგვამცრო სისხლმოსილმა ღალატმა! თქვენ სტირით, თქვენ გული მოგიკვდათ—მე ვხედამ—თქვენში გაიღვიძა შებრალების გრძნობამა,—მმვენნიერია ეგ ცრემლი... ოჰ, კეთილ გულისანო! თქვენა ნახეთ მხოლოდ ერთი ცეზარის დაგლეჯილი ტოგა (წამო-

სასხამი)— და სტირით; აბა აი შეხედეთ, თვითონ მუხთლურად დაჭრილი წვეს!

პირველი მოქალაქე. ოჰ, შესაბრალებელი შესახედავია!

მეორე მოქალაქე. ოჰ, კეთილშობილო ცეზარო!

მესამე მოქალაქე. უბედურო დღევ!

მეოთხე მოქალაქე. მოღალატენო, ბოროტნო!

პირველი მოქალაქე. ოჰ, სწარელი სანახავია!

მეორე მოქალაქე. ჩვენ ამოვიგოთ, სისხლი ამოვიგოთ? წვიდეთ, დავსწვათ, დავანაცროთ, დავბოცოთ, ამოვსწვიტოთ, ნურც ერთი მოღალატე ნუ დარჩება ცოცხალი!

ანტონიუსი. მოიცადეთ, თანა-მოქალაქენო.

პირველი მოქალაქე. სუ! დაუგდოთ ყური კეთილშობილს ანტონიუსსა.

მეორე მოქალაქე. ჩვენ უგდოთ მაგას ყური, მაგას წაეჭყვეთ, მაგასთან დავიბოცოთ!

ანტონიუსი. საყვარელნო და კეთილნო მეგობარნო! მე არ მინდა თქვენ ავალღვოთ მაგისთანა მსწრაფლი აღშფოთებისათვის. ეს კაცის კვლა მოუხდენიათ პატიოსან ხალხსა, და მე—ვაჰ!—არ ვიცი, რა წყენა ჰქონდა ცეზარსა მაგათთანა, რომ ამისთანა საქმე მოახდინეს; მაგრამ, ისინი კვიანნი და პატიოსანი ხალხნი არიან, და ეგონეფ, თვითონ მოგცემენ ამისს ცხადს პასუხსა. მე იმისათვის არ მოვსულვარ, რომ ჩემის სიტყვით თქვენი გული ავიყოლიო, მე ხომ—ორატორი არავარ,—მე ის არა ვარ, რაც არის ბრუტუსი,— თქვენ მე მიცნობთ: მე ვარ კაცი უწმამო, სწორე, ჩემი მეგობრის მოსიყვარულე, ეს იციან სრულიად იმათაც, ვინც სახალხოთ მომცეს ნება ცეზარზე ლაპარაკისა. არც მახვილ

გონიერება, არც მეტყველების ნიჭი, არც სხეულის მიხერა-  
მოხერა, არც უაღრესობა და მნიშვნელობა, არც სიტყვის  
ძალა არა მაქვს, რომ შემეძლოს ხალხის სისხლის აღგზნება.  
მე ეამბობ მხოლოდ იმასა, რაც მართალია, რაც თვითონ  
თქვენ უჩემოთაც იცით, მე თქვენ გაჩვენებთ ცეზარის წყლ-  
ულებსა, მუნჯს, საწყალს ტუჩებსა და ესთხოვე იმას ჩემს  
მაგიერად ილაპარაკონ. აი, მე რომ ბრუტუსი ვიყვე, და  
ბრუტუსი ანტონიუსად შეიქმნეს, მაშინ მე სიტყვით შემეძლო  
თქვენი ცული ამეფოთებინა, ჩაუღვამდი ყოველს წყლულს  
ენასა, რომელიც ჰრომის ქვებსაცკი მოახდევინებდა აღმოფო-  
თებასა!

მოქალაქეები. ჩვენ მოვახდენთ არეულობას!

პირველი მოქალაქე. დაესწვათ ბრუტუსის სახლი.

მესამე მოქალაქე. მამ წავიდეთ შეთქმულების მოსაძებრად!

ანტონიუსი. მოიცადეთ, მათქმევინეთ, თანა-მოქალაქენო.

მოქალაქეები. სუ! სუ! რას იტყვის უკეთილშობილესი  
ანტონიუსი?

ანტონიუსი. მეგობარნო ჩემნო, თვითონ თქვენც არ იცით  
რისთვისაც გაგულისდით. მითხარით? რითი შეიქმნა ცეზარი  
თქვენის მოწყალების ღირსი? თქვენ არ იცით? მამ, მე გე-  
ტყვით თქვენა: ანდერძივი დაგავიწყდათ!

მოქალაქეები. ოჰ, მართლა... ანდერძი... მოიცადეთ, მო-  
ვისმინოთ რა სწერია ანდერძში.

ანტონიუსი. აი აქ არის ისა, ხელმწიფის ბეჭდით დაბეჭ-  
დილი: ამითი უანდერძნია სათითაოთ ყოველი ჰრომის მო-  
ქალაქეებისათვის სამოცდა თხუთმეტი დრახმი.

მეორე მოქალაქე. ცეზარო! ოჰ, უკეთილშობილესო! ჩვენ



გაღუხდით სამაგიეროს იმის მოკვლისათვის!

მესამე მოქალაქე. ხელმწიფეთ მსგავსო ცეზარო!

ანტონიუსი. გაიგონეთ დანარჩენიც მოთმინებითა.

მოქალაქეები. ნელა!

ანტონიუსი. ამას და გარდა ცეზარი გიტოვებთ თქვენა თავისს სასეირნო ადგილებსა, საზაფხულო სადგომებსა და ბაღებსა გამოლმა. იმან გიანდერძათ ესე ყოველივე თქვენა საშვილიშვილოთ — სამარადისოთ. ისეირნეთ, და ილხინეთ და შეეკეცით! აი როგორი იყო ცეზარი. როდისღა უნდა მოვესწროთ ჩვენ სხვას იმის მზგავსსა?

პირველი მოქალაქე. ოჰ, ვერას ღროს! წავდგეთ წინა, წინა! ჩვენ იმისი გვამი დავსწვათ სამღრთო ადგილასა და ნაგუზლებით მოუყიდოთ ცეცხლი მოღალატების სახლებსა. ასწიეთ მცხედარი!

მეორე მოქალაქე. ცეცხლი!

მესამე მოქალაქე. აბა დაამტერიეთ სკამები!

მეოთხე მოქალაქე. დაამტერიეთ სკამები! დაამტერიეთ ფანჯრები, — ყოველისფერი!

(მოქალაქეები გავლენ და გაიტანებენ ცეზარის გვამსა.)  
ანტონიუსი. ეხლა — დევსხენ ამათ! ანღრეულობავ, შენ ფეხზე დგეხარ; შენ შეუტეე საითაც გენებოს.

(შემოვა მსახური) რას იტყვი შენა?

მსახური. ოკტავიუსი ჰროშშია.

ანტონიუსი. სად ჩამოხტა?

მსახური. ისა, ცეზარის სახლში. ლეპიდესიც იმასთან არის.

ანტონიუსი. ეხლავ მივდივარ იმასთანა; ის ძალიან კარგს ღროს მოსულა ჰროშში. ეხლა ბედის-წერა ქეიფუზედ არის:

ყოველისფერში ხელს გვიმართამს.

მსახური. ოკტავიუსი ამბობს, რომ ბრუტუსი და კასკა ჰრომის კარებს გარეთ მიაჭენებდნენ ცხენებსა, როგორათაც უგუნურებიო.

ანტონიუსი. აგრე იქნება; იმათ გაიგეს, რა რიგათ ავამფოთე მე ხალხი. წამიყვანე მე ოკტავიუსთანა. (გაველენ).

გამოსვლა მესამე.

ქუჩა. შემოვა ცინნა, პოეტო.

ცინნა. მე წუხელის სიზმარში ენახე, თითქო ცეზართან ვსწევდი ქეიფსა. გონება ისე აღელვებული მაქვს: მე არიფრად მენახისება ჰრომის კარებს გარეთ გასვლა, მაგრამ გული ისე მიიწევს აქედგანა. (შემოვლენ მოქალაქეები.)

პირველი მოქალაქე. რა გქვიან შენა?

მეორე მოქალაქე. საით მიხვალ?

მესამე მოქალაქე. სადა სდგენარ?

მეოთხე მოქალაქე. უცოლო ხარ, თუ ცოლიანი?

მეორე მოქალაქე. ყველას მიეცი პასუხი, და სწორეთ.

პირველი მოქალაქე. და მოკლედ.

მეოთხე მოქალაქე. და ჭკუიანად.

მესამე მოქალაქე. მართალი სთქვი, თორემა!

ცინნა. რა მქვიან? სად მივდივარ? სადა ვსცხოვრებ? ცოლი მყამს თუ უცოლო ვარ? პირდაპირ პასუხი მივსცე ყველასა; მოკლედ და ჭკუიანად. ვსთქვა მართალი. ვიტყვი ჭკუიანად: მე უცოლო ვარ.

მეორე მოქალაქე. მაგითი შენ თითქო ამბობ, რომ ყვე-

ლანი ცოლიანები სულელები არიან. შენ ეი, მაგისათვის მე შენ ჭიმუნჯები არ გამომტყუო; შემდგომი სთქვი. გვიპასუხე პირდაპირა.

ცინნა. პირდაპირ — ცეზარის დასასაფლავებლად მიედივარ.

პირველი მოქალაქე. როგორც მეგობარი, თუ როგორც მტერი?

ცინნა. როგორც მეგობარი.

მეორე მოქალაქე. ეგ სწორე პასუხია.

მეოთხე მოქალაქე. აბა, ახლა სადგომზე, — მოკლედ?

ცინნა. მოკლედ--ესცხოვრებ კაპიტოლიის მახლობლად.

მესამე მოქალაქე. შენი სახელი! სწორეთა სთქვი.

ცინნა. მართალია: მე მქვიან--ცინნა.

პირველი მოქალაქე. ლუკმა-ლუკმათ აქციეთ, ეგ შეთქმულია!

ცინნა. მე ვარ ცინნა პოეტი! ცინნა პოეტი!

მეოთხე მოქალაქე. დაკუწეთ ეგა ცუდის ლექსებისათვისა. დაკუწეთ ეგა!

ცინნა. მე ის ცინნა არა ვარ, არა ვარ შეთქმული.

მეორე მოქალაქე. სულ ერთია, მაგისი სახელი ცინნა არის; ამოვგლიჯოთ ეგ სახელი მაგას გულიდგანა და მამინ გაუშვათ ეგა.

მესამე მოქალაქე. დაფლეთოთ ეგა! დავკეფოთ! ნაგუზლით! ნაგუზლით მაგასა! ბრუტუსთან, კასსიუსთან, გადადუგეთ ყოველისფერი! ზოგი--დეციუსთან, ზოგი--კასკასთან, დანარჩენნი--ტრებონიუსთან; აბა, წავიდეთ!

მოქმედება მეოთხე.

გამოსვლა პირველი.

იქვე. ოთახი ანტონიუსის სახლში. ანტონიუსი, ოკტავიუსი და ლეპიდესი სხედან სტოლზე.

ანტონიუსი. და ესრედ, ეს ამდენი ხალხი დაიხოცება; ისინი ამორჩეულნი არიან სიით.

ოკტავიუსი. ლეპიდეს, შენი ძმაც უნდა მოკვდეს, თანახმა ხარ შენ ამისი?

ლეპიდესი. ჰო, თანახმა ვარ.

ოკტავიუსი. დანიშნე ისიც, ანტონიუს.

ლეპიდეს. ანტონიუს, იმ პირობით, რომ შენი დიხწული პუბლიუსიც არ გადარჩება ცოცხალი.

ანტონიუსი. არ გადარჩება; ამ ნიშნით იმისი საქმეც გადამიწყვეტია. — ლეპიდეს, მიდი ცეზარის სახლში და მოიტანე იქიდან იმისი ანდერძის წიგნი: ჩვენ აქ მოვიფიქრებთ, როგორ გამოვრიცხოთ იქიდან ზოგიერთი ნამეტნავი მოხსენებული ცეზარის უკანასკნელი ნება.

ლეპიდესი. მე აქვე დამხვდებით თქვენა?

ოკტავიუსი. თუ აქ არ ვიქნებით, მამინ კაპიტოლიაში გენახე.

ანტონიუსი. აი უხვირო კაცი, მიწასთან გასწორებული, მხოლოდ აქეთ-იქით გასაგზავნათ თუ გამოდგება, მეტში არაფერში. აბა რა ჰაზრია ამაში, რომ ქვეყნის სამ-წილად გაყოფის დროს, ერთი წილი მე მერგებო?

ოკტავიუსი. თუ შენ მაგახე მაგისთანა აზრი გქონდა, მამ

რალათ მოიწვიე იმ თათბირში, სადაც ჩვენის მრისხანე გადაწყვეტილებით უნდა დავასვენათ ან ვინ უნდა მოკედეს და ან ვინ უნდა გადაიკარგოს ამ ქვეყნიღვანა.

ანტონიუსი. ოკტავიუს, მე უფროსი ვარ შენზე ხნითა. თუმცა ჩვენ მაგას ვაძლევთ ამისთანა პატივსა მისთვის, რომ ჩვენ განეთავისუფლდეთ ყოველისფრისაგან, რაც ჩვენ სამძიმოთ გვეჩვენებოდა,--მაგრამ ამ პატივს ის იტვირთებს ისე, როგორათაც ოქროთი აკიდებული ვირი, იყენებს და ოფოს მოიდენს საპალნის ზიდვით, რომელსაც წაათრევს იქით, საითაც ჩვენ მოვინდომებთ იმის გაგდებასა. და იქ, ადგილობრივ, ჩვენ მოვხსნით, მაგას საპალნესა, და იქნოს ყურები და სძოვოს მინდორში ბალახი.

ოკტავიუსი. შენ შეგიძლიან რაც გინდა ყოველივე მოიქმედო, მხოლოდ ისა გულადი და გამოცდილი სალდათია.

ანტონიუსი. ჰო, და ჩემი ცხენიც აგრეთია; და ამისათვისაც საყვებს ვაძლევ, და ვასწავლი ჯირითსა, ფიცხელს მიბრუნ-მობრუნებასა, და შევარდენსავებრ, მალე სირბილსა, იმის ტანის მიხრას-მოხრას ახელთმძვანებს ჩემი ჭკუა: ესრედაც ლევიდესი ჩვენ უნდა ვატაროთ ლაგამითა, და დავაყენოთ ხოლმე გზაზე, და ვეჩიჩინოთ და ვსწერთნათ, თავ-ცარიელი ყმაწვილია! კაცი, რომელიც სცხოვრებს მხოლოდ ძველ-ძულეებით და ძოდებით; და მაგისათვის ის არის ახალი ამბავი, რაც სხვებისაგან დიდი ხანია დავიწებებულია და მოძულეებული. ის არის საქონელი, სხვა არაფერი. ახლა, ოკტავიუს მოისმინე უწარჩინებულესი საქმენი. ბრუტუსი და კასსიუსი აგროვებენ ჯარსა; ჩვენ ვხლა უნდა დავემზადოთ იმათ წინ. დასახვედრათ. და ესრედ, საჩქაროდ შევჭკრათ ჩვენ პი-

რობა, მოვადგომოთ ჩვენი. მოვიხმაროთ ყოველი ჩვენი ღონისძიება; და ესლავი შევადგინოთ თათბირი იმაზე, როგორ უფრო კარგათ გავიგოთ და შევიტყუოთ ისა, რაც საიდუმლოთ არის, როგორ უნდა ავიცილოთ ცხადი უბედურება.

ოკტავიუსი. ჰო, ეს უნდა მოვახერხოთ. ჩვენ ესლა ყოველ მხარეს გვახვევიან მტრები, და ასე გამიწვევ იმათაც, ვინც პირში გაგვიღიმებს ხოლმე, იქნება გულში ჩვენს წინააღმდეგად ჰქონდეთ დაფარული მრავალი ბოროტება.

გამოსვლა მეორე.

ბრუტუსის კარავს წინ, სარდის მახლობლად ბანაქში. შემოვლენ ერთის მხრიდან ბრუტუსი, ლიუცილიუსი, ლიუციუსი და სალდათები; მეორე მხრიდან ტიცინიუსი და პინდარესი.

ბრუტუსი. დადექ!

ლიუცილიუსი. ეი, ლოზუნგი სთქვი. (\*)

ბრუტუსი. ლიუცილიუს, ახლოა კასიუსი?

ლიუცილიუსი. ჰო, ძალიან იხლოვს არის, და იმას პინდარესისთვის დაუბარებია შენთან მოკითხვა. (პინდარესი ამღევს ბრუტუსს წიგნსა.)

ბრუტუსი. ის მეგობარულს მოკითხვას მითვლის მე. (პი-

(\*) ლოზუნგი არის სიტყვა, ნიშნით სიმაკობელი ჯარებში; მაგალითათ ვარაუდს აქვს პომპეუსს, რომ არ შეძლოვას, იმან არ იცის როგორ იცნოს მტერი, და როდესაც ეტყვიან ამ დანიშნულს სიტყვას. მასთან იცნოს, რომ მტერი არ არის. ამ სიტყვას მარტო თავის ჯარებს ეტყვიან ყოველს შეცვლად. რედ.

ნდარესს მიუბრუნდება). შენი ბატონი ან თვითონ ისე გამოცვლილა, ან იმისი ხელ ქვეითი ხალხნი არიან ისეთი კუღნი, რომ მე იმან მამცა საკმაო მიზეზი შესანანიებელი იმაზე, რაც შოვიქმედე; და თუ ის ახლოს არის, მაშინ მე და ის ერთად მოვილაპარაკებთ.

პინდარესი. უეჭველია, ჩემი კეთილშობილი ბატონი წარმოგოდებათ ისე, როგორც არის ნამდვილად: ღირსეულ, პატიოსან კაცად.

ბრუტუსი. მე ეჭვი არა მაქვს იმისი. ლიუცილიუს, მითხარი, როგორ მიგიღო შენ იმან?

ლიუცილიუს. მე იმან მიმიღო ზრდილობით, საკმაო პატივისცემით, მაგრამ ისეკი ველარა, როგორც ძველად მიგვიღებდა ხოლმე, გულ-გაშლილი, ალერსით, თავისუფალი შეგობრულის მოკითხვით.

ბრუტუსი. ლიუცილიუს, შენ აღმიწერე მე გულითადი შეგობრის გულ-გაგრილება. შენიშნე ლიუცილიუსს, ერთხელ და სამარადისოთ: როდესაც სიყვარულს დაუწყებს ღონე გამოლევასა, მაშინვე ის შეიცვლება პირ-მოთნეობითის ზრდილობით. პინდარესს ცხადს პატიოსნებაში მცბიჭრულს მოხერხებას რა უნდა. და მცბიერნი ჰგვანან ცხენებსა, რომელნიც შვხედულობით არიან ფიცხნი, ცხარნი და თავ-დადებულნი, და ზედ მჯდომის დეზს ქვეშაჲ დაჰკარგვენ ხოლმე მხნეობასა, მოუშვებენ ფაფარსა, და გამოცდას ვერ გაუძლებენ, როგორათაც ჯაგლაგები. — იმის ჯარები მოდიან?

ლიუცილიუსი. მოდიან. ღამე დგომით იქმნებიან სარდაში და მომატებული წილი ჯარი, მათს რიცხვში მთელი ცხენოსანი ჯარი კასიუსს იახლებიან. (ისმის მარში.)

ბრუტუსი. აი ისა! წავიდეთ წინ მივეგებოთ ნელ-ნელა.  
(შემოვა კასიუსი სალდათებით.)

კასიუსი. დადექ!

ბრუტუსი. დადექ! გარდაეციოთ ყველას ბრძანება:  
სცენის უკან ხმები.

დადექ!

დადექ!

დადექ!

კასიუსი. კეთილშობილო ძმაო, შენ შეურაცხებით მამე-  
ქეცი მე.

ბრუტუსი. ღმერთნი იყენენ ჩემი მოწმები! თუ შეურაც-  
ხებით მოექცევივარ ჩემს მტრებსა! და თუ არა და როგორ  
მოვექცეოდი შეურაცხებით ჩემს ძმასა?

კასიუსი. ბრუტუს, შენ შავ გარეგანსდამშვიდებაში დაფა-  
რული გაქვს წყენა; როდესაც შენ იმას მოქმედებ, იმათ...

ბრუტუსი. დამშვიდდი, კასიუს, შენი უსიამოვნება წყნა-  
რად წარმოსთქვი, — მე შენ გიცნოფ, — აქ ნუ ვიჩხუბებთ,  
ორთა ლაშქრის თვალ წინა, რომელნიც უნდა ხედამდნენ  
ჩვენს შორის მხოლოდ სიყვარულსა, — და სხვას არაფერსა.  
უბრძანე, უკან დაიწიონ; შემდგომ ჩემს კარავში გამირკვიე  
დაწვრილებით, რითი ხარ გულ ნაკლული, და მე მოვისმენ  
შენს ლაპარაკსა.

კასიუსი. პინდარეს, უბძანე ლაშქართ წინამძღოლებს ცო-  
ტა უკან დასწიონ თავისი ჯარები.

ბრუტუსი. შენც ლიუცილიუს, აგრეთვე მიეცი ბრძანება.  
ვიდრე არ გავათაოთ თათბირი, ნურავინ შემოვა ჩვენთან.  
დააყენე კარებთან, გუმაგაფ ტიცინიუსი და ლიუციუსი.



გამოსვლა მეორე.

ბრუტუსის კარაფში. ლიუციუსი და ტიცინიუსი ცოტა მომორბით; შემოვლენ ბრუტუსი და კასიუსი.

კასიუსი. აი დასამტკიცებელი საბუთი, რომ შენ მე შეურაცხ-მყავი: შენგან ლიუციუსს ჰგვა არის შერცხვენილი და დასჯილი იმისათვის, რომ ვითამ ქრთამი გამოურთმევია სარდიელებისათვისა; რადგანაც მე იმ კაცს ვიცნობდი, მე შენ წიგნითა გთხოვე იმისი პატივება, მაგრამ შენ ჩემს თხოვნას ყური არ უგდევ.

ბრუტუსი. კასიუს, იმ გვარ საქმეში საშუალობით, შენ თვითონ შეურაცხ ჰყავი შენი თავი.

კასიუსი. უადგილუა ამისთანა დროს მეტად სასტიკად მოქცევა ყოველ უბრალო საქმეზე.

ბრუტუსი. კასიუს, მამეც ნება გითხრა, — და შენც აგრეთვე ძრიელ განტყუნებენ ანგარებაში; ხმა არის დავარდნილი, რომ უღირსს კაცებს შენ თანამდებობასა ფულზე ჰყიდი.

კასიუსი. მე მოქრთამე ვარ? ამას ამბობ შენა იმისთვის, რომ სახელად ბრუტუსი გქვიან. სხვა ადამიანის პირში ეგ სიტყვა, ღმერთს გეფიცები, უკანასკნელი იქნებოდა! —

ბრუტუსი. და კასიუსის სახელმა შენი მექრთამობა გააკეთილშობილა, და სასჯელს არ შეუძლიან თავი წამოჰყოს.

კასიუსი. როგორ, სასჯელსა!

ბრუტუსი. მოიგონე იდი მარტისა! მართლ-მსაჯულებისათვის არ დაილუპა დიდი იულიუსი? სად არის ის საძაგელი, რომელმაც არ შესცა იმას ხანჯალი მართლ-მსაჯულებისათვის?

დავიჯერო ერთი ჩვენგანი, რომელთაც მოვკალით უპირველესი მთელს ქვეყანაზე კაცი, იმისათვის, რომ ის იყო მოსარჩლე მცარცველებისა, ეხლა გაბედავს გაისივაროს ხელი სამარცხო ანგარებითა და ვრცელი ასპარეზი პატივისცემისა მისცეს ერთ მუჭა ნაგავში? არა, მე უმალ თანახმა შევიქნები იმაზე, რომ გადავიქცე ძალღად და ვჰყეფო მთვარესა.— და მაგისთანა ჰრომაელობაჟი არ მინდა.

კასიუსი. ნუ ილანძღები, მე მაგას არ მოგიტომენ; ბრუტუსს, შენ ჩემს მტრობაში შენ შენი თავი დაგავიწყდა, და მე შენზე ძველი სალდათი ვარ სამსახურითა, და ამასთან ნიჭიკა მაქვს კაცის ამორჩევისა.

ბრუტუსი. არა, კასიუს.

კასიუსი. ჰო.

ბრუტუსი. მე გეუბნები, არა მეთქი.

კასიუსი. ნუ გამაცხარებ მე, თორემ ჩემი თავი დამავიწყდება, ნუ შეიყვან ჩემს მოთმინებას განსაცდელში, თავს გაუფრთხილდი!

ბრუტუსი. იქით, შე საცოდაო!

კასიუსი. შესაძლოა განა!

ბრუტუსი. კასიუსს, გამიგონე ამისათვის, რომ მე მინდა ლაპარაკი! ხომ არ მიბრძანებ შენი სულელური გაჯავრებით უკან დავიწიო? უნდა შემემინდეს გიჟის შეხედულობისა?

კასიუსი. ოჰ, ღმერთნო! ეს ყოველიფერი უნდა მოვითმინო!

ბრუტუსი. ჰო, ამაზედაც მეტი. გაცოფდი, გასკდეს შენი ამპარტავანი გული, გამოსთქვი შენი გაჯავრება მონებთ წინა და შეაქნევინე თრთოლა ტყვეებსა. და მე დავიჯერო მო-

ვალე ვარ მოგიტომინო? მოუთმინო, პირ-მოთნეობით მოვექცე და ვექვემდრომლო შენს მოუხეშავ სიტუტუტესა? ღმერთო გეფიცები--შენს სიგულისის შხამსა შენვე მოინელებ, თუმცა იქნება, გასკდე კიდეცა: შენი ბურტყუნი ღღის შემდგომ მე შესაქცევრად მექმნება, და სასაცილოდ.

კასიუსი. განა მანამდისინ მოვიდა?

ბრუტუსი. შენ ანბოფ — საუკეთესო მოლაშკრე ხარ: და-ამტკიცე საქმით, რომა მართალია ეგ კეცხნა, მე სასიამოვნოთ მექნება, მხათა ვარ ვისწავლო რამე იმათგან ვინც ნიჭიერნი არიან ჩემზე.

კასიუსი. ბრუტუს, შენ ყოველ გვარად სცდილობ ჩემს წყენასა; მე ვსტევი, რომ მე უმფროსი ვარ მეთქი შენზედა, როგორათაც ჯარის კაცი, და არა უმჯობესი; განა მე გითხარი უმჯობესობა, ბრუტუს?

ბრუტუსი. ჩემთვის სულ ერთია, თუ გინდა გეთქვას.

კასიუსი. აგრე ჩემი წყენა არ შეეძლო თვითონ ცეზარსა.

ბრუტუსი. ძალიან თავს ნუ აიმაღლებ! თვითონ შენ ვერ გაბედამდი იმის ასე გაგულისებასა.

კასიუსი. მე ვერ გაბედამდი?

ბრუტუსი. ჰო, ვერ გაბედამდი.

კასიუსი. იმის გაგულისებასა?

ბრუტუსი. შენ ვერ გაბედამდი; შენს სიცოცხლეს გაუფრთხილდებოდი.

კასიუსი. ძალიანაც ნუ მიენდობი ჩემს სიყვარულსა: მე შემძლიან ის მოვიქმედო, რაც შემდგომ მწარედ მოსანანიებელი გამიხდება.

ბრუტუსი. შენ კიდეც მოახდინე მოსანანიებელი საქმე.

პატიოსნების აზჯრითა ვარ მოსილი და მე შენი მუქარა ვერ შემამინებს, გვერდზე გამიელის, როგორათაც ნიავე, რომელიც ღირსი არ არის ჩემის ყურადღებისა. — ფულისათვის გამოვგზავნე შენთანა და მივივლე უარი. მე რომ არ შემძლიან ანგარების გზით ეიშოვნო ფული ღმერთ გეფიცები, მე უმალ გამზადებული ვარ ჩემი გული ფულათ მოესპრა და ჩემი სისხლი გადავადნო დრაქმებათ, ვიდრე გამოვგლიჯო უსვინიღისოთ სოფლელი კაცის გაშხმარი ხელიდგან იმათი საცოდავი შენამუშავარი. მე გამოვგზავნე ფულისათვის შენთანა, — (მე უნდა მიმეცა ჯარისათვისა) — შენ უარი შემომითვალე. ეს ქცევა განა შეჭფერის კასსიუსსა? განა მე ასეთს პასუხს მოგცემდი? თუ ოდესმე მარკუს ბრუტუსი შევა ასეთს სიხარბეში, რომ დაუკეტამს თავისს მეგობრებსა საძაგელს მეტალსა, დაეცეს იმას მეხი და აღმოფხრას!

კასსიუსი. მე უარი არ შემომითვლია.

ბრუტუსი. უარი მიყავი.

კასსიუსი. არა, ჩემი გამოგზავნილი კაცი სულელი იყო და ჩემი პასუხი კარგათ ვერ მოუტანია. ბრუტუსმა გული დამწეა. ბრუტუსი თავისს მეგობრის ნაკლულევენებას მოწყალებით უნდა უყურებდეს და ჩემს ნაკლულევენებას დაუმატა კიდევცა.

ბრუტუსი. არა, ეგენი მე ჩემზედ გამოვსცადე.

კასსიუსი. შენ ჩემო საყვარელო, ბრუტუს, შე არ გიყვარვარ.

ბრუტუსი. მე შენი ნაკლებულება არ მომწონს.

კასსიუსი. ამისთანა ნაკლებულებას მეგობრის თვალი ევრას დროს ვერ შენიშნავდა.

ბრუტუსი. პირმოძინე კაცის თვალი კი არც კი მოინ-  
ლოშებდა დანახვასა. თუ გინდ ისეთი უშველებელი იყვეს,  
როგორც ოლიმპის მთა.

კასიუსი. მოდით თქვენ, ანტონიუს და ოკტავიუს, სულ  
მარტო კასიუსს გადაახდევინეთ. დაიღალა სიცოცხლისაგან:  
ის მოსძულდა იმასა, რომელიც უყვარდა, ეჯავრება ძმასა, ლან-  
ძღვენ, როგორათაც მონასა იმისი შეცთომეები დაწერილებით  
შენიშნული აქვსთ, წიგნში ჩაწერილნი და ზეპირათ სწავლო-  
ბენ, რომ პირში მამარტყან ხოლმე. ოჰ, ნეტავი შემძლოს  
ეს გული ცრემლს ამოვატანო! აი ჩემი ხანჯალი, აი ჩემი  
გადახდილი მკერდი: ამამი გული უძვირფასესია თვით ბრუ-  
ტუსის საუნჯეზე, ოქროზე მეტათა ღირს: — წაიღე, თუ ჰრო-  
მაელი ხარ; მე, რომელმაც უარი გითხარი ფულისა, გაძ-  
ლევ ხალისით ჩემს გულსა. მამკალი მე ისე, როგორც მო-  
ჰკალი ცეზარი, მე ვიცი, სწორეთ იმ დროს, როდესაც შენ  
ის ყველაზე მომატებულად გძულდა, — კიდევ მაინც მომა-  
ტებულად გიყვარდა ისა, ვიდრე კასიუსი ოდესმე გყვა-  
რებია,

ბრუტუსი. ჩააგე ხანჯალი ქარქაშში. თუ გასურს, იჯავ-  
რე, — მაგისი თავისუფლება გაქვს, — ჰქმენი, რაც გუნებაში  
მოგივიდეს, და ასე გაშინჯე წყენაც ხუმრობათ იქნება მი-  
ღებული ჩემგან, ოჰ, კასიუს, შენ ჯაჭვითა ხარ გამოზბმული  
ბატკანზე, რომელისაცა წყრომა ისეთია, როგორათაც ცეცხ-  
ლი ტალისა, რომელიცა ძალოვანის დაკვრით გამოსცემს  
ნაპერწყალსა და შემდგომ მამინათვე გაგრილდება.

კასიუსი. მამ კასიუსი სცხოვრებდა მხოლოდ იმისათვის,  
რომ გაჯავრებისა და მწუხარების დროს ყოფილიყო შესა-

ქცევარი და დასაციანარი თავის ძმისათვის.

ბრუტუსი. როდესაც მაგას ვამბობდი, მაშინ მე თვითონ არ ვიყავი კარგს ქეიფზე.

კასსიუსი. როგორ, შენ იგრძნე? მამეცი ხელი.

ბრუტუსი. დაიჭი, გულიც თანა.

კასსიუსი. ოჰ, ბრუტუს!

ბრუტუსი. რა ამბავია?

კასსიუსი. დავიჯერო იმდენი სიყვარული არა გაქვს, რომ მომიტეო, როდესაც მე ზოგჯერ გულფიცხობით ჩემი თავიც დამავიწყდება ხოლმე? გულ ფიცხობა დამჩა მე დედისაგან შემკვიდრეობით.

ბრუტუსი. კარგი: შემდგომ, როდესაც შენ ძალიან გაფიცხდები ბრუტუსსზედ, მაშინ ის წარმოიდგენს, ვითომ დედამენი ილანძღება — და დაჩუმიდება. (ისმის ხმაურობა სცენის უკანა.)

პოეტი (სცენის გარეთ) შემიშვით! მე მინდა ენახო ჯარის წინა მძღოლები: ერთმანეთში უსიამოვნობა აქვსთ, და არ უნდა დაგდოთ მარტო.

ლიუციუსი (სცენის გარე) არ შეგშვებთ.

პოეტი (სცენის გარეთ) მე სიკვდილის მეტი ვერაფერი შემიოკებს. (შემოვა)

ბრუტუსი. რისთვის მოხვედი, რა გინდა?

პოეტი. სარღლებო, გრცხვენოდეთ! რა ამბავია თქვენ შორის! ტუბილათ იყავით ერთმანეთთანა, როგორც მეჭმენის თქვე-

ნებრივ გმირთა,

შეიყვარებდეთ ძმურათ ერთმანერთს: მე ხომ დიდი ვარ თქვენზედა ხნითა!

კასიუსი, ხა, ხა, ხა! რა საძაგლად ჩხლართამს ცინნიკი (\*) ლექსებსა!

ბრუტუსი. დაიკარგე აქედგან, შე ბრიყვო!

კასიუსი. ბრუტუს, ნუ გაჯავრდები, მაგისი ადამიანი ვე არის...

ბრუტუსი. შემძლიან ყური დაუგდო მაგის მოსწრაფებულს სიტყვასა, თუ თავის ღრობე იტყვის. რა საჭირონი არიან ვე მასხარები ჯარს წინა? წადი დაიკარგე მეგობარო!

კასიუსი. იქით! გადი აქედგანა! (პოეტი გავა. შემოვლენ ლიუცილიუსი და ტიცინიუსი.)

ბრუტუსი. ლიუცილიუს და ტიცინიუს, უბრძანეთ ლამქართ-წინამძღომლებს — ბინა უშოვნონ ჯარსა ღამე სადგომათ.

კასიუსი. და შემდგომ აქვე მობრუნდით და ეხლავ მოიყვანეთ თანა მესსალა.

ბრუტუსი. ლიუციუს, მოიტა ღვინო.

კასიუსი. არ მეგონა, თუ შენ აგრეთი გაჯავრება შეგეძლო.

ბრუტუსი. კასიუს. მე იმდენი მწუხარება მაქვს!

კასიუსი. თუ შენ შემთხვეითს უბედურებებს წინათ, შენ სულით და გულით მოეშვები, მამ სად არის შენი ფილოსოფია?

ბრუტუსი. ვერავინ აიტანს მწუხარებას ისე, როგორც მე. იცოდე, პორცია მაშვედარა.

---

(\*) ფილოსოფიური შკოლა იყო საბერძნეთში. ცინიკები აწაფენ სდილობას, რომელიც საზოგადოებაში იყო მიღებული, აწათ აგდებდნენ და სოლოთ იმასა რაცხავდნენ უზრდელობათ და უნდა წესკენადეს ძარტო ბოროტებისა: ისინი დასტინდნენ ხიმედარებას; დადიოდნენ ბრანძება და სსკათ. რეა.

კასიუსი. როგორ! პორცია?

ბრუტუსი. ჰო, მამყვდარა.

კასიუსი. და მე შენ გეწინააღმდეგე — და ცოცხალი და-  
ერჩი! ოჰ, მწარე, სამინელი შესაწუხარია! რა სატყვიერთ?

ბრუტუსი. ის თურმე სწუხდა ჩემს განმორებასა, იგლი-  
ჯებოდა იმ ზრით, რომ ყმაწვილმა ოკტავიუსმა და ანტონიუსმა  
ლონე მოიმატეს (იმათი გამარჯვების ამბავი და იმის სიკვდილი  
ერთს ღროს ყოფილა): ამ გარემოებას ჰქონია გაელენა იმის გო-  
ნებაზე, როგორღაც ერთხელ მსახურების იქ არ ყოფნაში.  
პორციას ნაკვერჩაალი ჩაუყლაპამს.

კასიუსი. და მომყვდარა?

ბრუტუსი. ჰო, მამყვდარა.

კასიუსი. ოჰ, ღმერთნო უკვდავო! (შემოვა ლიუციუსი  
ღვინით და სამთლებით.)

ბრუტუსი. ნულარ ილაპარაკებ იმაზე, მამეცი თასი, მაგა-  
ში დაეახრჩობ სევდასა!

კასიუსი . მე ვგრძნობ გულითადს სურვილს პასუხი  
მოგცე მაგ კეთილშობილურს სადღეგრძელოზე. დაასხი, ლი-  
უციუს, დაასხი ისე, რომ ნაპირებზე გადმოედინოს! გადა-  
სანარჩუნებელი იქ არ იქნება, სადაც მე ესეამ ბრუტუსის  
სიყვარულის ნიშნად.

ბრუტუსი. შემოდი, ტიცინიუს. გამარჯვება მესალა! ახ-  
ლო დაესხდეთ სანთელთანა და ჩვენს საქმეზედ მოვილაპარა-  
კათ.

კასიუსი. ოჰ, პორცია! განა შენ მოკვდი?

ბრუტუსი. გთხოვ, კრინტს ნუ ამოიღებ იმაზე! მესალა,  
მე მამივიდა ამბავი, რომა ოკტავიუსი და ანტონიუსი ღი-



ღის ჯარით ჩვენზედ მოდიან, ფილიპისაკენ.

მესალა. მაგანედ მეცა მწერენ წიგნებსა.

ბრუტუსი. სხვა რასა გწერენ?

მესალა. ოკტავიუსს, მარკუს ანტონიუსს და ლეპიდესს გამოუციათ ბძანება გაგზავნაზე და ქვეყნიდამ გაძევებაზე გადუწყევტით ბარე ასი სენატორის სიკვდილი.

ბრუტუსი. მაგამი ჩვენი მიღებული ამბები არ არიან თანახმანი: ჩემსაში არის მოხსენებული სამოცდა ათი კაცის სიკვდილი, მათ შორის ციცეროსიცა.

კასიუსი. როგორ, ციცეროსიცა?

მესალა. ჰო, იმავე ბრძანების ძალით, ციცეროც მოუყლამთ. ბრუტუს, შენ ცოლისაგან მოგივიდა წიგნები?

ბრუტუსი. არა, სხვებისაგან.

მესალა. და შენს ცოლზე არაფერსა გწერენ?

ბრუტუსი. არა.

მესალა. ჰმ, საკურველია.

ბრუტუსი. რათა მკითხე ეგა? შენს წიგნებში ხომ არა არისრა იმაზე?

მესალა. არა.

ბრუტუსი. როგორც ჰრომეელმა, მართალი მითხარი.

მესალა. აიტანე შენცა როგორათაც ჰრომეელმა უსიამოვნო მართალი, ის გარდაცელილა, საკვირველის სენითა.

ბრუტუსი. მშვიდობით, პორცია! მესალა, ჩვენ ყველანი უნდა დავიხოცნეთ: და ის აზრი, რომ პორცია სიკვდილს ვერ ასცდებოდა, მაძლევს მე ღონესა ავითანო უბედურება.

მესალა. ეგრე დიდმა კაცებმა უნდა აიტანონ დიდი მწუხარება.

კასიუსი. ეგ მეც ისე ვიცი, როგორც თქვენა, მაგრამ, ჩემის ბუნებით, მე არ შემეძლო ამეტანა მაგვარი უბედურება.

ბრუტუსი. ღროით მიეპყოთ ხელი საქმესა. როგორა გგონიათ: ჩვენ ესლა ფილიპპისაკენ ნუ წავდგებით?

კასიუსი. მე მგონია. რა ნუ.

ბრუტუსი. მიზნები?

კასიუსი. აი მიზნები: უმჯობესია, რომ მტერი თვითონ მოვიდეს ჩვენთანა; ამითი თავის ღონისძიებას გამოილევს, დალაღვს თავის სალდათებსა და თავის თავს ავენებს: ჩვენსი, ადგილობრივ მდგომარენი, მოვიცემთ ღონესა და მხნეთ ვიქმნებით.

ბრუტუსი. კარგს მიზნებს, უთუოთ უკეთესმა მიზნებმა უნდა აჯობონ. მთელი ხალხი აქედგან ფილიპპამდინ მცხოვრებელნი იმისთენ არიან ჩვენსკენ, რომა ჩვენი ეშინიანთ. — ჩვენი მანღურაენი არიან ღიღი ხარჯის მოკრეფისათვის. — და ამის მიზნით თუ მტერმა გამოიარა, თავის ჯარის ნაკლულებას აქ შეისრულებს: ის ჩვენთან მოვა ახალის ძალით, — გამხნეებული, განმრავლებული რიცხვით; მაგრამ ჩვენ იმათ ამ სარგებლობას მოეკლებთ, როდესაც ჩვენ იმათ დაეხვლებით ფილიპპისთანა და ამღენს ხალხს უკან მოვიქცევთ.

კასიუსი. ღამიგღე ყური, კეთილო ძმაო ჩემო!

ბრუტუსი. არა, მაიცა. უენ ისიც უნდა იანგარიშო, რომ ჩვენა ყველანი, ვინცავენ ჩვენს მხარეზე იყენენ, მოვაროვეთ, ჩვენი ჯარი საესია, ჩვენი საქმე სრულიად მზათ არის, და მტერი ყოველ ღღე მატულობს. ჩვენა ავალწიეთ სიმაღლე-

ზე და გამზადებულ ი ვართ ჩამოსაფარდნელად. ადამიანის საქმეში არის თავის დაგვარად მოქცევა (Приливъ:) თუ სარგოიანად მოიხმარეთ იმასა — ბედნიერებას ეწვევი, თუ დროება დაგისხლტა — სრული შენი სიცოცხლე გაივლის უბედურებით და გაგრიყამს, ჩვენთვის ესლა მოვიდა დრო მოქცევისა, და ჩვენც უნდა წავეტოტინოთ, თუ არა და ყოველს შემთხვევას გაჩარჯვებისას დაეკარგამთ.

კასიუსი. აგრე იყევს, შენებურად. წავიდეთ ჩვენ თვითონ იმათთანა, რომ შევხვდეთ ფილიპპისთან.

ბრუტუსი. ბნელი ღამე მოგვეპარა, ვიდრე ჩვენ აქ მოვილაპარაკებდით; ჩვენი ბუნება მიუცილებელ საჭიროებას ემორჩილება, და ჩვენ იმას უნდა მივსცეთ კარგი მოსვენება. გაქვსთ რამე სათქმელი?

კასიუსი. არა, არაფერი. ღამე მშვიდობისა! ხვალ, ალიონის დროს, ავდგეთ და გავიდეთ.

ბრუტუსი. ლიუციუს! ჩემი ტანისამოსი! (ლიუციუსი გავა) მშვიდობით, მამ, მესსალა მშვიდობით, ტიცინიუს! კეთილშობილო კასიუს, ღამე მშვიდობისა, კეთილი მოსვენება მოგცეთ!

კასიუსი. ოჰ, საყვარელო ძმაო, ღამე დაიწყო ცუდათ, და ნუღარ იქმნება ამ გვარი უთანხმოება ჩვენს შორის!

ბრუტუსი. ყოვლიფერი მოხერხდა.

კასიუსი. ღამე მშვიდობისა!

ბრუტუსი. ღამე მშვიდობისა, კეთილო ძმაო.

ტიცინიუსი. მესსალა (ერთათ.) მშვიდობით, ღამე მშვიდობისა, ბრუტუს.

ბრუტუსი. მშვიდობით! (ყველას).

(კასიუსი, მესალა და ტიცინიუსი გავლენ, ლიუციუს დაბრუნდება სალამურის ტანისამოსითა.)

ბრუტუსი. მამეცი ტანთ-საცმელი. სად არის შენი არფა?

ლიუციუსი. აქ არის კარავში.

ბრუტუსი. შენ ნამძინარევისავეთ ლაპარაკოფ. მე არ გა-  
მტყუნებ შენა, საწყალო, დაიტანჯე უძილობითა. უთხარი  
რომ კლაუდიუსი და სხვაც ვინმე ერთ ერთი ჩემი მსახურ-  
თაგანი მოვიდეს აქა; ამაღამ ჩემს კარავში დაწვენენ ბალიმ-  
ზედ.

ლიუციუსი. ვარო და კლაუდიუს! (შემოვლენ, ვარო და  
კლაუდიუს.)

ვარო. ბატონი გვეძახის?

ბრუტუსი. გთხოვთ, დაწვეთ ჩემს კარავში. იქნება მალე  
გაგალვიძო თქვენა, ჩემს ძმას კასიუსთან გასაგზავნათ.

ვარო. მამ ესე, როგორც გნებავს, მოგიცდით.

ბრუტუსი. არა, დაწვეით: მე, იქნება, ჯერ ფიქრმა გამი-  
აროს. აი ლიუციუს, ნახე ის წიგნი. რომელსაც მე ისე  
ვეძებდი. სალამურის ტანისამოსის ჯიბეში ჩამიდგია.

(მსახურები დაწვებიან.)

ლიუციუსი. მე დარწმუნებული ვიყავი იმაზე, რომ შენ  
ჩემთვის არ მოგიცია.

ბრუტუსი. ჩემო კეთილო მსახურო. უკაცრავათ; ისეთი  
გულმავიწყი ვარ! შეგიძლიან ჯერეთ არ დახუკო მოქანტუ-  
ლი თვალები და დაუკრა რამე საკრავზე?

ლიუციუსი. დაუკრამ თუკი გინდა, ბატონო.

ბრუტუსი. ჰო, ჰო, ჩემო მსახურო. ძალიან ბევრს გა-  
წუხებ, მაგრამ შენ ისეთი დამჯერო ხარ!

ლიუციუს. ეს ხომ ჩემი ვალია.

ბრუტუსი. მე არ უნდა მოგთხოვო, რომ ის ვალი მომატებულნი იყვეს შენს ღონეზე. ყმაწვილის სისხლისათვის საჭიროა მოსვენება.

ლიუცილიუსი. მე მეძინა კიდევცა.

ბრუტუსი. ძალიან კარგი, კიდევაც დაიძინე: დიდხანს არ დაგიჭერ. ვიდრე ცოცხალი ვარ, მე შენთვის კეთილი ვიქნები. (ლიუციუსს უკრავს და იმღერის.)

ძილის ხმა არის. — ოჰ, მტრულა ძილა! შენ დააწევი ტყვიის კვერთხით პატარა ბიჭსა, რომელიც უკრავს არფას! ღამე მშვიდობისა, ჩემო კეთილო მსახურო! მე შენ არ მოგექცევი შეუბრალებლად; არ გაგაღვიძებ, — მაგგვარ ლახლახში არფას გასტეხამ: მე გამოგართმევ ხელიდგან. ახლა ღამე მშვიდობისა! ვნახოთ აი, შეგეცილი ფურცელი: აქ ხომ არ გამითავებია კითხვა? მგონია აქ გავათავე. (შემოვა ცეხარის ჩრდილი) რა ბუნდით ანათებს სანთელი. ე! ეს ვინ არის? თვალების დაღალვა იქნება, მაჩვენებს საშინელს ლანდსა.... ის ჩემკენ მოდის.... ვინა ხარ შენა? ნამდვილი ხარ, თუ ოცნება? შენ ღმერთი ხარ, ან კეთილი გენიოზი, ან ბოროტი ემმაკი, თმებს მიბურძღლამს თავზე? შითხარი — ვინა ხარ?

ჩრდილი. შენი ბოროტი სული ვარ, ბრუტუს.

ბრუტუსი. რისთვის მოხვედი აქა?

ჩრდილი. იმის სათქმელათ, რომ შენ მე მნახამ ფილიპპისთანა.

ბრუტუსი. მამ ხელ ახლა ვნახამ მე შენა?

ჩრდილი. ჰო, ფილიპპისთან. (გაქრება.)

ბრუტუსი. მამ მე შენა ვნახამ ფილიპპისთანა! ძლივს

გონებაზე მოვედი და შენვი გაქრი. მე მსურდა შენთან მო-  
მატებული ლაპარაკი. — ეი, ბიჭო, ლიუციუს! — ეი, კლაუ-  
დიუს! ეი, ვარრო, ვარრო! რას შერებით? გაიღვიძე! კლაუ-  
დიუს!

ლიუციუსი. არფის ალყები სტყუიან.

ბრუტუსი. ამასა ჰგონია, რომ არფას უკრავს. გაიღვიძე!

ლიუციუსი. რაო, ბატონო?

ბრუტუსი. ძილში ყვიროდი: რა ნახე სიზმარში?

ლიუციუსი. მე ვყვიროდი? მე არ მახსოვს.

ბრუტუსი. ჰო, შენ ყვიროდი; ნახე რამე?

ლიუციუსი. არა, არაფერი.

ბრუტუსი. ისევ დაიძინე, ჩემო ლიუციუს, ეი, კლაუდიუს!  
ეი! გაიღვიძე ჩქარა.

ვარრო და კლაუდიუსი ერთათ. რაო ბატონო?

ბრუტუსი. თქვენ რასა ყვიროდით ძილში?

ვარრო და კლაუდიუსი. როგორ ჩვენ ვყვიროდით?

ბრუტუსი. ჰო, თქვენ მოგეჩვენათ რამე?

ვარრო. მე — არაფერი.

კლაუდიუსი. არც — მე.

ბრუტუსი. წადით ჩემს ძმას კასსიუსთან; ჩემს მაგიერად  
მოიკითხეთ და უთხარით, რომ თავისი ჯარით დაიძრას აღ-  
რიანად ჩვენს წინათ, და ჩვენც უკან გავჰყევებით იმასა.

ვარრო და კლაუდიუსი. ემ საათში მივდივართ. —

მოქმედება მესხეთე.

გამოსვლა პირველი.

მინდორი ფილიპის მახლობლად. შემოვლენ ოკტაეიუსი და ანტონიუსი ჯარით.

ოკტაეიუსი. აი ჩემი იმედი გამართლდა; შენ ამბობდი, ანტონიუს, რომ ჩვენი მტრები მინდორზე არ ჩამოვლენო, მალლობზე და ბორცვებზედ დარჩებიანო: მაგრამ, სხვა ნაირად გამოვიდა: იმათა ჯარი ახლოს არის; იმათ უნდათ დაგვასწრონ ჩვენა და აქ ფილიპის მახლობლად დაგვეცვენ.

ანტონიუსი. ეგ სულ ტყუილია. მე იმათი გულის განძრახვა მესმის. მე მივხვდი, ეგ რასაცა ჰნიშნამს: იმათ სხვა ადგილას წასვლა სურთ, და მანც აქ ჩამოვიდნენ შიმის თავგანწირულების გაბედვით, რომ ამითი დაამტკიცონ თავისი გულადობა, რომელიც იმათ არა აქვსთ. (შემოვა მოამბე.)

მოამბე. ჯართ წინამძღომელნო, მოემზადეთ: რიგზე დაწყობილი მოდის ჩვენსკენ მტერი, საომარი ბიარალი აქვსთ გაშლილი, და ეხლავე უნდა თავდარიკი.

ანტონიუსი. ოკტაეიუს, აუჩქარებლად წაიყვანე შენი ჯარი მინდერის მარცხენა მხარეზე.

ოკტაეიუსი. არა, მე მარჯვენა მხარეს დავიჭერ, და შენ მარცხნივ წადი.

ანტონიუსი. რისთვის მეწინააღმდეგები ამ ფრიადსაჭირო წაშსა?

ოკტაეიუსი. კი არ გეწინააღმდეგები, მე ასე მსურს.

(ბარაზნები. შემოვა ბრუტუსი, კასიუსი ჯარითა, ლიუცილიუსი, ტიცინიუსი, მესსალა და სხვანი.)

ბრუტუსი. ამათ უნდათ შორიგება.

კასიუსი. დადექი, ტიცინიუს, ჩვენ წინ გაგვიშვი; ჩვენ უნდა ველაპარაკოთ ამათა.

ოკტავიუსი. ანტონიუს, ნუ მივსცემთ ომის დაწყობის ნიშანსა?

ანტონიუსი. არა, ცეზარ, დეე, იმათ დაიწყონ. წინ წავდგეთ: ჯართ-წინამძღომლებს ჩვენთვის უნდათ რილაცის თქმა.

ოკტავიუსი. ფეხი არ მოიცვალოთ ვიდრე არ განიშნებენ!

ბრუტუსი. თანა-მემამულენო! ჯერ სიტყვა, შემდგომ დაკვრა, ასე არ არის?

ოკტავიუსი. მაგრამ იმისთვისეი არა, რომ ჩვენ, თქვენსავით, სიტყვა მეტად გვიყვარდეს.

ბრუტუსი. კარგი სიტყვა, ოკტავიუს, სჯობია ცუდს დაკვრასა.

ანტონიუსი. ბრუტუს, შენ დახელოვნებული ხარ ცუდის დაკვრის კარგი სიტყვებით შენელებასა, ამისი საბუთი არის ხერელი ცეზარის გულში, რომელიც შენ გააპე, და მიაძახე: „იცოცხლე დი იბედნიერე, ცეზარო!“

კასიუსი. მარკუს ანტონიუს! არ ვიციო, როგორი არის შენი დაკრული. და რაც სიტყვას შეეხება, ისინი თვით ფუტკრებს სცარცვენ და სტოვებენ სრულიად უთაფლოთ.

ანტონიუსი. მაგრამ მხოლოდ უნესტროდცი არა.

ბრუტუსი. არა, უნესტროდ და უხმოდაც: იმათ, ანტონიუს, გააწყვეტინე მზუილი და კეთილგონიერულად ემუქრები: ვიდრე უკბენდე.

ანტონიუსი. თქვენ არ იმუქრებოდით ავსულნო, როდესაც თქვენი საზიზღარი ხანჯალი ერთი ერთმანერთს დაე-



ძგერნენ ცეზარის მკერდში. თქვენ კბილებს ჰკრეჭდით მაიშუ-  
ნებივით. თქვენ ლაქუცუნაობდით, როგორც მეძებარი ძაღ-  
ლები, და იხრუყებოდით მონებივით იმის წინა, და ჰკოც-  
ნიდით ცეზარს ფეხებზე მამინ, როდესაც შეჩვენებულმა კას-  
კამ, ქოფაკივით უკანიდგან მივარდნილმა, დასცა ხანჯალი  
კისერში; — ოჰ, პირმოთნებო!

კასიუსი. პირ-მოთნებო! აი, ბრუტუს. შენ თავს უთხარ  
მადლობა: ამისი ენა არ გვაწყენინებდა დღეს ჩვენა, შენ  
რომ ჩემთვის დაგეჯერებია.

ოკტავიუსი. აბა, საქმეს შეუდგეთ, საქმესა! თუ ბაასი  
ოფლს დაგვასხამს, მამ იმისმა დასვენამ უნდა მიიღწიოს წი-  
თელ კაპლამდისინ. უყურეთ — მე ეხლა ამოვიღე მახვილი  
შეთქმულებზე: როდის ჩავაგფე ამას ისევ ქარქამში? მინამდი-  
სინ ვერ ჩავაგფე, ვიდრე ყოველს ცეზარის იარას არ ამო-  
ვიგფე, ან შეთქმულების მახვილი არ მოჰკლამს მეორე ცეზარსა.

ბრუტუსი. ოჰ, ცეზარო, შენ არ მოკვდები შეთქმულების  
აგლითა, რადგანაც შენთანა არაფერ არის შეთქმული.

ოკტავიუსი. იმედი მაქვს; — მე არავარ წერა ბრუტუსის  
ხელით დაღუპვისა.

ბრუტუსი. ჭაბუკო, თუ გინდ რომ შენს საგვარეულოში  
ყველაზედ უკეთესი ყოფილიყავი, მამინაც ვერ შეესწრობოდი  
ამაზე უპატივცემულეს სიკვდილსა.

კასიუსი. თვით--ნება ლაწირაკი და მასხარეების ამხანაგი  
გაქსუებული კაცი არ არის ღირსი მაგ პატივისა.

ანტონიუსი. მოხუცებული კასიუსი ისევ ის არის, რაც  
იყო!

ოკტავიუსი. მივდივართ, მივდივართ ანტონიუს! — კბილებში

მოგვიხლია თქვენთვის შეთქმულებო ჩვენი გამოთხოვნა; გაბედეთ, გამოდით საბრძოლად დღესვე, თუ არა და, მაშინ, როდესაც გაბედოთ. (ოკტავიუსი და ანტონიუსი ჯარით გაველენ.)

კასიუსი. ეხლა შემოუქროლე ქარო, და აღელდით ზეიტონო; გაუცურდი ნავო, ქარიშხალი დაიწყო და ყოვლის ფერი მემთხვევაზედ არის დამოკიდებული.

ბრუტუსი. ეი! ლიუცილიუს, ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი!

ლიუცილიუსი. რას მიბრძანებ? (ბრუტუსი და ლიუცილიუსი იქით მიდგებიან.)

კასიუსი. მესალა!

მესალა. რა გნებაეს, კასიუს?

კასიუსი. დღეს ჩემი დაბადების დღე არის; ჰო, სწორეთ ამ დღეს დაიბადა კასიუსი. მამეცი ხელი, მესალა; იყავი ჩემი მოწამე, რომ იძულებულ ვარ, როგორც როდესაც პომპეიუსს მოუხდა, ისე ჩვენი თავისუფლება მივეცე ერთის ომის დამოკიდებულებასა. შენ იცი, რომ მე ეპიურის სწავლას: (\*) საშინლად მივსდევდი. მაგრამ ეხლა სხვა ნაირათა ვსჯი და ცოტაოდენათ ვერწმუნები წინათ განწესებასა. როდესაც ჩვენ მოვდიოდით სარდიდგანა, ორი დიდი სეავი მაღლიდგან ჩვენს წინა ბაირალზედ დაემუნენ და იმაზედ დამჯ-

---

(\*) ეპიურ იყო ერთი, ბერძნების ფილოსოფოსი, რომელიც, როგორც ზოგიერთი სწავლულები ამბობენ, ამტკიცებდა, რომ კაცის ცხოვრების დანიშნულება არის მარტო სუფიითა და ხარცით დატკობა. ამ ფილოსოფოსის სწავლას ჰეკანდა ბერძნი მიმდევარი, რომელთაც გადაჭაწბეს კიდევ ამ სწავლასა. რედ.

დარნი, სალდათის ხელიდგან ჰყენამდნენ საჭმელსა, და სიხარბით ჰყლაპამდნენ. ისინი გამოგყენენ ჩვენა ფილიპპიამდინ. სეაეები დღეს დილით გაფრინდნენ, და ძერეები და ყორნები ეხლა თავს დაგეტრიალებენ, ისინი ჩვენ გვიყურებენ ისე, როგორც თავიანთს უღონო დავლასა. და მგონია, რომ იმათი ჩრდილი შეიქნება ბედის წერის ფარდათ ჩვენი ჯარისათვის, რომელნიც აქ დაიხოცებიან.

მესსალა. ნუ დაერწმუნებით მაგისტანა ნიშნებსა.

კასიუსი. მე მჯერა მხოლოდ ზოგი ერთი მათგანი: ჩემი გული მხნე და გამბედავია — და მზათა ვარ გულ-მაგრად დაუხვდენ ყოველს უბედურებასა.

ბრუტუსი. (ლიუცილიუსს.) ჰო, აგრე. ლიუცილიუს.

კასიუსი. უკეთილშობილესო ბრუტუს! დღეს ღმერთები ჩვენი მოწყალენი არიან; ოჰ, ნეტავი ჩვენ შეგვეძლოს ცხოვრება ღრმა სიბერემდინ სიყვარულით და მშვიდობიანად! მაგრამ ბედის წერა კაცისა უცნობრობით არის. დაფარული და ესრედ მოვიფიქროთ იმაზე. რა შეიძლება შეგვენთხვეს ჩვენა თვით უცუდესი. თუ ამ ომში ჩვენ დავმარცხდით, მამ ეს ლაპარაკი ერთი ერთმანერთთან უკანასკნელი იქნება: მითხარი ერთი, რას აპირებ?

ბრუტუსი. იმ ფილოსოფიურს წესზედ დადგომასა, რომლის საფუძვლითაც მე ეძაგებდი კატოსა თავის-თავის მოკვლაზე. არ ვიცი, რის მიზეზით, მაგრამ მე სიმხდალეთ და სულის სიმდაბლედ მიმაჩნია მომავალი უბედურების შიშით — კაცმა დღე დაიმოკლოს. მოთმინებით შექურვილი, მე ჩემს თავს მივსცემ უმაღლესს ძალის ნებასა, რომელიც ჩვენ გვახელთმძღვანებენ.

კასსიუსი. და ესრედ, როდესაც ომში დაემარცხდებით, მოითმენ, რომ შენ ჰრომის ქუჩებში გატარონ საქვეყნო?

ბრუტუსი. არა, არა, კეთილმოობილო ჰრომაელო, ნუ იფიქრებ, რომ გაბედოს ჰრომში შესვლა ჯაჭვებით შეკრულ-მა ბრუტუსმა! ის არ დამდაბლდება მანამდისინ. — დღეს უნდა გათავდეს ის ჩენი საქმე, რომელიც მარტის იღმი დაიწყო. არ ვიცო ენახამთ ერთმანერთსა ოდესმე თუ არა, და ამისათვის სამარადისოთ უნდა გამოვესალმოთ ერთმანე-რთსა! ოჰ, მშვიდობით სამარადისოდ, მშვიდობით, ჩემო კა-სსიუს! თუ ერთმანერთსა ენახამთ, მაშინ გავიღიმებთ, თუ არა და, ესრედ, ჩვენ როგორც რიგი იყო, გამოსალმებუ-ლნი ვართ.

კასსიუსი. ჰო, ბრუტუს, მშვიდობით ამიერ უყუნისამდე, სამარადისოდ! თუ შეგხვდებით ერთმანერთსა, მაშინ უთუ-ოთ, გავიღიმებთ, თუ არა და — შენ მართალი ხარ: როგორც რიგია ჩვენ გამოვესალმეთ ერთმანერთსა.

ბრუტუსი. და ესრედ მივდივართ! — ოჰ, რომ შეიძლე-ბოდეს გაცება წინათვე დღევანდელი ჯაფის დასასრულისა! მაგრამ ისიც საკმაოა, რომ დღე ოდესმე დაღამდება. მშინ-შევიტყობთ. აბა გასწიეთ, გასწიეთ!

გამოსვლა მეორე.

იქვე; ომის მინდორი. ბრძოლის ხმა. შემოვლენ ბრუტუ-სი და მესსალა.

ბრუტუსი. გააჭენე, გააჭენე ცხენი, მესსალა, ჩქარა; მიე-ცი ბრძამება იმ ჯარებსა, რომელნიც აიმ მხარესა დგანან

(ბრძოლის ხმა უფრო ძლიერდება) ერთიანათ დაიძრან: მე ვხედამ ოკტავეიუსის მხრის ჯარი გაულღონოვდა, — ჩვენ ძალოვანის მიწოლით შეგვიძლიან ის გავიქციოთ. გაფრინდი, გაფრინდი! ყველანი წავიდნენ.

### გამოსვლა მესამე.

მეორე მხარე საბრძოლო მიწისა. ბრძოლის ხმა. შემოვლენ კასიუსი და ტიცინიუსი.

კასიუსი. უყურე, ტიცინიუს, საძაგლები გამოიქცნენ! მე მტრად შევექენი ჩემს სალდათებსა: აი ეს ბაირალი გამობრუნდა — მე ხელიდგან გამოვგლიჯე ბაირახტარსა და მოკალი ჩემის ხელით.

ტიცინიუსი. ოჰ, კასიუს! ბრუტუსი ძალიან აჩქარდა: ის გაიტაცა მცირედმა ცეზარის ჯარის დამარცხებამა; — სალდათებმა დაიწყეს ცარცვა, და ამასობაში ანტონიუსი გარს შემოგვერტყა. (შემოვა პინდარესი).

პინდარესი. გაიქეცი, მოშორებით, ბატონო, გაიქე. ანტონიუსი შენს ბანაჟშია, გაიქე!

კასიუსი. ის ბორცვი შორ არის: — შეხედე, ტიცინიუს, იქ ცეცხლია: განა ესენი ჩემი კარაფებია?

ტიცინიუსი. შენია.

კასიუსი. თუ მე შენ კიდევ გიყვარვარ, შეგექე ჩემს ცხენზე, ამოჰკარ ღებები. ვიღრე არ მიგიყვანოს აიმ ჯგუფა ხალხთანა და შემდგომ დაბრუნდი და სწორეთ გაიგე, მეგობრები: არიან ისინი, თუ მტრები.

ტიცინიუსი. ერთი თვალის დახამხამებამხედ დაებრუნდები.

კასიუსი. პინდარეს, აღი მაღლა აიმი გორაკაზედ, მე შორს თვალი არ მიჭრის; თვალი ადევნე და მითხარი, რაც შენი-შნო. (პინდარესი გაეა.) ამ დღეს დაეიბადე მე ქვეყანაზე. დროებამ თავისი ჩვეულებრივი სიმრგვლე შემოაუარა და ეხლა მე უნდა გავათავო იქა, სადაც დაეიწყე. სიცოცხლის მინდორი გავიარე. — აბა, აბა პინდარეს. ხელამ?

პინდარესი. ოჰ, ბატონო!

კასიუსი. რა ამბავია იქა?

პინდარესი. ტიცინიუსს გარშემო შემოეხვივნენ; ცხენონები მოსდევნენ, — ისკი ღებსა სცემს ცხენსა--აი ეწევიან. ეჰ, მშვიდობით, ტიცინიუს! --ზოგიერთნი ცხენებიდგან ხტებიან-- ჩამოხტა ისიცა-- დაიჭირეს.... მაიცა! ისინი ყვირიან მხიარულებით.

კასიუსი. ჩამოდი გორაკიდგან: საკმაოა ყურება, ოჰ, რა ნაირი მხდალი ვარ! მე იქამდისინ მივახწიე, რომ ჩემს თვალწინ დაიჭირეს ჩემი საუკეთესო მეგობარი. (შემოვა პინდარესი.) მოდი აქა.--მე შენ პარვიეტში ტყვეთ დაიჭირე და ამითი შენ სიკვდილს გადაგარჩინე, და ფიცი ჩამოგართვი, რომ შენ აღასრულო ყოველისფერი, რაც უნდა გიბძანო. ასრულე ეხლა ის ფიცი, იყავი თავისუფალი, მაგრამ ჯერ ეს მახვილი, რომელმაც მოჰკლა ცეზარი, მამიშვირე მკერდში. წინააღმდეგ პასუხს ნუ მამცემ; აი ტარი: დაიჭირე; როდესაც პირზე მოვიფარო -- აი ესრე-- დამატაკე.--შენ, ცეზარო, თვითონ იმ მახვილმა გადაიხდა შენი სამაგიერო, რომლითაც შენ მოკვდი! (მოკვდება.)

პინდარესი. მე თავისუფალი ვარ; მაგრამ რომ შემძლე-ბოდა გაბედვა, თავის დღეში ამ ფასათ არ ვიყიდდი ჩემს

თავისუფლებასა. ოჰ, კასიუს! მე მიერბივარ ამ ქვეყნიდან ისე შორს, რომ ჩემს ამბავს ვერაინ ჰროშაელთაგანი ვერასდროს ვერ გაიგონებს! (გაეა. შემოვლენ ტიცინიუსი და მესსალა).

მესსალა. ტიცინიუს, ეს მხოლოდ ერთი ერთმანეთის სა-მაგიეროა; როგორც კასიუსის ჯარი დაამარცხა ანტონიუსმა, აგრეთვე ოკტავიუსის ლშქარი დაამარცხა ბრუტუსის ჯარმა.

ტიცინიუსი. ეგ ამბავი კასიუსს ანუგეშებს.

მესსალა. სად დასტოვე ისა?

ტიცინიუსი. აქ გორაკაზე, იმისი მსახური პინდარესიცა იმასთანა იყო.

მესსალა. ეს ის ზომ არაწევს?

ტიცინიუსი. ეს ცოცხალს არა ჰგავს.... ოჰ, გულო!

მესსალა. ის არის?

ტიცინიუსი. არა, ის იყო, მაგრამ ახლა კი კასიუსი აღარ არსებს. ოჰ, მზეო ჩამამაელო! როგორც შენ გადაიხრები შენის ძოწის-ფერ შარაევანდელში დასაველეთისაკენ, ისე კასიუსის სიცოცხლე ეხლა თავისავე ძოწისფერ სისხლში დაიხრჩო. გაჰქრა ჰრომის მზე! ჩვენი ღლე შესრულდა! ნამი, ნისლი, საშინელება წინ გვიძევს; ჩვენ შევასრულეთ ყოველი ჩვენი საქმე ამ სიკვდილის მიზეზი იყო ეჭვი ჩემის გამარჯვებისა.

მესსალა. ჰო, გამარჯვების ეჭვმა მოჰკლა კასიუსი. ოჰ, საძაგელო შეცდომავე, ძეო მწუხარებისაო! შენ რისთვის აჩვენებ ადამიანის მალ ფიქრის მოჩვენებაებსა? შენი დახახვა არის მსწრაფლი, მაგრამ ბედნიერებით შევებას ვერ აწვევ და მოჰკლამ შენს მშობელსა.

ტიცინიუსი. პინდარეს! სადა ხარ პინდარეს?

მესსალა. ტიცინიუს, იპოვნე შენ პინდარესი, მე კეთილ-  
შობილ ბრუტუსთან წავალ, რომ იმისი ყურთა სმენა გან-  
ემებო სამწუხრო ამბავითა, ეს უთუოთ ბრუტუსს ისე ამტ-  
კინებს გულსა, როგორათაც წვეტიანი ზეინა, ან შხამიანი  
ისარი.

ტიცინიუსი. გაეჩქარე, მესსალა. მე კი პინდარესს მოვს-  
ძებნი, — რისთვისღა გამგზავნე მე უპატივეცემულესო კასსიუს?  
განა შენი მეგობრები არა ენახე, მე იმათ დამადგეს თავზე  
გამარჯვების გვირგინი, და მთხოვეს, რომ შენთვის მამეტა-  
ნა. დაეიჯერო შენ იმათი ხმა-მალლა ყვირილი ვერ გაიგონე?  
ეაძმე, რომ შენ ცუდათ აგიხსნია! მოიტა გაგიმშვენიერო  
შენ შუბლი გვირგვინითა: მე ბრუტუსმა მამცა ესა შენთან  
მოსატანათა — და მე იმის ბრძანებას ვალსრულებ. აჟ მოდი,  
ჩქარა, ბრუტუს! შეხედე როგორ თაყვანსა ესცემდი მე კაიუს  
კასსიუსსა. შემინდეთ ღმერთნო! ესრედ აქეს ჰრომელს მო-  
ვალეობა: კასსიუსის მახვილმა გააპოს ჩემი გული! (კვდება.)  
ტრუბებში, შემოვლენ მესსალა, ბრუტუსი. ყმარწვილი კატო,  
სტრატო, ვოლიუმნიუსი და ლიუცილიუსი.)

ბრუტუსი. სად, სად არის მესსალა, იმისი გვაში?

მესსალა. აი იქა. იმასთნ არის ტიცინიუსი, იმის გვამზე  
მტირალი.

ბრუტუსი. ტიცინიუსი გულაღმა წევს.

კატო. ისიც მოკლულია.

ბრუტუსი. ოჰ, ცეზარო, შენ კიდევ ძლიერი ხარ! შენი  
ხელი აჟ ბროტიალებს და ჩვენვე გვახმარებს ჩვენს იარა-  
ღსა.

კატო. გულადო ტიცინიუსს! შეხედეთ: იმას მიცვალე-



ბულის თაღი მოუერთამს გვირგვინითა.

ბრუტუსი. დარჩნენ განა კიდევ თუნდ ორი ჰრომაელთაგანი ამისთანა? ოჰ, მშვიდობით უკანასკნელო ჰრომაელთაგანო! შეუძლებელია, რომ ამისი მსგავსი მეორე დაიბადოს ვინმე ჰრომში. მეგობარო ჩემო, ამ მცხედარზე მე უნდა მომატებული ცრემლი დავდვარო იმაზე, რასაც დაინახამთ ჩემს თვალში ესლა. ამისათვის დროებას მე ვიპოვენი, კასიუს! ვიპოვენი! წააღებინეთ ამის გვაში თასოში. ბანაკში ნუ იქმნება დასაფლავება; ეს მოგვშლის ჩვენა. აბა, ლიუცილიუს! აბა, კატო! მივდივართ საომარ მინდორზე. აბა ლაბეო და ფლაბიუს, წამოსწით წინ თქვენი ჯარები. ესლა მეოთხე საათია, ჩვენ სალამომდისინ შეგვიძლიან ერთხელ კიდევ ვიომოთ!

გამოსვლა მეოთხე.

მეორე ნაწილი საომარი მინდორისა. შემოვლენ ბრძოლით, სალდათები ორივე მხრისა: შემდგომ ბრუტუსი, კატო ლიუცილიუს და სხვანი.

ბრუტუსი. თანა-მოქალაქეო. განმხნევედით, ნუ შეკრთებით!

კატო. ვინ არის ჩვენში ისეთი წამხლარი, რომ შეემინდეს? ვინ მამდევს მე? მე ჩემს სახელს გაუწყებთ. — მე ვარ კატოს შვილი! მეგობარი სამშობლოსი და მტერი მტარვალეებისა. გაიგონეთ! მე შვილი ვარ მარკუს კატოსი; შვილი კატოსი! (დაეცემა მტერსა).

ბრუტუსი. მე ვარ ბრუტუსი, მარკუს ბრუტუსი, მეგობარი სამშობლოსი; შეიტყეთ ყველამ ესა! (მიაწვება მტერსა.

კატო წაიქცევა.)

ლიუცილიუსი. ოჰ, კეთილშობილო ყმაწვილო კატო! შენ წაიქცე შენ მოკვდი იმავე სიქველით, როგორათაც ტიცინიუსი და დამტყიცე, რომ შენა ხარ კატოს შვილი.

პირველი სალდათი. დამმორჩილდი თორემ მოკვდები!

ლიუცილიუსი. დაგნებდები, მხოლოდ იმ პირობით, რომ მოკვდე. აი აქ საკმაო ფულია. (შეაძლევს ფულსა.) მამკალი მე; მე ბრუტუსი ვარ. მოჰკალი ბრუტუსი: იმისმა სიკვდილმა გაახშიანოს შენა ქება.

პირველი სალდათი. არა, მოკვლა არ იქნება. — ბიჭებო, განთქმული ტყვეა!

მეორე სალდათი. ეი, მამეცა. — ანტონიუსს ვეტყვი, რომ ბრუტუსი ტყვეთ დაეჭირეთ.

პირველი სალდათი. მე შევატყობინებ. აი თვითონაცა. — ბრუტუსი დაეჭირეთ, ბრუტუსი დაეჭირეთ!

ანტონიუსი. სად არის?

ლიუცილიუსი. ის თავისუფალს ადგილას არის, ანტონიუს, ჰო, შემძლიან დაგარწმუნო, მტერი იმას ცოცხალს ვერ დაიჭერს. მოწყალე ღმერთნი დაიხსნიან იმას ამ შერცხვენისაგან! სულ ერთია, ცოცხალს დაიჭერ თუ მკვდარს იპოვნი — ნახამ, რომ ბრუტუსი თავისს სიტყვას არ გადაღვგება თავის ღღემში!

ანტონიუსი. ჩემო მეგობარო, შენ ბრუტუსი არ დაიჭირებ. მაგრამ, ეგეც აგრეთვე უძვირფასესი დავლაა. მოკვდავს მავსა და აღერსიანათ მოეკეციოთ: ჩემთვის სასურველია ნება რომ მაგისთანა ქაცები მეგობრები იყვნენ ჩემნი და არა მტრები. წადით და შეიტყვეთ ცოცხალია თუ არა ბრუ-

ტუსი. და ყოველისფერი შემატყობინეთ. მე ოკტავეისთან ვიქნები კარაფში.

გამოსვლა მესუთფ.

მეორე ნაწილი საბრძოლო მინდერისა. შემოვლენ ბრუტუსი, ღორდანიუსი, კლიტესი, სტრატო და ვოლიუმნიუსი.

ბრუტუსი. აქეთ, მეგობრებთაგან ღარიბნო ნაშთნო! დასხედით ამ ქვაზე.

კლიტესი. სტატილიუსმა თავისი ჟინჯღილი დაგვანახვა, მაგრამ თვითონკი არ მობრუნდა; ის ან დაჭერილია ან მოკლული.

ბრუტუსი. დაჯექი აბა კლიტეს. კაცის-კვლა — სიტყვაა, მართალი ეხლა მოკვლაა შემოღებული. გამიგონე. (კლიტესს ყურში ეჩურჩულებს.)

კლიტესი. არა, ბატონო, არას გზით არ შეიძლება!

ბრუტუსი. მაშ ჩუმათ იყავი, კრინტი არ ამოიღო!

კლიტესი. მე უმალ თავს მოვიყვამ.

ბრუტუსი. დამიგდე ყური, ღორდანიუს. (უჩურჩულებს იმას ყურში.)

ღორდანიუსი. მე უნდა ვგ მოვიქმედო!

კლიტესი. ოჰ ღორდანიუს!

ღორდანიუსი. კლიტეს.

კლიტესი. ღორდანიუს, რა უკეთური თხოვნა ჰქონდა შენთან იმასა?

ღორდანიუსი. იმანა მთხოვა თავისი მოკვლა. უყურე, ფიქრობს.

კლიტესი. ჩაფიქრდა. ჰო, ეს კეთილშობილი ჰურჭელი ებ-  
ლა პირამდინ საესეა მწუხარებითა. თვალეში მოაწვა სეედა.

ბრუტუსი. აჲ მოდი, ვოლიუმნიუს, ორიოდე სიტყვა  
მაქვს სათქმელი!

ვოლიუმნიუს. რას მეტყვი, ლაშქართ წინამძღვარო?

ბრუტუსი. აი რას გეუბნები, ვოლიუმნიუს: მე ორჯელ  
ცეზარის სული ღამით გამოშეცხადა, პირველათ სარდის მახ-  
ლობლად, შემდგომ--წარსულს ღამეს აქა, ფილიპპის მინ-  
დორში. ვიცი მე--ჩემი აღსასრული მოსულა.

ვოლიუმნიუსი. არა, ბრუტუს.

ბრუტუსი. მე ამხედ დარწმუნებული ვარ. შენ ხედამ,  
საქმეები როგორ სწარმოებენ ქვეყანაზე; ჩვენ მტრებმა ფრი-  
ალო კლდის პირზე მოგვრეკეს: უმჯობესია! რომ ჩვენ თვითონ  
გარდავსცივდეთ, ვიდრე ველოდეთ, რომ ხელი გვკრან და გადაგე-  
ყარონ. ოჰ, ჩემო კეთილო ვოლიუმნიუს! მე და შენ ერთს დროს  
ერთად დავდიოდით ხოლმე სასწაელებელში; ძველი მეგობრობის  
გულისათვის დაიჭირე ჩემი მახვილი: მე თვითონ წამოვეგები ზედა.

ვოლიუმნიუსი. ეს მეგობრული საქმე არ არის, ბრუტუს.

კლიტესი. გაიქეც, გაიქეც! აჲ დგომა არ შეიძლება!

ბრუტუსი. მშვიდობით! შენც მშვიდობით, შენც, 'ვოლი-  
უმნიუს, სტრატო! მთელი ეს დროება შენ ძილში გაატარე.  
მშვიდობით შენც! თანა-მოქალაქენო, გულით ემხიარულოფ,  
რომ ჩემს სიცოცხლეში ყოველთვის მე 'ვპოვებდი ხოლმე  
მხოლოდ ერთგულს მეგობრებსა. მე დღევანდელი დასაკლი-  
სით უფრო განთქმული შევიქნები, ვიდრე მარკუს ანტონი-  
უსი და ოკტავიუს ცეზარი თავიანთი სამარცხვინო გამარჯ-  
ვებითა. მამიტვეთ ყველამ ერთად! ჩემმა ენამ თითქმის სრუ-

ლიად გაათავა მოთხრობა ბრუტუსის ცხოვრებისა, ლამე თვალეზში მაქვს მამდგარი და მოსვენება სურთ ამ ძველებსა, რომელნიც ჯაფას ეწეოდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ამ ჟამს ელოდნენ. (ბრძოლის ხმა. ყვირიან სცენის უკანა: გაიქცით, გაიქცით!)

კლიტუსი. გაიქცე ჩემო ლაშქართ წინამძღომელო!

ბრუტუსი. მე შენ უკან მოგდევ, თავს უშველე! (კლიტუსი, დორდანიუსი და ვოლიუმნიუსი გაიქცევიან.) გთხოვ შენ, სტრატო, ჩემთან დარჩი, — შენ ყოველთვის იყავი კარგი. პატიოსანი ყმაწვილი; — დაიპირე ჩემი მახვილი და პირი მომარიდვ, როდესაც მე ზედ წამოვეგები. აღასრულე ჩემს თხოვნასა!

სტრატო. ჯერეთ შენი ხელი მამეცი მე. მშვიდობით, ბატონო ჩემო!

ბრუტუსი. მშვიდობით, ჩემო კეთილო სტრატო! ოჰ, ცეზარო, მოისვენე: მე შენ ისეთი ხალისით არ მამიკლამხარ, როგორც ჩემს თავს ვიკლამ! (დაეძგერება მახვილსა და მოკვდება. არეულობა. ჯარების უკან დაბრუნება. შემოვლენ ოკტავიუსი, ანტონიუსი, მესსალა, ლიუცილიუსი და იმათი ჯარები.)

ოკტავიუსი. ეს ვინ არის?

მესსალა. ბრუტუსის კაცი. — სტრატო.

ოკტავიუსი. სად არის შენი ბატონი?

სტრატო. ის ეხლა თავისუფალია მონების უღლისაგან, რომელიც შენ კისრად გაძევს და დამმარცხებლებს აღარაფერი შეუძლიანთ იმას უყონ რამე, თუ დასწვენ თორემა: მხოლოდ ბრუტუსმა დაამარცხა ბრუტუსი, და სხვას არავის

აღამაღლებს იმისი სიკვდილი.

ლიუცილიუსი. უთუოთ ასეთი უნდა ყოფილიყო ბრუტუსი. — გმადლოფ, მარკუს ბრუტუს: შენ გაამართლე ლიუცილიუსის სიტყვა.

ოქტავიუსი. ყველანი ვინც ემსახურებოდნენ ბრუტუსსა, მე ამიყვანია. საყვარელო, შენ თანახმა ხარ ჩემთან სამსახურისა?

სტრატო. ჰო, თანახმა ვარ, თუ ჩემი თავი მესსალამ შენ მოგცა.

მესსალა. სტრატო, სთქვი, როგორ მოკვდა ბრუტუსი?

სტრატო. მე დავიჭირე იმისი მახვილი: ის ზედ წამოეგო.

მესსალა. ოქტავიუს, მამ შენ აიყვანე ისა, ვინც ჩემს წინამძღოლს უკანასკნელი სურვილი აღუსრულა.

ანტონიუსი. ამათს კრებაში ყველაზედ კეთილმოზობილი იყო ბრუტუსი: სხვა შეთქმულები მოექცნენ ისრე დიდს ცეზარსა შურითა, და ბრუტუსი გაუამხანაგდა იმათა მხოლოდ პატიოსნებისა და საზოგადო საქმის მოყვარების მოვალეობის მიზეზითა. მშვენიერი იყო ცხოვრება ბრუტუსისა, და ისე შეერთებულნი იყვნენ იმათში სტიხიონნი, რომა შეუძლიან ბუნებამ აღდგომილმა მთელი ქვეყნის წინ სთქვას: ე ს ი ყ ო კ ა ც ი.

ოქტავიუსი. მოვექცეთ ბრუტუსს იმისი ღირსების და გვარად. მივსცეთ პატივს და ყოველი წესი დასაფლავებისა! ამაღამ იმისი გვამი იღვას ჩემს კარავში, სრულის ტანთ სიცმელითა, როგორც შვემენის სამხედრო კაცსა. ახლა დაღალული ჯარი უნდა დავასვენოთ, და ჩვენ წავიდეთ ბედნიერი გამარჯვების შემდგომ, მშვენიერ დავლის ერთმანერთში განსაწილავად!

მ. ყიფიანი.

## ქართული სიმღერა.

ძმარ ქართველო, ძმობასა ვფიცავ,  
რომ მოიარო მრთელი ხმელეთი,  
ჩუპნის სამშობლოს ქვეყნისა მზგავსი  
შენ ვერ შეგხვდება კუთხე ვერც ერთი.

მერწმუნე, — იყავ მისი ერთგული.  
აქ ნახე პირველ ქვეყნის ნათელი;  
აქ ჩაგესახა პირველად სული,  
აქავ მიგიღებს შენ მიწა გრილი.

გიყვავებს და გზრდის თვისი ძუძუთი,  
გათამაშებს თვს მშვენიერს ველზედ,  
და როს მოკვდები, დიდ სიყუარულით  
ბოლოს თვთანვე მიგყრავს მკერდზედ.

ძმარ ქართველო, ძმობასა ვფიცავ,  
რომ განვლო გზა შენ თვთ უშორესი,  
ვერსად შეგხვდება სამშოლოს მზგავსი  
მეგობრობა და ტკბილი ალერსი.

თუ გაწერია შუბლზედ ეს ხვედრი,  
რომ მის მტრისათვს იქნო ხმალი,

დიდის კმაყოფით აღიღე მკვეთრი,  
ეს არის შენი თვით საღმრთო ვალი.

აქ ვანატარო უნდა სიცოცხლე,  
აქ მოიგერო უნდა შენ მტერი,  
როს მოემზადო განსასვენებლად,  
ბოლოს ჩაყარო აქ უნდა ძელები! . . .

ძმაო ქართველო, იყავ ერთგული  
შენის სამშობლოს ტკბილის ქვეყნისა;  
მახედ ნთხეულა მრავალ გზის სისხლი,  
მამულის ერთგულთ წინაპრებისა.

მახელა გვექონან ჩუბნ სახსოვარი,  
ჩუბნ მამა-პაპათ მოსაგონებლათ,  
ზედ აჩნევა გამირული ღვაწლი,  
აწ ქცეულთ ძმაო ნატამალებათ.

ბევრ გზის შებმია ქართველი მტერსა,  
ერთგული თვის მშობლის მიწისა;  
აქ შეჰკლოშია ბევრ გზის მტრის ხელსა  
თავის ღარიბის ქოხისათვისა.

ჩუბნ ქვეყნის ერთგულთ მამულის ძეთა,  
ბევრ გზის სევია ღრუბელი შავი,  
თვს მშობლის მიწის განმადიდეთა,  
აქ შეუწირავს ბევრს მათგანს თავი.

ჩუბნ მხარეს ტანჯვა ბევრ გზის უცლია,  
ატირებულა ერთგულ თვს შეილზედ,



მაგრამ განწირულს მყოფობაშიაც,  
 მაინც დგომილა მოთმენით, მტკიცედ.

მამ ჩემო ძმაო, იყავ ერთგული  
 მისი, ვისიც ხარ, შენ სატრფო შეილი,  
 აქ ჩაგსახია პირველად სული,  
 აქვე მიგიღებს შენ მიწა გრილი.

ძმაო ქართველო, ძმობასა ვფიცავ,  
 რომ მოიარო მრთელი ხმელეთი,  
 ჩუენის სამშობლოს ქვეყნისა მზგავსი,  
 შენ ვერ შეგეხდება კუთხე ვერც ერთი . .

ი. კერესელიძე.

1867 წელსა 25 ფებერვალს.

## თრთარ.

ნეამბობი ბესათიონ ვარგისაშვილისა.

(ოსურის ცხოვრებიდამ.)

### 1.

თბილისისგან განშორება და მამიჩემის მცნობი მღვდელი.

ძლივს, რის ვაისა და ვაგლახითა და წვა და ღაგვით დავახწიე თბილისს თავი ჩემი ექვისის წლის დატუსაღების შემდგომ! ღმერთო! რაცა მე აქ ტანჯვა, მწუხარება, უსიამოვნება, დაცრობა და ყველას საქმეში მარცხი და ხელის მოკრა მოვითმინე!..ვინ იფიქრებს ეხლა, ჩემს დანახვანედ, რომ მე ვარ ოცდა ოთხის — ოცდა ხუთის წლის კაცი, (ასრე დაიწყო ბესარიონ ვარგისაშვილმა თავისი მეორე ამბავი) თმა გამითეთრდი, სახე დამეღერიმა და დამეღმიჭა, თვალეზი ჩამიცვივდა. განა ამისთანა ვიყავ როცა მე შევასრულე უეზდის სასწავლებელი და ჩამომიყვანა მამაჩემმა აქ სამსახურში მისაცემათა! მართალია სასწავლებელში ბევრი როზგი მოვითმინე, მართალია ღარიბათა ესცხოვრობდით: შიმშილიც გვაწუხებდა და სიტიტვლეცა, სიცოვეცა და სიცხეცა; მაგრამ მე ამას ვერა ვგრძნოდი, ამიტომა-რომ მე ჩემს უკვეთეს

ცხოვრებას ჯერ ვერა ვხედავდი. სასწავლებლებში მეგობრები სულ ჩემისთანა ღარიბი კაცის შვილები მყვანდნენ და თუ იჩენდნენ ჩვენში შემძლე კაცის შვილებიცა, იმათაც ჩვენ ვხედავდით სასწავლებელში, სადაც ჩვენთან ტოლმეტობრელოთ იყვნენ, ერთმანეთში გარჩევა არა გვექონდა. როდესაც შეველ სამსახურში, დავტრიალდი ქვეყანაში და მივენდვე ჩემს თავსა; მაშინ სხვა რიგათ დატრიალდა ჩემ თვალწინ... ცხოვრება...

სამსახურში მამაჩემმა ჩამაბარა ერთს თავის ნათესავს, სტოლნაჩაღნიკს, რომელიც თითონაც არ იცოდა საიღამ იყო იმის ნათესავი.

დამსვეს სამსახურში საწვრათა და თვლები ამიჭრიალდა. ყველამ დამიწყო ისეთ ნაირათ ცქერა, თითქო მამიუნს ათამაშებენო. მე ამან უფრო გადამრია და სულ ვეღარ მოვახერხე ასოების დასმაცა. „ერი ჰა! — გაიკმარა ტუჩების აპრუწვით ჩემმა ნათესავმა სტოლნაჩაღნიკმა:--მენ წერა სულ არა გცოდნია და როდის უნდა ისწავლო!... რას აკეთებდი აქამდინ სკოლაში, რომ წერაც არ გისწავლია?!...“ ამ სიტყვებზედ სულ უფრო გადავირიე: სახე თონესავით ამენთო, თვლები ამემღვრია სისხლისაგან, და ამ წუთში დედამიწა რომ გამსკდარიყო და თან ჩავეტანე ისეი მერჩინა იმ ყოფას, რაც ყოფაში მე მაშინ ვიყავი. „აბა ერთი ეს წაიკითხე!“ მითხრა სტოლნაჩაღნიკმა და მომცა ერთი რაღაცა ცუდათ ხელნაწერი ქალღი. მე ჩავაცეცე სატირლათ ამღვრეული თვლები, მაგრამ ამაოთ: მე იმ ხელნაწერისა ვერა ვავიგვრა და ტყუილათ ვაფათურებდი ფილენჯიანივით ტუჩებსა. სტოლნაჩაღნიკმა უკმაყოფილოთ გაანძრია თავი, გამომტაცა ხელიღამ ქალღი და დაჯდა. ჩინოვნიკებმა დაცინვით გაიხარხა-

რეს ამ ამბავზედ და ჩაუსხდნენ თაე თავის საქმესა.

იმ დღეს დავებრუნდი შინა. (მე ვიდექ ერთს ჩვენიდამ წამოსულის დამოათ დაცემულს გლახასთან, რომელსაც დაჰპირდა მამა ჩემი ჩემის შენახვისათვის წელიწადში რვა კოდს პურსა და ისიც უძნელდებოდა.) გული მიდუღდა და მიღონდებოდა, მინდოდა სადმე კუნჭულში ჩამეგდო მარტო თაეი და გამომეტორნა ჩემი მწუხარება და სირცხვილი და ალაგიც ვერსად ვიშოვნე, რომ მომეთარებინა მარტოს სატირლათ თაეი.

ამ ტანჯვაში გავატარე თითქმის ორი წელიწადი, მინამ კარგათ წერაში გავიმართებოდი და ალაგს ვიშოვნიდი. დედიჩებისაგან კი მოსვენება აღარ იყო, წამ და უწყუმ მომდიოდა წიგნი, თუ: „რა დაგემართა, შეილო! ჩვენი ქონება შენზედ დავასრულეთ, კურსი შეგასრულებინეთ და ალაგსაც არა ცდილობ... მგონი დაგავიწყდა შენი ოჯახის ამბავი და აღარ გახსოვს, რომ სიმშობისა და სიტყველისაგან სულელები ამოგედის! თუ შენი თავისთვის არა ცდილობ, ჩვენთვის მაინც ეცადე... ნუ ხარ, შეილო, ე ავბარტაენი, ყველასთან თაეი მოიმდაბლე და მორჩილება გაუწიე. დედაშვილობამა მორჩილებისთანა არა არისრა: ყველას მონა და მორჩილი უყვარს. ღარიბი კაცისშვილი ხარ,--ყველასთან მორჩილება გმართებს. რომელი ერისთაეი და მუხრანბატონი ხარ, რომ თაეილობ თხოვნასა და თაეის მომდაბლებასა!“

ამ გვარი წიგნები კიდევ უფრო გულს მიწყლულებდა და უფრო დარდსა და ფიქრში მაგდებდა... ძლიერს გამიჩინეს ჯამაგირი რვა მანეთი თვეში და ამ ფულიდამ კიდევ შინაც უნდა შემწეობა მეძლია!

ამ დროდამ იწყება ჩემი ბრძოლა ცხოვრებასთან და უღროვოთ დაბერება. აქ მე დაეინახე და დაერწმუნდი, რომ მე მარტო ჩემი თავი არა მქონდა საცხოვრებლათ საზრუნველი: მე უნდა შემენახა კიდევ ჩემი დედამა, რომელთაც თითონ აღარ შეეძლოთ თავის (შენახვა,) და იმათი წერილმეილები. მე ყოვლის ღონისძიებით ეცდილობდი, რომ შემესრულებინა ჩემი მოვალეობა მშობლებთან და დამძებთან, მაგრამ ასრულებავი ძალიან შორს იყო... მე ვხედავდი, რომ თითქმის ჩემსხვლა ყმაწვილებს აძლევენ კარგს ალაგებსა და თან და თან მიჰყავთ წარმატებაში და მეცი ამდენის ხნის სამსახურის განმავლობაში, თუმცა შემეძლო საქმე, თექვსმეტს მანეთს ვერ წაუყვდი. „რითი მჯობიან ისინი მე, რომ ისინი ასრე წინაურდებიან. ფეიქრობდი ხოლმე მაშინ ხშირათა: იმითი რომ ისინი დიდს სასწავლებლებში არიან და ზრდილები ამან ძალიან დამაფიქრა. „რა იქნება ჩემი ცხოვრება?“ დავიწყე მე სჯა: „ეს დიდის სასწავლებლებიდამ გამოსული ყმაწვილები დლით. დღე მრავლდებიან. . . . და ჩემისთანა კაცს ვილა უფლებს ყურსა (თუმცა დედაჩემი კურსოვნისს მეძახდა.), თუნდა ზეციდიმ ვარსყვლაეები ჩამოჰყვანდეს მეთქი! არა უნდა მეც უპატრონო ჩემს თავსა, უნდა მეც ვისწავლო, უნდა მეც მივიღო სწავლის დიპლომი, თორემ თექვსმეტის მანეთით შორს ვერ წავალ...“ მაგრამ ყველა ფიქრი და მეცადინეობა აშაოთ შემრჩა. რამდენიც საქმეს შეუდექე, იმდენი ხელი მომეცრა--არ ვიცი ჩემის უხერხულობით, თუ სხვა რამე მიზნები იყო. მე დაერჩი ისევ ჩემს გზაზედ და უფროც წავიხდინე სამსახურში საქმე... წიგნებმა, უიმისოთაც ავპარტაენი, უფროც გამაპარტაენეს და გამამაყვეს. წინა-

ღმდევ ღელიჩემის წიგნებისა, რომლებითაც ის მარტებდა  
 მორჩილებასა და თავის მომდაბლებასა უფროსებთანა, მე არ ვი-  
 ღრეკლი იმათ წინ თავსა. მე ვიცოდი ხოლოდ ჩემი საქმე  
 და ვცდილობდი ჩემის თანამდებობის სინიღისიანათ შესრუ-  
 ლებასა. მაგრამ . . . . .

ამ გვარს ცხოვრებასა და შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავ, როდესაც მე დავეთხოვე ოც და რვა ღლით ჩემი ახალის სა-  
 მსახურიდამ, სადაც ძლივს მივიღე ოც და ათი თუმანი აღ-  
 გილი, და წაველ შინა.

მე ვიჯექ კარგს მატარებელს ცხენზედ და მყვანდა თან  
 ერთი ღრაგუნი, ღენშვი ჩემი ერთის მახლობელი ბიძაშვილისა.  
 მე მოვაქროლებდი ცხენს, რომ მალე მოვმოკრებოდი იმ ალა-  
 გებს, სადაც გამოვიარე იმღენი მწუხარება.

გამოცდი თუ არა ქალაქს, შემომკრა მშვენიერმა სუმ-  
 ბუქმა და გრილმა ნიაემამ. გაიშალა ჩემ წინ ყოველივე მშვე-  
 ნიერება ჩვენის ბუნებისა. მართალია პოეტური არა ვარ, მა-  
 გრამ როდესაც შემომესმა ფრინველთ უღარღელი და ლა-  
 ღათ ჭყრიბინი (ჩიტებიცვი ჩვენზედ ბედნიერნი არიან მეთქი,  
 ვიფიქრე), დაინახე გამლილი მინღვრები, ზღვასავით მობი-  
 ბინე მწვანე ყანები, მძღაერათ და მჩქეფრად მომღინარე  
 წყლები, ზალალი ამაცათ ამართულნი და გულღია მთანი  
 თავისის ლაჭვარღის წმინდა ჰაერიოთა, მივეცი მძიმე, ჩემი  
 გულის ღარღის ფიქრსა. „ყოველივე სუნთქვას სიღაღითა  
 და შეებითა, ყოველივე გამოიციქირება თავისუფლებითა და  
 ფართოთა, ყოველივე ამ ბუნებაში თითქო ჰქაღაღებდა სი-  
 თარხნსა. . . . . და როდესაც გადავაღვე

გონება ჩვენს აწმყოს და წარსულს ღროვებასა, მამინ დაინ-  
ნახე, რომ ძველი ცხოვრება გვიჩვენებს ხოლოდ:

ჩვენთა წინაპართ ძეალთა რჩენილთა,  
მტრისა ზრძოლამი ჩაბნეულებთა,

.....

მე რომ ამგვარს ფიქრებში ვიყავი გართობილი, შუად-  
ღის სიცხემ თან და თან მოუჭირა, ცხენს სიცხისაგან გა-  
მოსდიოდა პირიდამ და ტანიდამ ოფლის ხვრთქლი. მე შე-  
მოგვარ ცხენს ქუსლი, რომ მალე მიმეტანებინა სადმე ან  
ღუქნისა, ან იმისთანა გრილის საძოვრიანის ადგილისათვის, სა-  
დაც მეც შემესვენა და მოვნაყრებულეიყავ და ცხენიც მო-  
მენაყრებინა.

ამგვარი ალაგიც მალე ვიპოვნე. შევედი ერთს ქალაში,  
სადაც ჩამოდის მთებიდამ ლამაზი წმინდა წყარო. წყაროს  
პირას იჯდა ერთი სქელი, მოხუცებული ღუდელი თავისის  
ღიაყვით და სკამდნენ პურსა. ცხენები იმათაც საძოვარზედ  
ჰყევანდათ მიშვებული.

—შენდაო, მამაო! — მივეც მე სალამი, და თვითონაც  
მორიახლო ჩამოვხტი მე ცხენიდამა.

—გაკუთხოს ღმერთმა! — აქ წამოიწია ღვდელმა ასად-  
გომელათა და ისევ დაემვა.

—ქართველი ყოფილა, — წასჩურჩულა ღიაყვანმა, რო-  
დესაც მე კარგა გავედი.

—ეტყობა ლაპარაკში...ებლა ხომ ველარ გარჩევ ქარ-  
თველებსა და რუსებსა, ყველანი სულ სხვანაირათ იცვამ-  
ენ . . . . .

..... —უპასუხა ცხვირ ქვეშ ღვდელმა.

ხენემითა. (მუცელი ახირებული დიდი. რამა ჰქონდა.)

— მობრძანდი, მამამეილობასა, თუ ქართველა ხარ, ქართველათ ღვინო დიგვილიე, — შემომძახა ახლა მე ღვდელმა.

— გმადლობთ! — და მე წაველ ღვინის დასალევათა. სი-  
ცხისაგან წყალი მწყუროდა და ყელი სამინლათ მიმრებოდა.  
იმათ ღამისხეს ღვინო. მე სიამოვნებით გადავკარ.

— ზაუწყვას ხომ არ ინებებთ?

— არა, მადლობელი გახლავართ!

— თქვენმა შვიმა! ძაან კაი ზურგიელი და ნახუქი გახ-  
ლავსთ.

მე მინც უარი უთხარი და წაველ ჩემთვისა. პატარა ხანს  
უყან მეცა და ჩემმა რუსმაც ვისაუზმეთ ერთს ჩრდილიანს  
ბუჩქებში. საუზმის უყან მე ცოტა კიდევ თვალი მოვატყუე  
გრილოში ჩხრიალა წყაროს პირსა. როდესაც გამომეღვიძა,  
ღვდელი და იმის დიაკვანიც მართავდნენ ცხენებს. წასასვლე-  
ლათა. მაინც კიდევ ჩვენ მოვასწაობით იმათა. მე მოვაჯექ  
ცხენს და გამოვწიე...

— შვიდობით, მამაო! — დაუკარ მე ღვდელს თავი რო-  
დესაც გაუარე გვერდითა.

— გაკურთხოს ღმერთმა! — მიპასუხა ღვდელმ ხენემით, რო-  
მელიც თითონაც ის იყო ვაიმართა ცხენზედა: — თქვენ საით  
მიბრძანდებით?

— საფარგოსოში.

— კეთილი!... თუ უკაცრავათ არ გახლდეთ, ახალი დიამ-  
ბეგი რომ დაგვინიშნეს, თქვენ ხომ ის არ ბძანდებით?

— არა! მე გახლავართ ბესარიონ ვარგისამელი.

— შენი ჭირიმე?



— დიან!

— რომლის შვილი ბრძანდებით?

— პაპუასი.

— კეთილი!... ღმერთმა გაკურთხოხ, შვილო. მამა თქვენს პაპუას კარგათ ვიცნობ... თქვენი ოჯახი ძალიან დიდი ოჯახი იყო... მე შენ მოგახსენებ, იმასთანა გაკეთებული ოჯახი არც თავადისა, და არც აზნაურისა არ იყო... მე გამოგონია, შეფეები თურმე ყოველთვის იმათთან ჩამოხტებოდნენ... განსვენებული პაპა თქვენი ავთანდილ შვილებს უნათლამდა ბიძაჩემს თეოფინე ღვდელსა... ნათელ მირონობა გვაქვს ერთმანერთში...

— კეთილი.

— მამიშენის შებმ, ძან მამებე, მამიშენისა და იმის შვილების კეთილი. მადლობა ღმერთს არამ სიბერის დროს კაი შვილები მოვსწარით პაპუასა... თქვენი ქება ყოველგან ისმის ჩინს მხარესა... კაი სამსახურის პატრონი და დიდკაცებში თურმე ბრძანდებით შესული... უჭირს კიდეცა თქვენის ოჯახისა....

— თქვენ საითლა მიბრძანდებით?— გავაწყვეტინე მე ლაპარკი.

— ჩვენი გზაც ისრე გახლავსთ... მე გახლავართ, გწყალობდეთ იმის მადლი, კლდეთ-უბნის წმინდის გიორგის მღვდელი.

— კეთილი იყვეს,

ღვდელმა კიდევ რაღაებიც ილაპარაკა ამგვარი, მიამბო ჩვენი ოჯახის რაღაცაები: სიძველე, სიმდიდრე და ვაჟკაცობა და სხვა. მერე, რაკი დამატყო რომ, მე სხვა ფიქრში გავერთე და ამასთან თითონ იმასაც საფანელი, შემოაკლდა გაჩუმდა.

მე შემომპყრა ისევ ჩემმა საღარდელმა ფიქრმა: ოცდა  
 რვა დღის უკან უნდა ისევ ჩემის სამსახურისაკენ დაებრუნე-  
 ბულიყაე. . . . .

მე რომ ამ ფიქრში ვიყავი, ღვდელი ხშირათ იხდიდა  
 ხმინვით ქუდსა, იწერდა პირჯვარსა და ამბობდა დაბალის  
 სასოებიანის ხმით: „ჰურთხეულ არს, უფალო, სახელი შენი!..“  
 და ამ სიტყვებზედ ამოუშვებდა ხოლმე გულიდამ მძიმე ოხვრასა.

ჩვენ მივატანეთ ერის ნიშნა, რომელიც მე ჩემს ფიქრე-  
 ბში ვერ შეენიშნე. მღვდელმა მოიხადა ქული, დაიწერა პი-  
 რჯვარი და რაღაც ლოცვა წაიბუტბუტა. როცა გაათავა  
 თავისი ვალი, იმან დაიხურა ქული, ამოიოხრა რაღაც მნი-  
 შვნელიანის ოხვრითა და კვლავინდელზედ უფრო მალლა და  
 საჩივრიანად წარმოსთქვა თავისი: „ჰურთხეულ არს უფალო  
 სახელი შენი!“

მე მამინვე მივხვდი რასაცა ნიშნავდა ეს მწუხარების ოხვ-  
 რა და საჩივრიანი გულდაშწვარი კილო. მაგრამ ვითომც  
 არ შემინიშნავს.

— ცუდი ღრო დაგიდგა, მამამეილობამა! — დაიწყო მღვ-  
 დელმა ხმის შეპარებით და შეწუხებით.

— როგორა, მამაო? — ვკითხე მე, თითქო არ ვიცოდი  
 რასაც იტყოდა.

— მა რა არის! ღვთის შიში და სიყვარული არსად არის,  
 ნათესაობა და ნათელ მირონობა აღარავის სწავს... მამამეი-  
 ლობამა, რომ ძველს ღროში შეიდს თაობას ნათესაობას და  
 თოთხმეტ თაობას ნათელმირონობას იცავდნენ... ეხლა ეკვ-  
 ლესიაზედ პირჯვარსაც აღარ იწერენ... მეტი ცუდი ღრო  
 რაღა იქნება, რომ კაცმა ღმერთი დაივიწყოს!..

— მერე ვინ დაივიწყა ლმერთი, მამაო?

— ეჰ! ცუდი ღროა, მამაშვილობაჲ, ამისთანა ღროს კარგი არა მოაქვს რა. საღმრთო წერილი გვიბრძანებს, რომ როდესაც ლმერთს დაივაწყებენ, მეორეთ მოსელა მაშინ იქნებაო....

მე გაეჩუმდი.

— მე ასრე მესმის, — გაახლა მღვდელმა ლაპარაკი, — რომ, ჰხმუჰ! ეხლანდელს ყმაწვილკაცებს არა სწავს რაო.

— რა მოგახსენოთ.

— თქვენ ტუნტეტი არა ბძანდებით?

— არა.

— მოგახსენებენ, რომ ტუნტეტიებს (ღვდელი ამ სახელს ერთნაირათ ვერ ამბობდა.) აღარც ლმერთი, აღარც ნათესაობა, არაფერი არა სწამთო... ეგ, მამაშვილობა და ჩემი ნაყურთხებელის მადლობა, ემე, სულ ემმაკის მანქანებაა. ის წყეული თუ ერთი კაცს შეუჩნდა ხომ ის არის!... მერე მოგახსენებენ, ის ისტუნტები, სულ თურმე ურჯულო ფრანციცულს წიგნებს კითხულობენ და იქიღამა სწაელობენ, და იმათსას მოგახსენებენ, შენი ჰირიშე, რომ იმათთანა ჯადო-ქარი ხალხი ქვეყანაზედ არ არისო... იმათ, მე შენ მოგახსენო, სულ ემმაკის გზაზედ უელიათ და უნდათ სხვებიც თავის ამხანაგათ გახადონ... ქართველი შვილი როდი უნდა აჰყევს... ემმაკი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მძლავრია, ლმერთმა დასწყეელოს; მაგრამ, თუ კაცმა, მამაშვილობამ, ღეთის მადლი და სახელი არ დაივიწყა, ის წყეული ვერას უზაეს.

— სულ ტყულებს უგონებენ სტუდენტებსა. მამაშვილობამ ზოგიერთა სტუდენტია, რომ ზევრს სასულიერო კაცზედ უფ-

როც ახსოვს ღეთის მადლი და სახელიცა და წირვა ლოცვა-ცა.

— რა მოგახსენო! მეც ეგრე გამოგონია, თორემ მეცი არავის ვიცნობ... მე შენ მოგახსენო დასაჯერიკი არ გახლავს, რომ ქრისტიანმა ადამიანმა ღეთის დიდებამედ ზელი აიღოს.

ამ ლაპარაკში ჩვენ შევედით ერთ სოფლის ორლობებში. ორლობების ხლარცივი ზოგან მუცელზედ აღგებოდათ ცხენებსა და სამგან ოთხგან დიაკვანი თავისის ცხენით კინაღამ შიგ ხლარცევში ჩაგვრჩნენ. ერთს ალაგას ერთი ნახევრათ დადებული ურემი ისე გაჭირებოდათ ყვეარ კარგ ღონიერს ხარ კამბეჩსა, რომ ველარა სძრავდნენ ალაგიდამა. შოლტების ტყლამა-ტყლუში, სახრების ჟაპა-ჟუპი და მეურმეების ყვირილი შორიღამევე შემოგვესმა. „ჰოტპუ!... ჰამ!.. ჰაი შე გასატილებელო და გასავერანებელო. შენა!... ჰამ ოჰოუ!... უ! უ! დახე ამასა ე!... ოტპუ, ლომე!.. გაუჯპერდი, ბიჰო ემანდ ე ნიკორასა!..“ მეურმეები სცემდნენ, ჰიჟინებდნენ, თითონაც უღელს უწევდნენ; საქონელიც ხამუშ-ხამუშ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ეძაგრებოდნენ საცოდავათა, მაგრამ საძაგლათ ჩაფლულს ურემს საძრაობასაც ვერ უშვრებოდნენ.

ჩვენ როგორც იყო გადაერჩით ამ ლაფებსა და შევედით სოფელში. აქ ყაყყავით და გაცხარებულის ყეფით, თითქო ეს არის მთელი სოფელი სულ თან წაიღესო, მოგვეგებნენ ძაღლები. ღედელსა და დიაკვანს არა ჰყეტდნენ, როგორც მე. ჩემმა ვეროპიულმა ტანისამოსმა იმათშიაც აღძრა პატრიოტული უკმაყოფილება. შუა სოფელში ალაგ-ალაგ

გვეფლობოდა ცხენები ნახვებსა და ნახვის წუმპებში, რომლისაც სუნი ტრიალებდა სამინლათ მრთელს გარემოში ჰაერში. ერთს ალავს ბანებზედ იდგნენ დედაკაცი და უყურებდნენ ორი ქერივი დედაკაცის ჩხუბსა.

— შენი შეილი თვედორე არ იყო, შე აშარო, შენა, რომ დედაკაცის ცოლს ბანიდამ ჩაუხტა... ჰა!... ის ვინ იყო!... ეძახოდა ერთი დედაკაცი მეორესა.

— იჰ!... იმ სამას-სამოცდა სამს წმინდა გიორგი ცხოველსა ვსთხოვ,--გამოჰყოილა მეორე გულ-დამწვარი:--რომ ისრე მართლა შენ გიცოცხლოს. ი შენი დედის ერთა შეილი, ქიტუი, როგორც მაგას მართალს ამბობ... არა!... გაგწყვეტოდეს გვარი და ჯილაგი გულით მიინარესა...

— გაჩუმდი მეთქი, გაჩუმდი, შე ქვეყნის სალახანავ, ქოფაკო, თორემ სულ კიწიწებიდამ გაგცლი.

— თითონ შენ ქვეყნის სალახანავ!... შენ დაგავიწყდა განა სალამაძინთ დეთისაფარაი!... ყმაწვილ ბიჭებს, რომ ეძებ... ის შენი არ იყავი!.. შე აშარო, შენა!...

— უი! უი! ტატატატატა!... დეთის მშობელო ქანწულო!.. უი! უი! დადევ ყურებო!... იჰ, ღმერთო, დეთის მშობელო დედაო, შენ დაუღუმი ენა ტყემალანთ ბაბაღესა!...

ერთს ბაკთან, ამ ჩხუბის დროს, ერთო ერთს კაცს ნაფოტების ცეცხლი, რუჯაედა ახალ ჩამოსხმულს ურმის თეაღსა და გაჰყურებდა ჩხუბსა.

— კიდევ დატრიალდნენ ჩვენი ხარატული ჯარები!--წიბუტბუტა იმან.

ერთი კაციც, ცოტა მოშორებით ამ ბაკისა, იჯდა ერთი დილის ნერგის ქვეშ, ზურგით ნერგზედ მიყუდებული, სწევდა

ზარმაცათ ჩიბუხსა, აფუროთხებდა აქეთ-იქითა და ჭასკვეროდა ნახევრათ თვალეზ ჩაბლექილი; ამ ჩხუბსა და თან ზუტუტებდა ესეცა: „ნწუ, ნწუ, ნწუ, ნწუ! შეხე ამ ოჯახ დაქვეულებსა ე! აბა, თუ ერთი დღეგაატარონ უჩხუბრათა.. ტყუილათი არ არის ნათქვამე, დედაკაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო!..“

ჩვენ გავიარეთ და დაგვეყარგა სოფელში გზა: რომელსაც გზას ჩვენ მივღვედით, იმ გზამ მიგვიყვანა ჩვენ ერთი ბაჟის კარებზედ: იმას იქით გასავალი გზა აღარა ჩანდა.

ჩვენს დანახვაზედ პატარა ბიჭები დაგვედგინენ უკანა. დედაკაცებიც გოაცებით უცქეროდნენ ჩემს ტანისამოსსა, თუმცა ჩვენს მოახლოებებზედ ისინი იმალებოდნენ სახლენსა, და ბაჟებში და გვიყურებდნენ ჯუჯუტანაებიდამ. პატარას ხანს უკან მთელი სოფელი შეიძრა: მე ვეგონეთ დიამბეგი და ღვდელი — ბლადოჩინი. მეჩხუბარი დედაკაცები გაიქცნენ ვენახებში დასამალათა.

— პატარა ბიჭო! — დაუძახა დიკვანმა ერთს ბიჭსა, — მარა გზა საითკენ გავა?

— ქალაქისა?

— არა, პანჩურეთისა.

— აი ვგრე გაბრუნდებით, აიმ კალოებს შემოუვლით, საბძლების ბოლოს გახვალთ, იქ ორ ღობეში გზა შედის, ორ ღობებს რომ გასცდებით, მარჯვნივ წადით: ის იქნება პანჩურეთის გზა. ჩვენ დაუჯერეთ ამ ბიჭსა და წავედით.

## 2.

ღამე პანჩურადისას.

ღამემ მოგვასწრო პანჩურეთში. ღვდელი აღარ მომემვა

და მიმიპატია ერთს გაკეთებულს აზნაურთან. ჩვენში გაკეთებული აზნაური ჰქეიან, თუ სამუდგელა ხარკამბეჩი ჰყავს და ასიოდ კოდი პური მოჰყავს.

აზნაური თადეოზ პანწურადე თავის სიყმაწვილეში ებარა ერთს დიაკვანსა, რადგან ამის მამას უნდა გაეზარდა ის დედლათა, მაგრამ რაკი ღმერთმა არ მოასწრო ამ დღესა, და მოესწრაფა სიცოცხლე, თადეოზმა დაანება დიაკვანსაც თავი და დატრიალდა შინ. იმან თექვსმეტის წლისამ შეირთო ცოლი, მაგრამ მოუყვდა და მალე შეირთო მეორეცა, რომლისმც სახელი--სალომე. თადეოზ იღვა ორს პატარა ქვიტკირის ოთახში, რომელიც არ არის დიდი ხანი რაც ჩედგა. ერთი ოთახი ჰქონდა სასტუმროთა და ერთი თავისთვისაცა და სამზარეულოთაცა. ის ოთახიკი, რომელშიაც თეითონ იღვა არ ვიცი როგორი იყო და სასტუმრო ოთახის აწერაკი შემიძლიან, რადგან მქონდა ბედნიერება იქ ერთის ღამის გათევისა.

ოთახი ესე იყო უბოლო (ესე იგი ფიცარ დაუგებელი, ცარიელი მიწა.) ღამფა გაუყვრელი და სხეილი რიყის ქეით მრუდეთ აწენებული; ცალი კედელი, რომელიც კლდის ძირაში იყო ამოყვანილი, იყო ისეთი ნოტიო, რომ თითქმის წყალი სდიოდა სურამის ციხესავითა (როგორც ანდაზათ არის ნათქვამი.) ბანი იყო მიწური და ერთი რომ ცას ნამი გავარდნოდა, მაშინვე ოთახშიც წვიმას დაიწყებდა; მუხისა და წიფლის ჰერები იყენენ სისეელისაგან თეფრათ დამყაყებულნი; ალაგი ისევე სველი იყო, ერთის კვირეს წინეთ მოსულის ავდრისაგანა; ოთახი არც შიგნიდამ და არც გარედამ არ იყო გალესილი; ალაგ ალაგ კედლებს გამოეწვირათ

ქვის წვერები და ბნელაში თუ ფრთხილათ არ გაგველოთ კედლებთანა, კაცი ადვილათ გამოითხრიდა თვალსა, ან გაიტეხდა თავსა. „ძან სასახლე ჩადგა, — მეუბნებოდა გზაში ღველი: — განათლებულათა სცხოვრებს.“

თადეოზ პანჩურაძე მოგვეგება სიხარულითა. არ ვიცი კი უფრო რა გაცხარდა: სტუმარი, თუ ისა, რომ ღვინის დაღვეის შენთხვევა მიეცა, ქართველ კაცს, რომ სტუმარი მოუვა, მამინვე ღვინის სიხარულის ჟრჟოლა დაუვლის ტანში. (როგორც მოგვხსენებათ, ქართველ კაცს მარტოს სმა არ უყვარს.) უთუოთ ამ სიხარულით მოგვეგება ჩვენც უფალი პანჩურაძე, მაგრამ შენს მტერს დააფიწყდეს ყოველი კეთილი, როგორც ჩემს დანახვანედ ყოველივე ღვინის დაღვეის სიხარული თადეოზმა დაჰკარგა! იმან ჯერკი დაიძასა: „ჩამოართვით ბიჭო ცხენი, და რა კი მე დამინახა, შემერთალი გაჩერდა.

— უკაცრავათ, შენიჭირიშე! — დაიწყო იმანა.

— ესა ბძანდება ბესარიონ ვარგისოვი... მე შენ მოგახსენო ძან კი ნასწავლი ყმაწვილი კაცი; ტუნტესტია...

— მალლობელი გახლავართ! — იძახდა არევით საწყალი პანჩურაძე: — დანაშაული გახლავართ... უკეთუ ნება თქვენი გახლდებათ. (აქ ღრმით დაიწყო ლაპარაკი) უკეთუ ინებებთ... მიკადრებთ...

— აბა რას მიბრძანებთ! — დაუწყე მე ნუგემის ცემა: — მე თითონ დანაშაული გახლავართ, რომ არა მქონდა თქვენი ცნობა და ისე გავებდე ხლება... მაგრამ რადგან ქართველები ვაზთ, ჩვენ ერთმანეთში ბევრი რიდი არა გვმართებს.

— ოღონდა და! ჭეშმარიტია... ღირსიც არ გახლავართ



თქვენი..შენიჭირიმე...

აქ ველარ მოახერხა რა ეთქვა. ამას უფრო აურია დაე-  
თარი ჩემმა ღრაგუნის დენშიცმა!

მე ჩამოვხტი ცხენილამ და მივეცი ხელი, იმანაც შიშით  
ძლივს გაბედა ხელის მოცემა.

— ინებეთ რამეთუ... რაოდენი, შინ მობრძანება (ისიც ამ  
გვარის ღრმა ლაპარაკით თავის სწავლას იჩენდა) ბიჭო ამ  
ჯანდარს ცხენები ჩამოარვით,—წასჩურჩულა ბიჭებსა.

ჩვენ შევედით შინა. მე ვცდილობდი, რომ ეგება გამო-  
მეხსნა როგორმე ამ შემკრთალის მღვდლმარებილამ ჩენი სახ-  
ლის პატრონი. ამისგამო მე დაუწყე იმასა მოსაეაღწეოდ,  
დარეზებდ და ამინდებდ ლაპარაკი. ის ცოტა არ იყო გავ-  
შაღე პატარა წელში.

ჩვენს ცხენებს მალე მისცეს ბინა და საჯმელი. რათგან  
ისინი ღვინოს არა სვამდნენ, ამის სამაგიეროთ იმთენი ქერი  
შიაცემინა პანჩურაძემ, რომ ამდენი ქერი ერთბაშათ სიზმარ-  
შიაც არ ეჭამათ ჩვენს ცხენებს.

პატარას ხანს უკან თითონ მასპინძელიც ჩაცმული გა-  
მოვიდა. ჩაეცვა ჩუსტების მაგიერათ ყარაბაღული ჩექმები, მა-  
ღვარი, ფარჩის ახალუხი და მაუდის კაბა, რომლებიც არც  
ერთი ამის ტანზედ არ იყო შეყვრილი,

— მართებლის კანცალორიაში იქნება ესა? ჰკითხა იმან კა-  
რებზედ მდგომს დიაკვანსა.

— დიან! — უპასუხა დიაკვანმა დარწმუნებით, თითქო თვი-  
თონაც დარწმუნებული იყო, რომ ეს სწორეთ ასრე იყო.

— დიდი ალაგი ეჭირება?

— ოჰ, ძალიან!

--ღიანბეგზედ დიდი ალაგი აქეს?

—ჰმ! ღიანბეგი ვინ არის! ნაჩაღნიჭედაც დიდი ალაგი აქეს. თამარმართებელის კარის კაცია.

— შენი ჭირიმე?

— მააშ!

— აგრე ყმაწვილი კია!... აი წავლა რა არი! ღმერთმა აღღებელა ჩვენი ხელმწიფე ინპერატორი! დიდი მოწყალეა არა აქეს საქართველოზედა... ეგეც ჩვენი ტოლი კაცი შეილი არ არის!... ი დალოცვილმა მამაჩემმა არცარა წავლაში მიმცა, არცარა სხვა რაშიმე, ასე ეგონა დიაკვანთან ბევრს რასმე ვისწავლიდი!... სალდათათ მაინც მივეცი... ე გუთნის დედობას ისიცა სჯობდა. ეხლა ღიანბეგი, რომ მოვიდეს. ლაპარაკიც არ ვიცი, რომ ველაპარაკო... უნდა ქუდმოხდილი ვაღგე და ვერცკი გაფაგებინებ ჩემს საჩივარსა, თუ პრეოჭივი იქ არა ჰყავს... ეჰ, დაილოცა ღვთის სამართალი!.. აბა აგრე კარგია ვინც ჭკუას მოიხმარებს, აი!

— მართალი ბრძანებაა...

— ფრანციტულიც ეცოდინება ეხლა მაგასა?

— ფრანციტული, ლემენტური, პარსული,--სუყველ ნაირი ენა იცის... მაშ მაგოდენა ალაგს როგორ მიახწევდა, თუ ეგები არა სცოდნოდა!

— ნეტა რას ინებებს ვაწმშათა?... იქნება ჩვენებურს საქმელს აღარცკი მიირთმევს?... ეაი დედნიჩემი ღმერთსა! უროპიულათ იქნება დაჩვეული... პოარი მაინც იმოებოდეს ამ ოხერა ქვეყანაში...

ამ ბაასის შემდგომ ის შემოვიდა პირდაპირ ჩემთანა.

— უკაცრაული მოხსენება გახლავთ, გაგებრიყვდები და

მოგახსენებთ,--და რას უფრო ინებებს, თქვენი უგანათლებლესობა, რაიცა ვახშამზედან მოგართვათ?... რა უფრო გიამებათ?

— მე ყველას გიახლებით, ოღონდკი მალე გახლდეს, რომ მოვისვენოთ, თორემ ძალიან დაღალულები გახლავართ: დილას აქეთია ცხენზედ ვარ, და ხამათ ძნელია.

— რატომ კარატი არ გინებებიათ წამოპოქანება?... მაგრამ ცუდს გზებს მორიდებოდით... კაი შემწვარს ინდაურს და ქათმებს ხომ ინებებთ? აგრეთვე ჩიხირთმასა?--ალარ დამაცადა მე იმანა, მეთქვა, რომ მე კარატაში სიხმარშიაც არა მჯდარვარ.

— არა, შენი ჭირიმე, თუ ჩემე პატივისცემა გნებავთ მარტო ყველი და პური და, თუ ალარ დაგიმლიათ, ერთი შემწვარი ვარია--მეტი არა გეინდარა.

ის წავიდა კმაყოფილი, რომ მე უროპიული საქმელები არ მოვითხოვე.

— რა თაღაბალი კაცი ყოფილა ე დალოცვილი, ეე!--წასხურჩულა იმან დიაკვანსა კარებთანა:--აი, შეილო განათლება რა არი!... ჩვენი პრეოჭიკი და პოსმოტელი ისე იჭიმებიან, რომ თითქო ხელმწიფის პირველი კარის კაცნი ესენის არიანო... წაელული კაცი მაინც სულ სხვა ნაირია...

პატარას ხანს უკან შემოგვესმა მეორე ოთახილამ მხრიკინი ერბოსი და მოგვედინა შემწვარის სუნნი.

ვახშამათ მოგვივიდა ბაწარზედ შემწვარი ინდაური, ჩიხირთმა, ცივათ ქათამი, მთის ყველი, ნაღები, მაწონი, შემწვარი ვარიები, ფლავი და კიდეც მგონი რაღაებიცა,--ღვინო ხომ სათქმელი ალარ არის. აბა ქართველს კაცს სჭუმარი

ეწვიოს და უღვინობა?!..

—რა ექნა, შენი ჭირიმე,—იხდიდა თავისის ღრმა ენით პანჩურაძე ჩემ წინ ბოდიშსა,—რაოდენ არ გახლავთ ამ სოფელში, ვითარცა არც პოარი და არც განათლებული მზარეული. ჩვენ ერთი გაუნათლებელი, უზღელი ქართველები გახლავართ... თითონ სამხთო წერილი, გაკადრებთ და მოგახსენებთ,—ბრძანებს: „მცირეხედან სარწმუნო იყავ; რამეთუ ბევრზედ დაგაყენოვო.

—თქვენმა მზემ, რომ მე ამაზედ არც უყეთეს დაჩვეული არ ვიყვე და არც ამაზედ მეტილა მინდოდეს რამე.

—უფრორე ღვინო არა არს თქვენი საკადრისი. თქვენ სუ შათანცის იქნებით დაჩვეული და აქ სულ საშოვარი არ გახლავთ: იქამდინ გაუნათლებელი გახლავართ, რომ ზოგს ვითარცა არცვი გაუგონიათ შაპანწყის სახელი.

—თქვენმა მზემა, რომ სულ ქათულს ღვინოსა ვსვამ.

ამ რიგათ მასპინძელი კიდევ სულ ბოდიშს იხდიდა ჩემ წინა. მერე, რაკი პატარა გოგრაში შეუჯდა და დაგვატყო, რომ ჩვენ მზიარულათ ვიყავით, მამინ ძლიეს ცოტა გაბედვით დაიწყო ჩვერთან გცევა. იმან სადღეგძლოებიც გააჩინა.

ბოლოს აალაგეს სუფრა. ჩვენ დაწვექით. მასპინძლები ისევ ზეზედ იყვინენ: იქილამ ისმოდა ლაპარაკი.

—ვერაეის მიაბარე ბავშვი?—ჰკითხავდა თადეოზ დაბალის ხმით თავის ცოლსა.

—ვერა, ვერავინ ვიშოვნე. ვინ აიყვანს, თქვენი ჭირიმე სხვის ბავშვსა! ან რატომ არ გამიგონია, რამტენიც სტუმარი მოუვიდეს კაცსა იმდენი თავის უსუარი ბავშვები

სხვებს გაღუყაროს!...

შე ოჯახ დაქცეული,--ბრაზობდა თადეოზი:--თავარმართებლის კარის კაცია, პირველი აჟღერებელი ნასწაველია; გეგადრა, გეგევი, ვინ იცის გამოსაცდელათაცა, და ახლა შენ გინდა ბავშვის ჩხველით შეაწუხო და ძილი დაუფრთხო! თავათ კარატში დაჩვეული დიდი კაცი მთელი დღე ცხენზედ დაქანტულა... ვახშმისა არ იყვეს, რომ ჩვენი ყარტლიანი საჭმელები მიუტანეთ.

—თავარმართებლის კარის კაცები არა, შენმა სიცოცხლემ, და ხელმწიფის კარის კაცები ეწვევა შენისთანა კუჭ ემოფიტულს მჟადა აზნაურსა... შენ უნდა ყველაფერში დაფეთდე ხოლმე, შე საწყალო, რომ ყველაფერში ხამი და გაუნათლებელი ხარ, თორემ გუდამშიერს ვარგისაშვილებს განა არავინ იცნობს, რაც შეილები არიან... მაგის მამას შიმშილით კუჭი უხმება.

—რაებს ბოდამ დედაცაო გეყურება რაებს ამბობ?...

—თავი გამამოდოს, მამა უცხოუნდა, დიდი თავადი და ღრადი ბრძანდება! ნეტა რომელი მუხრანბატონი და ერისთავი ბრძანდება პაპუა ვარგისაშვილის ტყლაჭი!...

—გაჩუმდი მეთქი, დედაცაო! გაჩუმდი, შე ოჯახდაქცეული! რამ აგტება... აი დიდება შენთვის ღმერთო... ამისთანა ცეცხლი იქნება?

—უჭ, უჭ, უჭ! ძალიან არ გაშიტყლაჭა!

—რამ აგტება, ადამიანო, რომ გაგეგონოს! რაზედ გამხდი საციმბიროთა მაგ შენი ცოფიანის ენითა!... რაზედ შემომაკედება ეს ოჯახ დაქცეული, ეე!

—მანამ ნუ რა გიჭამიარა, მინამ შენ სალომე არ მოკლა...

— ვაჰიმე!

აქ თადეოზმა ჩაიკრა გულში ხელი, გააქრქიალა კბილები და გამოეცალა. ის არას დროს არა სურობდა იმ ფიქრიდამ გამოსვლასა, რომ იმის სტუმარი არ იყო თავარმართებელი ახლო კაცი და არ გაანათლა ამისი სახლი თავისის მობძანებითა.

პატარა ხანს უკან შეჰქნა ბაფემა სხავილი. მე და ღედელს გაგვიტყდა ძილი. თადეოზ შეუყარდა ცოლს გამფოთებული.

— აჱ ვითხარი, შე ღეთის მტერო, შე . . . . რომ იტირებს მეთქი!...

— მოკვდი! მოკვდი! ეგრე მინდა და ეგრე ვიქ, ახლა!..

— გაჩუმიდი, მეთქი!... გაიყვანე ე ბაფევი სათონებში და იქ დაეყარენით შენცა და ე ბაფევიცა, თორემ ერთს სისხლს შემანთხვევთ, მამაჩემი არ წაშიწყობდება!...

— რომ გასკდე აქედამ არსად წავალ შენი ყარტლიანი სტუმრებისათვის.

— გადი, მეთქი, თორემ ეს არის დაგკალი!—შეუტია თადეოზმა კბილების კრქიალითა.

— ეუი შენს თვალებსა!... დაგკალი!... აბა ხელი მახელ, თუ ე შენი ტყლაჭი აი კედელს არ მიიანარცხო!

— მამ გინდა?! გინდა?!—და, როგორც ეტყობა თადეოზმა წამოაელო ხელი ხანჯალსა.

— დამკალ, დამკალ, თორემ ვაი შენ გინდა!—უძახოდა ცოლი.

— არა, ღმერთმან იცის!... ჰა!.. გამოგლადრო ე ყელი!?..

— თუ აგრე არა ჰქნა, ღედაკაცის ლეჩაქი დაგახურე მაგ თავზედა.

--ფუი შენს დედაკაცობასა!... დამაცადე! მე ხეალ მოგი-  
რიგდები შენა... შენც რა დროს მომასწარ!...

ამ სიტყვებთან უფალი პანჩურაძე გაეცალა ხელ მეორეთ  
თაეის მეუღლესა.

ბავშვი უფრო და უფრო გაჭირვეულდა.

--გაჩუმდი, შე წყეულ შეჩვენებულის ნაშობო, თორემ  
შენვი ღეთის წყალობა მაქვს, მოგერევი... აი კედელს მიგა-  
ნარჩყებ წიწილასავითა.

ბავშვი უფრო აჩხავლდა. როგორც ეტყობოდა, ის ძუ-  
ძუსთვისა სტიროდა. ღედა არ აძლევდა ძუძუსა.

—ცეცხლი და ნეთი შენს გულ მუცელსა, შე არწივო,  
შენა!--უტევედა ღედა ბავშვსა.

ბავშვის წივილი ყურებში ისარივით გვივარდებოდა. მი-  
ნამ ძალზედ არ ჩაბყირდა, მინამ ღედამ ძუძუ არ მისცა.

--ვაი შენ და ხრჩობა!--მიატანა იმან ძუძუს მიცემანზედ--  
რა ჰკლავს, ნეტა ერთი ვიცოდე! რა ჰკლავს ამ არ დასა-  
ცალებელსა. რაზედ ატეხილა თაეის თაეის ამოსაჭმელათა და  
ბაიყუშათა!..

ძუძუს მიცემანზედ, ბავშვი მაშინვე გაჩუმდა.

--საკვირველია ზოგიერთა დედაკაცის საქმე,--ღაიწყო ღედე-  
ლმა ქვეშაგებიდამ:--მგონი თქვენც დაგიფრთხვათ ძილი?

--ღიან ცოტა არ არის, რომ ძილი გამიკრთა.

--იმას მოგახსენებდი. ზოგიერთა დედაკაცი რისა რამ აფ-  
თარი და ღეთის მტერი გამოვა. წედანდელი სოფელში ღე-  
დაკაცების ჩხუბისა არ იყევს. ვინ იცის იმათი ჩხუბი ერთს  
ჭიან ტყემლათ არა ღირდა და ერმანეთს კი სჭამდნენ. ტყუ-  
ილათ კი არ არის ანდაზათ თქმული ერთი უფლისციხელია.

და ქვახრელელი დედაკაცების ამბავი.

—რა ანდაზა გახლავსთ?—ეკითხე მე, რაკი დავატყე რომ დედელი ლაპარაკის გუნებაზედ იყო.

—იხმ! უფლის ცინე და ქვახრელი, მე შენ მოგახსენო, ორიენი ერთმანეთს პირდაპირ გასცქერიან და შუაში მტკვარი ჩამოუდით. იხმ! იპ, შენიჭირიმე და, აქ თურმე, ნუ ბრძანებთ, ორი დედაკაცი: ერთი ქვახრელელი და ერთი უფლისციხელი ჩამოჰკიდებიან ერთანეთსა. რათ ჩამოჰკიდებიან და რაზედ ჩამოჰკიდებიან, ეგ, მე შენ მოგახსენო, არაეინ იცის: უთუოთ ერთ უბრალო საქმეზედ იქნებოდა, როგორც წელანდელი დედაკაცები. აი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ინათლებდა თუ არა, დილა სისხამზედა, აპ, შენი ჭირიმე და ესენი ჩაეჭრეგოდნენ ერთმანეთს პირდაპირ მტკვრის პირასა, დაიდგამდნე, მე შენ მოგახსენო, ჯარებსა და გაჰკიდნენ ერთმანეთს უპატიურის პირით ლანძღვა გინებასა. სალამომდინ, შენი ჭირიმე, მინამ ძალზედ დალამდებოდა, აგინებდნენ ერთმანეთსა და მერე მიდიონენ თავთავისთვის--შინა. ამ ანგარწმს., შენ ხარ ჩემი ბატონი, ეწეოდნენ ყოველ ცისმარე დღე. ერთხელაც, აპ, ჩემო ბატონო, შეუნიშნავს ეს ერთს პატარძალსა და თურმე ჰკითხავს: „დედი ჯან,--ის ემე--რა არის, რომ ყოველ დღე,--დილიდამ სალამომდინ აგინებთ ერთანეთსა? „ოპ, შევილოვო,--თურმე, მენ ხარ ჩემი ბატონი, ეუბნება ეს დედაკაცი, —რა იცი,რა ცეცხლში ვარო. აგერ შევილო ოცა წელიწადი მეტია ერთს სიტყვაში არ მივარდებო. მაგისგან წუთის სოფელი მაქვს ჩამწარებულიო.. —ერთი არ შეიძლება,--შენი ჭირიმე, ჩემო ბატონო, — მე გამგზავნო შენს მაგიერათ იმ დედაკაცთან საჩხუბრათაო? — თურმე, შენ ხარ ჩემი ბატონი,



ჰკითხავს პატარძალი. რატომ არ შეიძლება, მაგრამ, დედა-  
 შეილობა, რომ ის თავისის მწარე სიტყვებით სულ გულს  
 მოგვლავს და სალამომდინ ვერ შეუძლებო. პატარძალი,  
 შენი ჭირიმე, დილა ღამიანათ ჩაიცვა თავის დედამთილის ტა-  
 ნისამოსი, შეიდგა ჯარა მხარზედა, ჩემო ბატონო, ჩავიდა  
 მტკვარის პირსა და დაჯდა. ჩამოვიდა გაღმიდამ მეორე მე-  
 ჩხუბარი დედაკაცი. „ჰაი, შე ასეთ ისეთოვო,--თურმე, ნუ  
 ბრძანებ, შემ აუტყვია იმას იქიღამა:--განა ამასწარ და აღრე  
 ჩამოხველიო!..“ ეს ხმას არა სცემს. „ეგრე გაგიკრთობ ძი-  
 ლსა და ჯავრით სულს ამოგართმევო, შე ქოფაკო, შე...  
 ბებერო შენაო!“ ეს კიდევ, ემე, ხმას არა სცემს. „შეიტია ამ  
 დედაქმა და უფრო გააფოთდა და დაუწყო გინება. ეს კი-  
 დევ, ჩემო ბატონო, უარესათ გაჩუმდა. და ართავს ჯარასა.  
 „ჰაი, შე აყეფებულო ქოფაკო, ხმის გაცემასაც აღარ კად-  
 რულოფო! აბა მად ღამიდექო!...“ „დაეცა ეს დედაკაცი აღე-  
 ლეებულოს მტკვარს იმ დედაკაცის გამოსათრევათა და დაი-  
 ლუბა მტკვარში. პატარძალი, შენი ჭირიმე, იჰმ! წამოავლო  
 ჯარას ხელი, შეიდგა ისევ მხარზედ და მიადგა დედამთილს  
 კარზედა. „აკი გითხარ, შეილო? უთხრა დედამთილმა, რომ  
 შეც იმის ენას ვერ გაუძლებო. მოიტა, მოიტა აქ ე ჯარა,  
 ჩაუხტე იმ ამარსა, თორემ ხვალ ყელს გამომაჭრევენებსო.  
 აქ თურმე უამბო პატარძალი, თუ როგორ დაიხრჩო ის  
 ძალათი წყალში. ამ რიგათ მოარჩინა იმან დედამთილი ყო-  
 ველ დღე უბრალო ჩხუბსა და აყალ-მაყალსა. აი ეგრეა  
 ზოგი დედაკაცის, ის ემე, ანგარნი: თავისის სიასპიტით თავს  
 ძალათ წაიხდენენ. თუ ერთი გაასპიტდა აღარც თავი ახსო-  
 ვთ, აღარც არავინ სხვა.

აღარც არა ვინ სხვაო, ეს ღვდელმა ჩემს ნუ-  
გეშათა სთქვა, რომ მე არაფრათ ჩამეგდო პანჩურაძის მე-  
ულლის ლაპარაკი ჩემხელა და საზოგადოთ ჩვენს ოჯახობაზედ.

მეორე ღღეს ჩვენ წამოვედით აღრე. პანჩურაძე პირსირ-  
ცხვილეულად გვაცილებდა და ვეღარ ახერხებდა, როგორ  
მოეხადნა ჩემთან ბოლიში.

—ნუ შემისხნამო, ღმერთი გაღვფრძელებთ!—მეუბნებო-  
და ის წამ და უწუმ.

გზაში ღვდელმა კიდევ ბევრი ანღაზები მიაშპო. რასაცვი  
შესანიშნავს ვიტყოდით, ან დაინახავდით, ის მაშინვე ანღა-  
ზას მოჰყვებოდა. ერთხ ალაგას მივატანეთ ჩვენ ცოტათი შე-  
ჭრელებულს ძველ თესლს ქერსა. აქ, ეტყობა შემოჰყვებოდა  
ერთხ გლეხკაცს ჭირნახული, და უღროვოთ სჭრიდა ქერსა.  
იქნებოდა დილის ცხრა საათი, რომ ამ ქერის პატრონს მო-  
ემყო ერთი ორიოდე სამეულისოდენა ქერი და ეძინა კვალ-  
ში ერთის ყანისა და ქერს შუა. დედაკაცი: რომელსაც მო-  
ეტანა იმისთვის სადილი, აღვიძებდა.

—აი, ამ კაცისა არ იყვეს,--მოჰყვა კიდევ ღვდელი: გა-  
მოსულა სამკალათა, ხუთი ხელეფური არ მოუჭრია და მიგ-  
დებულა ჭვერღზედა და სძინავს. ვგრე, შენიჭირიმე, თურმე  
ერთი წვრილმვილის პატრონი ცოლქმარნი ყოფილან და  
ერთი დღიური ყანის მეტიკი თურმე არა ეთესათრა. იხმ!  
ქვეყანამ, აჰმ! თურმე ჩამყო ყანები შენიჭირიმე, და ამათი ყანავი გდია,  
მწარეთ მზისგან ჩამწვარი, მოსამკალი, საძაღლლორეთა. აი,  
ხმ! შენი ჭირიმე, დედაკაცი თურმე, ნუ ბრძანებ, ეუბნება:  
„წადი. კაცო, შე ოჯახდექცეულო, მომეც ი რალაც, ემი, ყა-  
ნა გიგდია, ნუ ხდი საძაღლ ღორეთა, თორემ ჩვენც და

ჩენი წერილშვილიც შიმშილით დაეხორცებოდა.“ ისე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეუბნება:--მოიცადე დედაკაცო, ჯერ ჯანზედ კარგათ არა ეარო!--რის ჯანზედ, რის ფლავი, რის ბოზბაში!--სიზარმაცით წელი სწყდება. ახლა, შენი ჭირიმე, ხანი გავა და დადგება ე დედაკაცი სულთამხუთავით თავსა და ჩასძახის და ჩასჩიჩინებს: ყანა მომკე თორემ სახლში აღარ დაგაყენებო. შენ არ მომიკედე, ის ალაგიდამ დედაკაცმა ვერ დასძრა. ბოლოს ჩემო ბატონო, ძალზედ მოამშია და ერთი ორიოდე დღე ნამცხვარი აღარ აჭამა. მშინყი, მე შენ მოგახსენო, ემეი, ივადრა ამ კაცმა წასვლა სამკალათა, და დედაკაცს უთხრა, რომ ჯანზედ სუსტათა ეარო და, თუ ჯერზედ თითო ქათამი და თითო ნახევარ თუნგი ღვინო არ მომიტანე მე იმ ყანის მომკა არ მემიძლიანო. დედაკაცმაც, მე შენ მოგახსენო, შეუსრულა სათხოვარი: მიუტანა საუზმეთ ერთი კარგი ქათამი თავისის წენითა და ნახევარ თუნგი ღვინო,--სადაც იყო, ნევის ხერელში გაძერა და უშოვნა. ახლა, ნუ იფიქრებ, გაძლა ე კაცი, გაიცილა ცოლი და დაიძინა. მოუტანა დედაკაცმა, შენ ხარ ჩემი ბატონი! სადილი, ნახა კაცსა სძინავს და ყანისთვის ხელინ არ უხლოა. ადრე, კაცო, შე ოჯაქ დაქცეულო, რა დროს ძილია. მოსამკალათ მოსულხარ მკეო. წამოხტა ე კაცი, ვითომც აქ არა ამბავიო. „ოხ, ეს ოხერი, --შესტირა, შენი ჭირიმე დედაკაცსა: --კინაღამ მუცლის ტკივილმა მომკლა: არ ვიცი კინქველა ჩავატანე, თუ რალაცა ი ოხერა სადილსა, და კინაღამ თან გადამიტანაო. ახლაკი კარგათა ეარ, პურსა ეჭამ, ვგება ჯანზედაც დავდგე და დღეს, იმედი მაქვს, გავათავოვო. აჰმ! აჰმ, გაძლა ი კაცი, კიდევ, გაისტუმრა დედაკაცი და წა-

მოუწვა კიდევ მზესა. დედაკაცმაც იოსტატა, რაკი შენხარ ჩემი ბატონო, იცოდა თავი ქმარის ამბავი, და მიიმალა ბუჩქებში. უგდო ყური, ქმარი წამოწვა და მკას არა ფიქრობს ამ ხანს იმ ხანს, ი კაცი ისევ უძრავათა წევს და მესტკერის მზესა. აქ, აჰმ, შენი ჭირიმე, ამ დედაკაცმა იფიქრა, თუ ერთი მე ამას საქმე არ მოუხერხე და; ემე, ანგარში არ გაუწიე, არ იქნებაო. წავიდა, მე შენ მოგახსენო, და სადაც იყო და არ იყო იზოგნა ერთი ბედაური ცხენი და მეფის იასაულის იარაღი და ტანისამოსი. ჩაიცვა ტანთა, ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე, შეგდა ცხენზედა და აილო ხელში ერთი კარგი მკლავის სიმსხო მათრახი. აქ მენ ხარ ჩემი ბატონი, თურმე ნუ ბრძანებ, მიადგა ქმარს თავსა. იმასა ძინავს. „კაცო! კაცო! — შეუტია: — შენ ხომ არ ხარ ი ზარმაცი კაცი მეფემ რომ დამაბარა?“ ამ კაცმა, მალე მტერი მოგვიკედეს, მალე გამოაღვიძა. — ეინ ზარმაცი, შენი ჭირიმე? — წამოხტა გაცხარებული და ჰკითხა შეშინებულმა: „მეფეს ცოლი ჰყავს ძალიან შეწუხებული და აქ ერთი ზარმაცი კაცია, იმის გულღვიძლი ასწავლეს წამლათა და ახლა იმ კაცს დავეძებ უნდა იმის გულღვიძლი წაუღო ეღოფლსა. შენ მტერს გადაჰკრას იმ ფერმა, რომ იმას ფერმა გადაჰკრა. — ეინ ზარმაცი, შენი ჭირიმე? აქ ზარმაცი არა ეინ გახლავთ!. და ამ კაცმა წამოავლო ნამგალს ხელი, კატრიელდა და დაჰკილა: — ჰაა, ჰოპუნა, ჰეპუნა! — მამ, კაცო, არ იცი ზარმაცი სად არისო, ჰკითხა კიდევ ცბიერებით ცოლმა. არა შენი რისხვა არა მაქვს არ ეიცოდე და არც იყვეს ამ ჩვენ სოფელში ზარმაცი... მეც ექამინ ბატონის სეფებედ ვიყავი და ეს არის ეხლა დებრუნდი და დაუწყევ ჩემს ყანას მკა — მარტო ხელი კაცი

გახლავართ...ჰაა, ჰოოპუნა, ჰეპუნა!...დაჰეჰინა კიდევ ამ კაცმა და სალამომდინ ბოლოში გავიდა. სამხრათ მივიდა დედაკაცი, მენი ზირიძე, მიუტანა სამხარი, ეკაცი გაცხარებულნი მკის ყანასა და ახდის აღმური თავებრზედა. „კაცო, კაცო! მოდი პური ჭამე,“ ეძახის დედაკაცი. ის, აჰა! არ მოდის.--რას ამბობ, დედაკაცო,--ეძახის:--რა დროს პურის ჭამა, ემე, ყანა მოსამკალი მრჩება საძალღორეთი.--აი, შენ ხარ ჩემი ბატონი, რანაირია ზოგიერთა კაცი. ეგ წვლანდელს კაცზედ მომაგონდა. არა შე ასეთ ისეთო! შინ შიმშილით გეზოცებიან, გამოსულხართ სამკალათ — მე, მიამველე შენ ცოლშვილს ლუკმა პური!..არა, თქვენმა მზემა, თუ არ დიდხანა, როგორ იქნება!

დღეელი რომ ამგვარს ანდაზებს მიამბობდა, ჩვენ თან და თან მივატანეთ იმის ქვეყანასა, რამელზედაც მე მედო გზა.

ჩვენი მხარე ძალიან სიმინდიანი მხარეა, ასრე, რომ პურზედ თითქმის მეტი სიმინდი ითესება იქა, რათგან ეს ერთი კვირე საშინელი სიცხები და უადრობა იყო, ამის გამო ყველგან სიმინდებში წყალიგდო. ჯირ უიმისოთ რა არის ჩვენი გზები და ახლა რწყვის დროს! თუ ამდროს ჩვენს გზებზედ არსად გივლია გამგონეე, ღმერთს შევედრე, რომ კელავაც არ შეგახვედროს ამ დროს ამ გზებში სიარულში. გზა-გზა ჩვენი ცხენები ტოპამდნენ მუხლზედ ტალახსა და ქულაპებში. ცხენების ნაფერხალებისაგან არამითუ ტანისამოსი და თივპირიცი ალარ გვეტყობოდა. რუ და რუ ლაფების გამოდიუდა სიმინდებიდამ და იღვა ჩავარდნილს გზებზედა. ერთის სიტყვით საშინელებაა ჩვენი გზები! დღეს რომ ერთს

ალღას მიდიოდეს გზა, ხეალ სხვაგან უნდა მოძებნო. ახლა ამასთან ოღრო-ჩოღრო, ხეე-ხუევი, რუევი, ნალარები, ოლე-ები, პეგობები, ჩირგეები, ჯირკვები და რ უბედურება გინდა, რომ ჩვენს გზებზედ არ იყვეს. ცხენით იელი, თუ კარგათ შეჩვეული არახარ, შენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც ან შენ, ან შენს ცხენს დაადგება! და ურმისაკი არა გამიგიარა, რა სასწაულით დადიან. მე აქედამ ვფიქრობ, რომ ჩვენი მეურმები სულ გენიოსები უნდა იყვნენ, რათგან იმ გვარი სიმარჯვე და ოსტატობა აქთ, რომ ამ გზებიდამ ურმები მოლიანათ გააქეთ და ისიც საპალნიანი ზოგჯერ საძნე ურმებიცა. აბა ფრანცუზმა და ანგლიჩანმა გაატაროს ამგზებზედ დადებული ურემი! ისინი მამინვე გზების დამართვას მოინდომებენ და ქართული კვცივი იქამდინ არას დროსრა გაბრიყვდება. რა საჭიროა კარგი გზების ქონა, როდესაც ამ გზებზედაც დააქეთ ყვეარი ხარკამეხით ურმები! თუ ხან და ხან გადაუბრუნდებათ ხოლმე ურმები და ურმებიც თავისის საპანლით ეკარგებათ და საქონელიც ეხოცებათ, ან ზოგჯერ თვითონ პატრონიც, თან გადაყვება ხოლმე, ეგ რა უყოთ ეგ ხომ ყოველთვის არ მოხდება ხოლმე! ისე, ხან და ხან, — ხილათ კარგიც არის. გზების გაკეთებასკი შრომა უნდა.

ჩვენ მიეტანეთ სალარეთს, რომელიც არის ჩემი მგზავრი მღვდლის სიმწყსო სოფელი, და გზა თან და თან უარესი და უარესი ჰხდებადა. ეს სოფელი, სალარეთი, დგას კარგს ღია, ცოტა მაღლობს ადგილას და გადასცქერია სასიამოვნოთ ერთს კარგს მოდილო ჩქარს გიჟს წყალსა. ვენახები ამ სოფელს აქეს ცოტა მომარებითა; თვითონ არის პატარა სოფელი, პატარა ძველის, მაღლის, დროებისაგან

განავებულის კოშკითა და კოშკის ძირას, დიდრონი ბებერი ხეების ქვეშა ღვას კოშკისავე მსგავსი შავი პატარა ეკლესია, რომელიც მე ვერ შეენიშნე, თუ ღვდელი არ ჩამომხტარიყო და არ წასულიყო ეკლესიისაკენ თაყვანებითა.

— დიდი ცხოველი ეკლესიაა, — მარწმუნებდა მე ღვთის მოყვარე მღვდელი: — თამარ დედოფალი თურმე ისრე არ წავიდოდა საომრათა, რომ ჯერ აქ არ ელოცნა და საღმრთოთ არ გადაეხანა. კიდევ იმიტომ იყო ყველგან, ემე, გამარჯვებული. მოგახსენებენ, რომ ძველათ, როდესაც უფრო ყოფილა სარწმუნოება და ღვთის შიში, გველშაპები ჩამოდოდნენ ციდან, ჩემო ბატონო, სნეულები და ამძოვრებულები და მინამ არ განიუწრებოდნენ, მინამ სულ გარს თურმე ერტყნენ. ბევრჯერ დიდი შესაწირავიც თურმე მოჰქონდათ აქა. ერთი დიდი თვალი ეხლაც არის კიდევ, — ხატის წინა დევს, — გველშაპისაგან შემოწირული. ძან მდიდარი ეკლესიაც იყო, შენი ჭირიმე, მაგრამ მარბან ოსებმა ვაძარცვეს და, იმ ურჯულოებსა, ვერცხლოცკი აყვართ იმესთანა ცხოველი ხატებისაგანა. მარტო ის ერთი გველშაპის თვალილა დარჩენილიყო. ისე დაებრმავებინა ისინი მაგის სი-ცოცხლესა, რომ ის ვერ დაენახათ და დარჩნოდათ მანდა.

მეც, რასაკვირველია, ჩამოვხტი ცხენიდამა და თაყვანი ვეცი ეკლესიასა. მღვდელს ეს ძალიან იამა, რომ მე ისრეთ ყმაწვილ კაცათ არ მიცნა, როგორც გავგონა.

— ცხოველი როგორ არ არის! — დაიწყო იმან უფრო გაბედითა: — ეგ ხატი, აჰმ! თურმე, ჰმ! წაიღეს და დასტყვევნეს თათრებმა საცალას, ემე! ჭამბოლში, თუ თეირანში და, ნუ ბძანებ! შეგდღეს თურმე ცეცხლში

დასაწყევალა. აჰ, შენი კირიმე და, ერთი საშინელი დაიწიე-  
ლა თურმე ამ ხატმა ისეთ ნაირათა' რომ სუყველა თურმე  
ამ წივილისაგან დაიხოცნენ იმავე წამსა. ამ დაწიელებზედ,  
ჰ, შენ ხარ ჩემი ბატონო, ეს ხატი გამოფრინდა და იმავე  
წამს, ენაცვალე მაგის მადლსა და სახელსა, დაესვენა თავის  
ალაგსა, — ასე რომ ეხლაც ცალი გვერდი შერუჯული აქვს..  
ბევრს სასწაულს იტყვიან ამისასა... ვინც რიგიანათ არ ილო-  
ცავს, ან ვისაც ულოცნია და ვისიც სალოცავი ყოფილა  
და დროზედ არ ილოცავს, დაუმიზეზებელს არ დააგდებს...  
ნიადაგ მლოცავი არ გამოიღევა?

მართლაც ეკლესიის გვერდით ჩრდილოენში, ხეებს ქვეშ  
შეენიშნე სამიოდ ოთხი ჩარდახიანი ურემი. ამ ურემების გა-  
რემემო ისხდნენ მლოცავი დედაკაცები ავათმყოფებითა, კა-  
ცებს ეძინათ განსვენებითა. ერთს ურემთან, რომელიც ყვე-  
ლაზედ უფრო კარგის ჩარდახით იყო გაწყობილი, იწვა, სხ-  
ვეზედ უფრო სუბრთა ქვეშაგებში, ერთი საცოდავით, სამ-  
თლის თრათ ჩამომდნარი გადადებული ავათმყოფი. ეს სახ-  
ლობი როგორც ეტყობოდა უნდა ან აზნაურისა, ან თავა-  
ლისა ყოფილიყო. დედა ავათმყოფისა, კინწ გადადებული  
და სასოება წარკვეთილი უჯდა თავით ავათმყოფსა და ევე-  
დრებოდა წმიდა გიორგისა: „წმინდა გიორგიე ძლიევით შეშო-  
სილო, შენ მიეცი შენი კურნება და ულხინე შენს მოსაესა  
და თაყვანისმცემელსა, შენის მადლისა და სახელის კირიმე!  
შენი მლოცველნი და შენი მადიდებელნი ერთ შენმა მადლ-  
მა და შენმა სახელმა. შენს კარს მოვსულვართ შენს საველ-  
რებლათა, სნეულთა მკურნალო, გლახათ შემწყნარებელო და  
გაქივებულთა ხელის აღმპყრომელო, შენ მოხედე შენის წ-



ყალოზის თვალითა და ულხინე მონასა და მადიდებელსა შეესა. ერთი ლამაზი, ჯაგრისაგან ჩამომდნარი, ყმაწვილი ქალი, როგორც ეტყობოდა, ცოლი ამ ავათმყოფისა, კისერზედ დადიან (\*) დადებული, უვლიდა ფეხშიშველა, თვალვებზედ მდულარე ცრემლილა ცკლევისი და ხშირათ უამბოვებდა კვლევებსა და ჩურჩულებდა რაღაცა შეწუხებულს ლოცვასა.

მე დიდს ხანს უყურე ამ ავათმყოფის პატრონების მწუხარებასა და ამიღულდა გული. ამ გვარი სურათები ჩემი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ, მაგრამ კვლავ ამათ ასე არ დაუფიქრებიავარ და არც ეს სიბრალოული გაღვიძებულა ჩემს გულში.

ბოლოს მე გამოვესალმე ღვდელსა, რომელიც მეპატრია სამხარსა, მაგრამ მე მოვეჩქარებოდი და არ დაედექ. დიდი ხანია აღარ ბენახა ჩემი მოხუცი ღვდა, რომლისაც ნახვა ძალიან მცხქარებოდა.

— მამ ფრთხილათ ბრძალებოდეთ, — შითხრა ღვდელმა: — თორემ მადეთ მხარეს თოთახშირათ დეიარება.

— ვინ თოთა? — ვითხე მე გაცოცებით. ეს სხელი კვლავცა გამეგონა.

— თოთა, გაცარდნილი თოთა, — მიპასუხა იმან: — ლამის ქვეყანა ააოხროს და ვერ დაუჭერიათ. შარა გზაზედ შუადღის გულზედ ხალხს ცრცვის. ვისაც ქონებას შევგულეებს, როგორც

(\*) დადიანი იქნება არც კი აცოდეს სოგმა მაითსეკდამს. ის არის მძიმე, სხილი რკინის ჯაჭვი, რომელსაც უფრო დვითის მოუვარე ჯ გაჭირვებული მღოცავეები იღებენ გისერსეგ ჯ უკლიან კვლევასა.

თავის ყმებს ისრე იმსახურებს. ჩემთვის აგერ სამჯერ — ოთხ-  
ჯერ შეუწერია ფული და, თუნდა ათი თხუთმეტი თუმანი  
წაყლია,

მე მაშინვე მომაგონდა ერთი ჩემი ნაცნობი დიამბეგი,  
რომელიც ამ თოთას გულისათვის გამოაგდეს სამსახურიდამა.

ანტონ ფურცელაძე.

(განგრძელება შემდგომ ნომერში იქნება.)

## სწავლის საჭიროებაზედ.

### 1.

ამაზედ ცხადი რა იქნება, რომ როდესაც გვინდა კაცი და-  
ვაყენოთ რიგიანს გზაზედა, ჯერ უნდა დავარწმუნოთ ის კაცი,  
რომ ჩვენი ნაჩვენები გზა არის იმისთვის სასარგებლო.  
... . . . . . თუ გვინდა ხენა-თესვის მიმადევარი  
დავარწმუნოთ იმაზედ, რომ სახნავი მიწებისა რიგიან ვენახე-  
ბათ ქცევა უფრო სასარგებლოა იმისთვის, ვიდრემ იმათი  
ისრე სახნავ მიწებათ დატოვება ან, თუ გვინდა, დავარწ-  
მუნოთ რომელიმე სოციალური, რომ საეკონომიკური, მაგალითათ  
თავრიზში სიარულისა, მაკარიას სიარული სჯობიან, ჯერ უნ-  
და იმათ სარწმუნო საბუთებით დაუმტკიცოთ, რომ ამ გვა-  
რათ მოქცევა იმისთვის საზოგადოებრივია. მაგრამ უფალი ჩვე-  
ნი ლიტერატორნი ასრე არ იქცევიან: ყველა იმათანი და-  
რწმუნებულია და იცის, რომ ლიტერატურის უპირველესი მო-  
ვალეობაა — ცოდნის გავრცელება ხალხში, და ისინიც თით-  
თქო იმასა თქობენ. მაგრამ ცდილა ვინმე ამათანი, რომ  
აუხსნას ხალხსა ის სარგებლობა და მნიშვნელობა, რაც ცოდნასა  
აქვს? — მე უგდებ და ვადევნებ ყურს ქართულის ლიტერატურას, არ  
შემხვედრია იმ გვარი მწერალი, რომელიც შესდგომოდეს ამ  
აზრს რიგიანათა. რისგან უნდა იყვეს ეს მოუფიქრებლობა  
ჩვენს ლიტერატურაში? იმისგან აუ, რომ ყველა მწერალი და-  
რწმუნებულია იმაზედ, ვითომც ყველა მკითხველი საფუძვლიანათ  
იყვეს დარწმუნებული ცოდნის სარგებლობაზედ, აღარა ჰრა-  
ცხადუნენ საჭიროთ ამის დამტკიცებასა. მაგრამ ამაში შემც-  
დარნი ვართ ყველანი. მიზეზი, რომ ჩვენი მშობლები აძლევენ

სასწავლებელში შეიღებსა არის პირველი: დიპლომების მიღება და ან კარგი ალაგის შოვნა და მეორეც ისა, რომ იმათს შეიღებს შედძლოთ კარგათ სადაეო საქმეების მიღენა თუმცა ჩვენთვის ყველასათვის სამწყუხაროა ამ გვარს აზრზედ დადგომა ჩვენის მშობლებისა, მაგრამ ვერაფერში ჩვენ იმათი გამტყუენება ვერ შეგვიძლიან, ის ამის შესახებ სჯის დიახ საფუძელიანთ: რაკი არა აქეთ თეორიით ცნობა ცოდნის სარგებლობისა (გარდა იმ ცოდნისა, რომელსაც ისინი იღებენ მაშაპაბილამ გამოცდილებით ცოდნასა და გადააქეთ შეიღსა და შეიღის შეიღზედ) და, რაკი ისინი თითქმის სამსახურს და სადაეო საქმეებს გარეთ ვერსად ჰხედამენ ცოდნას საქმეში გამოყენებულსა ისინი, მეტი რა გზა იყო, რომ ამ აზრზედ არ დამდგარიყენენ. და რომ ჩვენი მშობლები ამ აზრზედ ღგანან, ამას გვარწმუნებს იმათი სჯა სწავლის შესახებ: აი რას უპასუხებენ ხოლმე ისინი ხშირათ ახალგაზდა ყმაწვილებსა: „ჩვენ თუმცა ჰვგრძნობთ სწავლის საჭიროებასა, მაგრამ გარკვევით და ნათლათუი არ ვიცით და ვერა ვხედავთ რისთვის არის საჭირო. რასაკვირველია სწავლა კარგი უნდა იყეს, რომ ამოდენა ფულსა ჰხარჯამენ ამხედ და ამოდენა ხალხი იმას ელტვის; მაგრამ რა გამოსაყენებელია სწავლა ცხოვრებაში, ჩვენ ეს არ ვიცით. უკეთუ გვავგრძნობინებთ და დავგიმტყიცებთ ამის ნამდვილს სარგებლობასა და სახმარისობასა, მაშინ ჩვენ არ დავზოგავთ არც ჩვენს შრომასა და მოღვაწეებასა, არც მეცადინეობასა, არც ღონისძიებასა, რომ ჩვენს შეიღებს მიესცეთ რიგიანი სწავლა და ჩვენც ვეცდებით რომ დავდგეთ იმ ცოდნის გზაზედ.“ რამდენჯერ გამიგონია თვითონ მე ჩემის ყურითა ამ გვარი ლაპარაკი

და სჯა ჩვენის მშობლებისა ყმაწვილს კაცთანა, მაგრამ ყმაწვილი კაცები, იმის მაგივრათა, რომ აეხსნათ იმათთვის ეს აზრი, შეიხმუჭენდნენ ხოლმე დაცინვით სახესა, თითქო ისინი ღირსნი არ არიან ამათის ყურის გდებისაო; მაგრამ იმათი თვალებივი წარმოსთქვამდნენ გოაცებასა და ამტკიცებდნენ, რომ პატროსანი თავი ნასწაველი ახალგაზდასი თავის დღეში არ შესულა ამ აზრის ფიქრში და აზრათაც არსად მოსვლია ამისი მოსაზრება. სჯობიან ისევ ხელი ავიღოთ ჩვენს მოთქმასა და გოდებაზედ, ვითომც ჩვენი მშობლები ისე ღრმით იყენენ ძველს უსარგებლო აზრებში ჩაფლულნი, რომ აღარა გაეწყობოდესრა იმათის იქილამ გამოყენასა და, ვითომც, ამისგამო, ისინი არ სურობდნენ შეილების რიგიანათ დაზდასა, ევროპიულათ სახლისბპატრონობისა და მეურნეობის გაწყობასა და სხვა, და ვეცადნეთ თეორიით (ბეჭდვითა და სიტყვით). და გამოცდილებით(რომ ცოდნა სახმარი შეეყნათ საქმეშივე უჩვენოთ ხალხს ნამდვილი ძალა და სარგებლობა ცოდნისა. ჩვენ გვინდა, რომ სრული ნდობა და მორჩილება გვეკონდეს ხალხისა: რაკი უბრძანებთ. „იყითხეთ გაზეთები და ჟურნალებიო!“ იმათაც მაშინვე უკრავ-უგინებლივ აიღონ გაზეთები და ჟურნალები და იყითხონ, უბრძანაოთ: „აილეთ ხელი თქვენს ძველს სახლოსნობისა და მეურნეობაზედ და მიჰყავით ხელი ევროპიულს სახლოსნობასა და მეურნეობასა!“ და იმათაც ფიცხლავ გაგვიგონონ და დაემორჩილონ ჩვენს მრისხანე სიტყვებსა. . . . .

ნდობა და რწმუნება კაცისა კაცზედ თავის დღეში უმიზეზოთ არ შეიძლება: ნდობა და რწმუნება კაცმა კაცისგან უნდა თავისის საქმებით შეიძინოს. ჩვენ ყმაწვილობა, კი არ უნდა

შეეჩხაოდეთ და შეესტიროდეთ: გინდა თუ არა გქონდეთ ჩვენი ნდობა და რწმუნებაო, — ჩვენ ეს ნდობა და რწმუნება უნდა დავიპყროთ: ჩვენ უნდა იმოძენა რიგიანი და საფუძვლიანი ცოდნა შევიძინოთ და არა ვჯერდებოდეთ მარტო თითო ოროლა ცოდნის ნასხებების ნაპერებსა, რომლებითაც ეხლა თავი მოკვაქვს, — და შემდეგ, რაკი საფუძვლიანი ცოდნა გვექნება, მაშინ ვეცადნეთ ამ ცოდნის ცხოვრებაში გაყვანასა, ჩვენის მდგომარეობისათვის მოხმარებასა და ამით დაუშტყიცებთ ყველას ცოდნის სარგებლობასა და შევიძინებთ ხალხის რწმუნებას და ნდობასა.

მე ამ სტატიაში ვეცდები რამდენიც შემიძლიან დავამტკიცო, რომ ცოდნა აძლევს ხალხს წარმატებას ქონებით, ამის გულისათვის მე ვეცდები ჯერ უჩვენო რა ცოდნა უფრო საჭირო არის მიწის შემშუშავებელისათვის, რადგან ჩვენი ხალხის თავი და თავი საქმე მიწის მუშაობაა, და ერთი ორიოდ სიტყვას ამის შესახებ ხელოვნების და მექანიკისათვის.

## 2.

ესთქვათ, მაგალითათ, ერთს ვისმე ჩვენს მებატონეთაგანს აქვს ხელში ერთი ჩინებული ოშხიერის გუთანი თავისის სამყოფი ყოველ რიგის საჭირო მასალებით, რომელნიც არიან საჭირონი ამ გუთნის სახმარისათ; ამასთან ამ მებატონემ ესეც იცის, რომ ამ გუთნით ხენას უფრო ცოტა ხარჯი უნდა, მინამ ქართულის გუთნით ხენასა, (ოშხიერის გუთანს არ უნდა არც ხარი არც ცხენი, იმისთვის არის

საქარო მხოლოდ საწვავი შუშა, წყალი და მცირე მუშა ხელი) ამასთანავე ეს ომხიერის გუთანი ქართულს გუთანზედ ბევრით უფრო მეტსა ჰხნავს. მაგრამ რაკი ამ მებატონემ არ იცის არც ომხიერის თვისება, არც ამ გუთნის მომართულობა, — როგორა გგონიათ რას უზავს ეს მებატონე ამ გუთანსა: მოიხმარს ამას საქიროებისამებრ, თუ არა? — ის უეჭველათ ატრიალებს, ატრიალებს ამ გუთანსა და, რაკი ის ამისას ვერას გაიგებს, აიღებს იმაზედ ხელსა და გადაადღებს. იქნება გგონილი გქონდეთ, რომ ზოგიერთა ჩვენი მებატონეთაგანმა დაიბარეს განვითარებული გუთნები, რომლებიც იმათ დაშლილები და დაბეჭდილები შიიღეს. როდესაც დახსნეს, იმათ აღარ იცოდნენ როგორ შეეკრიფათ და შეეკრათ ეს გუთნები. რაკი შეკრეფა და შეკერა ვეღარ მოახერხეს, აიღეს და მიაწებეს ამ გუთნებს თავი და შერჩათ ტყუილათ ხარჯი ამ გუთნების დაბარებისა და სყიდვისა. ამ მებატონეებს რომ ჰქონოდათ ცოდნა მეხანიკაში (მეხანიკა არის მეცნიერება მაშინებზედ) მაშინ შეიძლებდნენ ისინი ადვილათ ამ გუთნის შეკრეფასა და შეკერასა; და თუ სცოდნოდათ ფიზიკა (მეცნიერება ბუნების ძალაზედ), მაშინ ესენი ადვილათ დააწყებინებდნენ ამ მაშინებს მუშაობასა. მაგრამ რაკი ამათ ცოდნა არა ჰქონდათ, იმათ არ შეეძლოთ ამათი მოხმარება და გამოყენება. ეს ორიმაგალითი ამტკიცებს იმასა, რომ თუ გინდა რისამე მოხმარება და გამოყენება, უნდა ჩვენ იმისი სრული და რიგიანი ცნობა გქონდეს.

მთელი დედამიწა ყოვლის უსულოთი და სულდგმულითა, ყოვლის ცხოველითა თუ მცენარითა, ერთის სიტყვით ყოველივე რაც კი დედამიწის ზურგზედ, თუ შიგ დედამიწა-

ში მოიპოვება, ყოველი კაცის ხელთ არის, თუ ის მოახერხებს, ამათ მოხმარებასა. მაგრამ, თუ კაცს არა აქვს ცოდნა არც თავის თავისა, არც ღელამიწისა, არც მცენარისა, არც პირუტყვისა და სხვებასა, ვერას დროს ვერასფერს ამს რიგიანათ ვერ მოიხმარებს. ვისაც არა აქვს ცოდნა ყველა ამისა, სუყველას უეჭველათ ის ღლე დაადგება რაც ზემოხსენებულს მებატონეებსა, ასე რომ ისინი თვით ბუნებისგანვე მზათ მონიჭებულს საუნჯესა და სიმდიდრესაც ვერ მოიხმარებენ და დარჩებიან გამომტერებულნი და ხახამშრალნი. ვგრეც ემართებოდათ პირველ მყოფს აღამიანებსა: რაკი არ იცნობდნენ და არა ჰქონდათ შესწავლული თავის გარემო მყოფი ბუნება, იმათ არც იცოდნენ იმის მოხმარება რიგიანათა. ეს მაშინშდელი ხალხი სცხოვრებდა გაფანტვითა, არ არღერდნენ მთელ — მთელ საზოგადოებაებსა, რათგან არ იცოდნენ იმათ რა სასარგებლო იყო ამგვარი საზოგადოებები; რაკი არ იცოდნენ იმათა ბუნებისა არაფერი, არც იმის ძალა, არც იმის თვისება, ისინი ვერა ჰხმარობდნენ იმ ღონისძიებასაცა, რომ მიწილამ ამოვლოთ თავის სარჩო (ესე იგი არ იცოდნენ ხენა — თესვა და მოსავლის მოვლა და მოყვანა), აგრეთვე არ იცოდნენ ისიცი, რომ შესაძლო იყო ზოგიერთა გარეული პირუტყვებისა და ფრინველების დამინაურება, რომლითაც შეეძლოთ გამრავლება ამათი და ამათის მეწეობით მერე მიწის შემუშავებაც აღილი შეიქნებოდა, -- და ამასთანავე თვითონაც, როგორც თავის ხორცი, ქონით, ბეწვით, ტყავით, რძით და სხვა, შეიქნებოდნენ კაცის მსახდოებელნი და დამცველნი, და მოარჩენდნენ კაცს სამინელს ჯაფასა. რაკი ბუნებას არ იცნობდნენ და არა ჰქონდათ იმი-



სი ცოდნა, ისინი ვერ აძლევდნენ ბუნებას შემწეობასა, რომ ამ შემწეობით გაეღვიძებინათ ბუნებაში ნაყოფიერება და ამ ნაყოფიერებით შეემსუბუქებინათ კაცებს თავისი ცხოვრება, მაშინ ისინი სჯერდებოდნენ მარტო იმ საზრდოსა, რომელსაც აძლევდა იმათს ბუნება კაცის უშრომელათა, ესე იგი კაცი სცხოვრებდა მარტო მხეცების, ფრინველების და თევზ-ზედ ნადირობითა; აგრეთვე ტყის ხაბა-ხუბათი, მაჟალოთი და სხვა ნაყოფიერებითა, რომელსზედაც კაცს ღვენისა და ძეგნის მეტი სხვა არაფერი ზრუნვა არა ესარჯებოდარა. რალა თქმა უნდა, რომ, რაკი კაცი არ აძლევდა ბუნებას ღონისძიებასა, რომ იმას მოემატნა ნაყოფიერებისათვის და რაკი პირიქით, ბუნებას იმასაც ართმევდნენ, რაც ის კაცის შეუწევნელად ჰხადავდა, უეჭველია კაცს უნდა თან და თან საზრდო შემოჰკლებოდა. პირველი მიზეზიც ეს იყო რომ კაცი კაცის მტერი შეიქმნა და დაიწყეს ერთმანერთის სისხლის სმა. რაკი კაცი ასე გაფანტვითა და გაცალკევებითა სცხოვრობდნენ და რაკი იმათ ერთი ერთმანერთთან დამოკიდებულება არა ჰქონდათრა, ისინი ერთმანერთს შეჰხედებოდნენ ხოლმე მარტო ნადირობაში, ესე იგი საზრდოს მოპოვებაზედ, რომელიც არ იყო ყველასთვის საკმაო ზემოხსენებულის მიზეზისაგან, მაშინ რასაკვირველია, კაცი თავისავეთ კაცს მტერივით უყურებდა, რაკი ისინი, დამმეულნი, უნდა შესცილებოდნენ ერთმანერთს საზრდოსა. ამგვარი გაცხარებული ბრძოლა და ღვენა კაცისაგან კაცისა საზრდოს გულისათვის იყო მრავალი საუკუნოები. მინამ ცოტ ცოტათი ადამიანები არ დარწმუნდნენ იმაზედ, რომ ერთმანერთის ბრძოლასა და ღვენაში ღროს კარგვასა ისა სჯობს, რომ შაერთდნენ ერთათა

და ეს ამოდენა დრო მოიხმარონ სუყველამ ერთათ იმავე საზრდოს შესაძინებლათ, რომლისათვისაც ერთმანერთს ჰმუსრავენენ. რაკი აღამიანობამ იგრძნო ეს საჭიროება და შეარღვინეს საზოგადოებაები, მამინ ნახეს, რომ გარდა ამოდენა დროს მოპოვისა, რომელსაც ისინი ერთმანერთის შრომლის მაგიერათ იყენებდნენ ახლა საზრდოს მოსაპოვებლათ, იმათ დანახეს რომ საზოგადოების შერდგენას ჰქონია სხვა დიდი სასარგებლო მნიშვნელობაცა. აი რა სარგებლობა მოიტანა საზოგადოების შერდგენამა. რაკი კაცები ცალკ-ცალკე გაფანტვით სცხოვრებდნენ და იმის მაგიერათ, რომ ერთმანერთისთვის მიეცათ საქმეში შემწეობა, ისინი აღელვებულნი ეყვეთბოდნენ და ებრძოდნენ ერთმანერთსა, ამისგამო ყველას უნდა თავისი თავი ჯერ ერთი ესა დაეცვა თავის მტრისაგანა, აგრეთვე უნდა თითონაც თავის მტერს დასცემოდა და ცდილიყო იმის შემუსვრასა, მეორეც ესა უნდა კიდევ შეეძინა თავისთვის საზრდო, ტანთსაცმელი, ბინა, — ერთის სიტყვით თავის საჭიროება უნდა დაემაყოფილებინა და ამის გამო ერთი და იგივე კაცი თავის თავისა უნდა ყოფილიყო, მხედარიცა, მონადირეცა, მეთევზეცა, ღურგალიცა, მკედელიცა, კალატოზიცა, მკერვალიცა და სხვა. რალა თქმა უნდა ერთი კაცი იმას ყველაფერს ვერ მოისწრებდა და ვერც შეისწავლიდა და გავითარებდა ყველა ამ ხელობაებსა, რათგანაც ამოდენა საქმეში, არავის ამოდენა დრო არა ჰქონდა, რომ ყველას თითო ოროლა საქმე აეღო და კარგათ შეესწავლა იმათი შერდგენისა და მოვლინების კანონები და აქედამ გამოეტანათ ის სარგებლობა, რაც სარგებლობა შეიძლებოდა გამოტანილიყო; და მეტადრე იმისთანა ერთმანერთზედ მისევის დროს

რომ უფრო შეუძლებელი იყო რასმე საქმეზედ გულის და-  
დება, რადგან ყველა ყოველს წუთას ელოდა მტრის დაცე-  
მასა და ყველა უფრო იმ ფიქრში იყო გართული, რომ  
როგორმე მტრისთვის გაეცა პასუხი და მტერი ამოეტხვრა.  
რაკი საზოგადოებები შეარდინეს და მიმართეს იმ აზრსა,  
რომ სამაო ქონება შეეძინათ, მაშინ აღამიანებმა დაირიგეს  
და დაიყვეს ხელობა და საქმეები, და ყველამ ის ხელობა  
და საქმე ირჩია და აიღო, რომელიც უფრო ეხერხებოდა  
და ემარჯვებოდა: ზოგმა იყისრა საზოგადოების დაცვა და  
მტრის მოგერება (ამათ ეწოდებათ მხედრები), ზოგმა იყისრა  
მოყვანა და მოვლა მოსაელისა და სხვა შეუმზადებელის მა-  
სალისა (ესე იგი პურისა, საკლავისა, ნადირისა, რუინისა  
და სხ.); ზოგმა შემზადება შეუმზადებელის მასალისა (მაგ. ია-  
რალის კეთება, მზარეულობა, მკერვალობა, მჭედლობა, კალა-  
ტაზობა და სხ.) რაკი ამ გეარათ, — ვისაც რა ეხერხებოდა  
და ემარჯვებოდა, — დაიყვეს ხელობა და საქმეები და ყვე-  
ლა მარტო თავის არჩეულსა და მიწოდებულს საქმეს ადგა და  
რაკი კაცი მტერსაც მოგერებული შეიქმნა, იმასა რჩებოდა  
ბევრი დრო თავის გარშემო მყოფის ბუნების ყურის გლე-  
ბისათვის და თავის ხელობის საქმისათვის, მაშინ მიეცათ  
ღანისძიებაცა, რომ შეესწავლათ თვისება ყველა საქმეობისა  
და სხვა და სხვა მოვლინებისა, და, რაღა თქმა უნდა, მაშინ  
კიდევ უფრო მიხედნენ, რაზედ რა დონისძიება ეხმარათ და  
საიღამ რა სარგებლობა გამოეტანათ. ყველა თავის საქმისა  
და თავის ხელობიღამ ცდილობდა თან და თან უფრო მეტი  
ცოდნა გამოეტანა და სხვებისათვისაც გადაეცა ეს ცოდნა; და რაკი  
კაცები ახლა საზოგადოებებითა სცხოვრებდნენ, მაშინ ყვე-

ლას, ვისაცკი უნდოდა, შვედლოთ ერთმანერთისგან ესწავლოთ ყველა ხსლოთ მოპოენილი სწავლა და ღონისძიება და მერმე ამ სწავლითა და ღონისძიებაებითა თითონაც უფრო სუბუქათ უდგებოდნენ ამ საქმესა და თითონაც ცდილობდნენ იქილამ სხვა სარგებლობის გამოტანასა, ეგრე თითონაც ამას ახლა კიდეც სხვას ასწავლიდნენ, და რაკი ცნობა და ცოდნა რისამე ვრცელდებოდა, იმ საგანს თან და თან უფრო სასარგებლოთ ჰხდიდნენ და იყენებდნენ. ამ ზემოხსენებულის მაგალითებიდამა სჩანს, რომ რამდენიც უფრო გაცხოველებულა და გავრცელებულა ცოდნა და სწავლა, იმდენი კაცობრიობის კეთილ დღეობა წარმატებამი და სისრულემი წასულა.

## 3.

ეკონომიურის აზრით, იმ ხალხთ, რომელნიც ჰბადაბენ საზოგადო საჭირო ნივთებსა ჰქეიანთ ნაყოფიერნი: ისინი განიყოფებიან ორ კლასსათ: 1) კლასსი არის ყველზღდ უფრო გავრცელებული, ესენი არიან მიწის შემმუშავებელნი, ესე იგი, ის კაცი, რომელთაც მოჰყავთ და ჰპატრონობენ შეუმზადებელს მასალასა (Сырые материалы), მაგ. პური, საკლავი, მატყლი, ტყავი, ტყე და სხ. და 2) ხელოვნები და მექარხანები (მეფაბრიყები), არიან, რომელნიც ახალისებენ და ამზადებენ შეუმზადებელს მასალასა, ესე იგი, ამ შეუმზადებელს მასალას ისე აყვებენ, რომ უფრო სასარგებლო და გამოსაყენებელი შეიქნება, მაგალითად ავილოთ თუნდა მატყლი: მატყლს ხელოვნები აქცევენ სხვა და სხვა რიგს ქსოვილებათა და თელილებათა, რკინას აქცევენ იარაღათა და

სხვა მრავალ სახმარისათ, ხეს სახლებათა, კილოზნებათ, სკამებათ და სხვა. (\*) . . . . .

პირველი კლასისი აძლევს ბუნებას შემწეობასა, რომ რაც შეიძლებაოდეს ბლომათ მოიციეს ნაყოფი როგორც საქმელათა, ეგრეთვე ჩასაცმელ-დასახურაეთ და სხვა საქიროებისათვის; მეორე, როგორც ზემოთაცა ესთქეი, ამზადებს და ახალისებს ამ ნაყოფიერებას სახმარისათა, ესე იგი, ეს ორი კლასისი ჰზადებს ახლათ სხვა და სხვა სახმარისის კაცის საქიროებისათვის და ამისგამო ამ ორს პირველს კლასს (ესე იგი ხელოვნებს და მიწის შემუშავებლებს) უწოდებენ ნაყოფიერს.

. . . . . კაცობრიობისა და ყველა საზოგადოებასათვის არის საქირო და სამჯობინარო, რომ ემატებოდეს იმ მასალასა, რაც იმის სახმარისათ არის საქირო და ამისგამო იმათვის სამჯობინაროა, პირველი ისა, რაც ნაყოფიერნი კლასნი მეტნი იქმნებიან, და მეორე, რომ ამის (მიწის შემუშავებლების და ხელოვნების) ხელთ იმოღენა და იმისთანა ღონისძიება იყვეს, რომ ცოტა მუშა ხელს შეეძლოს მრავლის მოვლა და მოყვანა კაცის სახმარისის საგნებისა, და ახლა ვეცდები დაეამტყიცო, რომ ამ გვარი ღონისძიება (ცოტას ხელით ბევრის გაკეთება და მოყვანა) არის ცოდნა და სწავლა.

## 4.

ბუნებაში ძალიან ცოტაა იმისთანა საგანი, რომელიც იყვეს შერღვენილი მარტო ერთის ნივთიულისადამ და ყოველი საგანი

(\*) ნაყოფიერს საღსსავე ეკუთვნის იმ გვარი კაცნიცა, რომელნიც აგრეელებენ საღსში ცოდნასა და ამითი აძლევენ ღონისძიებასა რომ ნაყოფიერებას მოუმატონ.

არის უეჭველათ შერდგენილი სხვა და სხვა რიგის ნიეთეულები-  
 დამ, რომელნიც ერთმანეთს არაფრით სრულებით არა ჰგვანან და  
 როდესაც ერთათ შერგოვდებიან და შეთვისდებიან, -მეარდგე-  
 ნენ სხვა რიგს სხეულსა, რომელიც ბოლოს აღარც ერთს  
 თავის შერმადგენელს ნიეთს აღარა ჰგავს. პირველ--მყოფი  
 სხეულნი, ესე იგი, რომელნიც არ არიან სხვა ნიეთეულში  
 არეულნი, არიან წმიდა და მარტო, თავის თავის მეტი იმა-  
 თში სხვა ნიეთეული არ ურევია, ამ სხეულს ქვიან უ ბ რ ა -  
 ლ ო ს ხ ე უ ლ ი, (Простая тѣла) და იმ სხეულსა, რომე-  
 ლიც სხვა ნიეთეულებიდან არის შერდგენილი, ჰქვიან ნ ა კ -  
 რ ე ბ ი ს ხ ე უ ლ ი, (Сложное тѣло), რადგანაც ის არის  
 შერდგენილი სხვა და სხვა ერთათ შეკრულის ნიეთეულებიდან.  
 როგორც უბრალო, ეგრეთვე ნაკრები სხეულნი არიან ხოლ-  
 მე სამს რიგს მდგომარეობაში: ღაზ მზგავსოვნათ (ღაზის მს-  
 გავსათ, ესე იგი ჰაერის უთხელესათ და უსუმბუქესათ), თხ-  
 ლათ და მავრათ. ბუნებაში სამოც და ათამდინ არის უბრა-  
 ლო სხეული ცნობაში მოყვანილი, და მთელს სამყაროში  
 ან მარტო ეს სხეულნი იმყოფებიან მარტო თავის თავათ,  
 ან ყველა, რაცკი არის სამყაროში, ყველა ამ სეეულებიდან  
 არის შერდგენილი. დედამიწაზედ უბრალო სხეულებათ იპო-  
 ვებიან მეტალნი (რკინა, ვერცხლი, ოქრო და სხვა.) და სხვა  
 კიდევ თითო ოროლა ნიეთეული. სხვაკი ყველაფერი არის  
 ამ უბრალო სხეულებიდან შერდგენილი, ესე იგი, სხვა და სხვა  
 უბრალო სხეულთ, ერთათ შეკრებილთ, შეურდგენილთ ნაკრე-  
 ბი სხეული, რომელიც თავის შემარდგენელთ სხეულთ სრუ-  
 ლებით აღარა ჰგვანან. ენახოთ ახლა რამდენი ნაკრები საგ-  
 ნებია: 1) წყალი არის შემდგარი ორის ღაზიდან: წყალისმბა-

დიდამ და მკვათისმბადილამ, — ასე რომ სამს ნაწილს წყალ-  
ში ორი წილი წყალისმბადია და ერთი წილი მკვათისმბადი,  
ესე იგი წყალისმბადი ერთი ორათ ბევრია მკვათისმბადზედა.  
2) ქანგი არის შერდგენილი რუინისა და მკვათისმბადისაგან და სხ.  
ხიმიის საქმე ის არის, რომ იმან უნდა შეარ-  
დგინოს სხვა და სხვა სხეულიდამ რომელიმე ახალი  
სხეული, რომელიც აღარ უნდა ჰგვანდეს სრულებით თავის  
შემარდგენელს სხეულსა, და უნდა ეს სხეული დამალოს და  
დახსნას თავის შემარდგენელს ნაწილებზედა. როდესაც ორი  
ანუ რამდენიმე უბრალო სხეული შეარდგენენ სხვა ახალს  
სხეულსა, რომელიც ამათ სრულებით აღარა ჰგავს, მაშინ  
იტყვიან, რომ ამათ ერთმანერთის ხიმიური შეთვისება  
(Сродство) აქეთა; და თუ რამდენიმე უბრალო სხეული  
ერთათ შეკრეფილი და არეული, არ შეარდგენენ სხვა იმის-  
თანა სხეულსა, რომელსაც ამ თავის შემარდგენელების მი-  
სგავსება სრულებით არა ჰქონდეთ, ამას იტყვიან, რომ ამ  
სხეულთ არა აქეთ ხიმიური შეთვისებაო, მაგალითათ წყალ-  
დენო. წყალი და დენო ერთმანერთში არეული არ შეარ-  
დგენენ სხვა ახალს სხეულსა, რომელიც არა გვანდეს თავი-  
სს შემარდგენელს ნაწილებსა (წყალსა და დენოს), იმას  
მაშინვე შეეტყობა, რომ ეს წყალი და დენო ერთმანერ-  
თში არეულია და ეს ახალი სხეულიც არ იქნება, ეს იქ-  
ნება ნარევი სხვა და სხვა რიგის ნივთიერებისა; ამავე მდგო-  
მარეობაშია ჰაერი, რომელიც არტყია იმგვრგვლივ დედამი-  
წასა და რომელიც არის სიღრმით (ანუ სიმაღლით) სამოცდა  
ათის ვერსიდამ ას ვერსამდინ, და არის შერდგენილი ორი ღმირ-  
დამაზოტიდამ და მკვათისმბადილამ და ესენი შეარდგენენ ჰაერსა იმ

გვართ, რომ ასს ნაწილს ჰაერში იმყოფება სამოცდა ცხრა-მეტი წილი აზოტი და ოც და ერთი წილი მჟაეის მზადი, ასე რომ ჰაერში აზოტი ორ ნახევართ მეტია მჟაეისმზადზედ. ორს ლაზს გარდა ჰაერში იმყოფება კიდევ ცოტაოდენი ნაწილი ნახშირმჟაველისა, რომელიც არის ნაყრები სხეული და შერღვება ორის სხეულიდამ: ნახშირმზადიდამ და მჟაეისმზადიდამ. ჰაერი არ არის ნაყრები სხეული, ის არის უბრალო ნარევი სხვა და სხვა ნივთებისა. ხიმიური მოქმედება ამ მოქმედებაებთა ჰქვიანთ, რომლებს ძალითაც სხვა და სხვა რიგის სხეულებიდან შერღვება სხვა ახალი სხეული, რომელიც არა ჰგავს თავის შემარღვენელს სხეულებს; მცხანიური მოქმედება ჰქვიანთ იმ მოქმედებათა, რომლებიც სხვა და სხვა სხეულს მხოლოდ შეურევენ ერთმანერთში და შეუცვლიან სანახაობას დაჟი ვერ შეათვისებენ და ვერ შეარღვენენ სხვა ახალს სხეულსა; აი როგორც მაგალითათ ესთქვათ მიწის მოხენა: ჩვენ მამინ მხოლოდ სანახაობას უცვლით, ესე იგი, ვახვიერებთ და ამითი თვისებაჟი ისევ ისა რჩება.

ამას გარდა ყველა საგანი, რაცკი ბუნებაში იმყოფება, შეიძლება გაიყოს ორ კლასათ: პირველი კლასისი ორგანიული და მეორე კლასისი უორგანო. ორგანულნი სხეულნი გაერჩვიან უორგანო სხეულთაგან იმითი, რომ ისინი ცხოვრებენ და იხოცებიან (ესე იგი საზრდოებენ, იზრდებიან, სრულდებიან და ბოლოს იმლებიან თავის შემარღვენელ ნაწილებათა.) უორგანო სხეულნი არა სცხოვრებენ. გარდა ცხოველთა და მცენარეთა, ბუნებაში ყველა უორგანოა, მაგალითათ, ჰაერი წყალი, მიწა და სხ. ყოველი ორგანიანი სხეულნი არიან



ნაკრებნი და შერდგებიან ოთხის უბრალო სხეულიდამ: მკა-  
ვისმბადიდამ, და აზოტიდამ, წყალის მბადიდამ და ნახშირ  
ბადიდამ, რომელნიც მეტნაკლების ნაწილებითა სხვა და სხვა  
საგნისთვის არიან ერთათ შერდგენილნი და შეთვისებულნი.  
ხიმიას შეუძლიან ხსენებულის სამოცის უბრალო სხეულიდამ  
შეარდგინოს ხელოვნებითა ახალი უორგანო სხეულნი, მა-  
გალითად ამ ორის ღაზიდამ: წყალის მბადიდამ და მკავის  
მბადიდამ, შეარდგენს წყალსა. მაგრამ ამგვარის უბრალო  
სხეულის ერთათ შეერთებით და შეთვისებით, ვერ შეუძლიან  
ხიმიას უთესლოთ ორგანიულის სხეულის შერდგენა (\*), თუ-  
მცა დამლა თავის სახსრებზედ, ესე იგი, შემარდგენელ ნა-  
წილებზედ დამლა დაწვრილებით შეუძლიან და შეუძლიან კი-  
დეც წმიდათ აღრიცხოს რიცხვი და ვითარება ამ შემარდ-  
გენელის ნაწილებისა. იმ ხიმიის ნაწილს, რომელიც შესდ-  
გომია ორგანიულის საგნებსა (მცენარეს და ცხოველთა), ჰქ-  
ვიან ორგანიული ხიმი; ის ჰხსნის, თუ როგორ იზობება  
მცენარე ანუ ცხოველი, როგორა სცხოვრებს, იზრდება,  
სრულდება და სხვა; და ამისგამო არის ეს მეცნიერება დი-  
ან საქირო იმ კაცისთვის, რომელიც მისდევს მიწის მუშა-  
შაობასა. ვინც ეს მეცნიერება არ იცის, იმას არ შეუ-  
ძლიან რიგიანათ და მტკიცეთ მიწის მოვლა და მოხმარება.  
აი რას ამბობს ამაზედ ერთი ნემენცის მეცნიერი: „მინამ

(\*) ჭეორებით ვერ მისულა იქამდინ მეცნიერება. რომ ორგანიული  
სხეული შეარდგინოს, მაგრამ შეუძლებელი ვინ იცის! საკვირველი არ  
არის, რომ ესეც მოახერხოს მეცნიერებამ, როდესაც ამ გვარი მეც-  
ნიერება უფრო ხისრულესი შევაჯერ კსლაც იმედულობენ ამას ზო-  
გნი მეცნიერნი. რედ.

ეს მეცნიერება (ორგანიული ხიმია) შეიქნებოდა და განვითარდებოდა, მიწის მუშაობა იყო საქმე მხოლოდ ჩვეულებისა და იმის ნაყოფიერება იყო დამოკიდებული შენთხვევაზედ. ბევრი დრო გავიდოდა ხოლმე, მინამ მიწის მიმადევარს ბევრი წლის მოუხსაელობა და ტყუილათ შრომის დაკარგვა დაარწმუნებდა ამხედ, რომ ერთს მინდორზედ რომ ქერი მოდიოდეს, მეორეზედ კარგი პური მოვა; აგრეთვე მინამ ამხედ დარწმუნდებოდა, რომ მიწისთვის ნახვის დაყრა ზოგჯერ არამთუ სასარგებლო არ არის და პირ იქით დიხს საენებელიც არის და ბევრჯერ უნაყოფიერესს მიწას გარდაქცევს ხოლმე სრულებით უნაყოფოთ და უმოხსაელოთ, ასე რომ ბალახიც აღარ მოდის ხოლმე იქ რივიანათ; და რაც ორგანიული ხიმია განვითარებაში მიჰყავთ, მიწის მოვლა და სოფლიური მეურნეობა შეიქნა უფრო მტკიცე და ცნობიერი და შეიქნა მეცნიერებათ.

„ხიმეოსი, როდესაც დაშლის მცენარეს (ანუ ცხოველს) და დახსნის ნაწილ-ნაწილად ხიმეურათ (ხიმის მეცნიერების ძალითა), ის იცნობს და იტყობს რა მცენარე რა ნივთიულებიდან არის შემდგარი, და რაკი ყველა, რაც მცენარეში ნაწილებია, ყველა უეჭველათ უნდა იყვეს შესმული მიწიდან და ჰაერიდან, მამინ ხიმეოსი იტყობს რა მცენარისთვის რა საზრდო და რა მდგომარეობა არის საჭირო. აი ამისთვის არის საჭირო ხიმის ცოდნა. ხიმეოსს შეუძლიან თავისის ცოდნის ძალით შეიტყოს რა მცენარეს რა ალაგი მოუხდება, რა მცენარეს რა საზრდო უნდა; შეიტყობს რა მიწა რა მოსავლს მოიყვანს, რა ალაგი რა მცენარეს უფრო შეითევებს.

\* მიეცით ხიმეოსს ერთი მუჭა მიწა, რომ იმან ის დახსნას

ნაწილ-ნაწილათ, და ის მაშინვე ღმლის ამ მიწასა, შეიტყობს რა ნაწილებიღამ არის შემდგარი და ის მაშინვე გეტყვით სარწმუნოთა ამ მიწაში რა უფრო გაიზრდება და ეს მიწა რას უფრო მოიყენოს.

„უცეთუ რომელსამე მიწას აკლია რამე ნივთეული, რომელიც არის საჭირო რომლისამე მოსაველისათვის, ან მცენარესათვის, მაშინ ხიმყოფს შეუძლიან გითხრათ რა ნივთი არის საჭირო ამ მიწისათვის, რომ ის მცენარე, ან ის მოსაველი მოიყენოს, რომელნიც უამათოთ არ მოვიდოდნენ აქა; ამის გულისთვის, რომ იმან შეიტყოს რა მიწას რა მოვლა უნდა და რა პატივი მოუხდება, ხიმყოფს იღებს სხვა და სხვა რიგს სასუქსა, შლის და ხსნის იმათ თავის სახსრებზედ (ნაწილ-ნაწილ) და მასუკან გაიგებს, რომ ამ პატივში არის ის ნაწილები, რაც საჭიროა ამა და ამ მიწისთვის და მოსაველისთვის თუ არა.“

რასაკვირველია, თითქმის ყოველს მინდორზედ საკმაოდ აპოვება ის საზრდო, რაც არის საჭირო ყოველის მცენარისთვის; მაგრამ რაკი ერთსა და იმავე მოსაველს მიუყვინებენ ერთსა და იმავე მიწაში ყოველს წელიწადსა, მაშინ უეჭველია, რომ მიწის ნაწილები, რომელიც საჭიროა ამ მოსაველისათვის (მცენარისთვის), თან და თან ამოაქვს ამ მოსაველს მიწიღამ და თან და თან მიწა რჩება ცარიელი ამ ნაწილებიღამ და ბოლოს იქამდინ მიაღწევს საქმე, რომ ეს მიწა სრულებით აღარ მოიცემა მოსაველსა, ესე იგი, რაკი ნათესს მცენარეს აღარ ექნება საზრდო ამ მიწაში, მაშინ ვეღარც გაიზრდება ეს მცენარე აქა. თუ გვინდა, რომ მიწა არ მოიღალლოს და ყოველთვის ისეთივე ნაყოფიერი იყვეს, როგორ-

რიც ყოფილა, მაშინ უნდა ისე მოვექცეთ, რომ რაც მოსავალს მიწილამ საზრდო ამოაქვს, ეს ნაწილები ისე დაუბრუნოთ ამ მიწას სასუქათა, მაშინ ამოსავალიც აღარ იკლებს.

დედამიწის ზურგზედ ხდება მუდამ ნივთიულის (Materia) ცვლილება. უორგანო სხეულში მიწის ნაწილნი: წყალი, ჰაერი და სხვა, ხიმიურის მოქმედებით, რომელნიც ჰხდებიან მცენარების თესლეულში, შეიცვლებიან და იქცევიან ორგანიულათ, ესე იგი მცენარეთ. მცენარენიც თავის მხრივ, როცა შთაინთქმიან და შეიჭმევიან ცხოველებისაგან, შეიქნებიან ცხოველის ძვალ რბილათა; და ცხოველი, როდესაც მოკვდება, იშლება თავის შემარდგენელს ნაწილებათა და ამის შემარდგენელნი ნაწილნი არიან უორგანონი,

მიწის მუშის სამეცადინო ის უნდა იყვეს, რომ იმან შეისწავლოს კარგათ ამ ნივთიულებაების შეცვლა და ერთი ნივთიულიდამ მეორე ნივთიულათ გადაქცევა (ხიშია), ესე იგი, იცოდეს შეცვლა და გარდაქცევა როგორ და რა კანონით მოხდება, და ამ ცოდნის ძალით მისცეს შემწეობა ბუნებასა, რომ ამ ბუნებამ უფრო ბევრი და სასარგებლო ნაყოფი და საზრდო მოსცეს ამასა. უორგანო საგანნი (წყალი ჰაერი და სხვა) იმყოფებიან დედამიწაზედ შხათა, ასე რომ იმათს მოსამზადებლათ კაცის ხელი საჭირო აღარ არის; და ორგანიულიცი (მაგალითათ ლობიოს, ხორბალს, თივას და სხვა.) უნდა კაცის ხელი და ცოდნა, უნდა იცოდეს ამათი შემზადება და მოვლა, ანუ უკეთა ესთქვათ, უნდა შეამზადოს კაცმა ესენი იმ ნივთიულებებიდამ, რომლიდამაც არიან შემდგარნი იმავე თავდაპირველიდამევე. მაგრამ, როგორც ხე-მოთაცა ესთქვით ამათს მოყვანას ჯერ ყველაზედ უფრო თესლეულიდამევე უნდა მოვლა, უთესლოთ ორგანიული სხეულ-

ნი არას დროს არ მოვლენ. ამისგამო მხენელ — მთესველმა უნდა იცოდეს თვისება და შერმაღვენელობა ყოველის მიწისა და უნდა ყოველს მოსაეალოს (მცენარეს) მისცეს ისეთი ადგილი, სადაც ის უფრო კარგათ მოვიდოდეს, ესე იგი, სადაც იყვეს ყოველი საჭირო ნაწილი ამ მცენარის სასაზრდოებლად, ანუ ამ მიწას უნდა მისცეს ეს ნაწილები, რომ ამ მცენარებმა ისაზრდოონ (ამასა ქვიან ნამდვილი სასუქის მიცემა), რაკი ამ გვართ ეცოდინება მხენელ მთესველს მიწის ამორჩევა და სასუქის მიცემა, თუ საჭიროა, მაშინ ეს აფხვიერებს ამ მიწას, ესე იგი ჰხნავს, აზნევს შიგ თესლას; მაშინ წყალი და ჰაერი ადვილათ გასტანებენ მიწაში და იქ იმ ნაწილებთან ერთათ, რომელნიც საჭირონი არიან აქ დათვისილს მცენარისთვის, შეარღვენენ იმ თვისებასა, რომელიც არის საჭირო დათვისილის მცენარის მოსაყენათა; შემდგომ წყლისა და სითბოს შემწეობით, იწყობა თესლში ზრდა და აღმოცენება: თესლი იკეთებს ფერსებებსა, რომელნიც სწუწენიან მიწის ნიადაგიდამ იმ ნაწილებსა, რომელნიც არიან მცენარის აღსაზრდელათ საჭირო და ამ თესლის ნაწილებში, რომელითაც ჰქვიანთ უჯრედი (клеточка), იწყობა გადახალისება მიღებულის საზრდოსი და აქედამ სდგება ის მცენარე, რომელსაც ეკუთვნის თვით თესლი.

ჩვენ აქ ვილაპარაკეთ მარტო იმაზედ, რომ მიწის მუშისთვის არიხ საჭირო ორგანიული ხიშია, მაგრამ მიწის მუშისთვის მარტო ეს არ არის საკმაო, იმისთვის კიდევ მრავალი საგანია საცოდნელათ საჭირო ბუნებისთვის მცენიერებიდამ (ბუნებითი მცენიერებანი არიან, რომელნიც ასწავლიან სრულიათ ბუნების მდგომარეობასა, კანონებსა და ვითარებასა); მა-

გალითათ მისი შემუშავებულმა უნდა იცოდეს მეხანია (მეცნიერება მშინებზედ), რომ შეეძლოს მარჯვეთ და მალე მისი შემუშავება (მოხენა, დაფარცხვა, რუების გაყენა მოსარწყვათა და სხვა), იმ რიგათ რომ შეამციროს სამეწოლო დროგათიბეასა, მომქასა, გაღეწვასა და სხვა მუშაობამი. ეს კიდევ ცოტაა, რომ მარტო ის იცოდეს მისი შემუშავებელმა, რაც ზემოთ გეითთქვამს: იმან უნდა იცოდეს კიდევ ისა, რომ ზოგს ალაგას, სადაც ქარი ჰქრის, მოდის სხვა მცენარე; ზოგი მცენარე მოდის უფრო უქარო ალაგას; ზოგი იმისთანა ალაგას, სადაც დამდგარი ჰავაა (ესე იგი იმისთანა ადგილი, სადაც არც ძალიან სიცხე, არც ძალიან სიცივე არ იყის); ზოგს მცენარეს უხდება ნიადაგ სიცივები; ზოგს ხოლოთ ზაფხულის სიცივე; ზოგს უხდება ზამთრის სიცივე და სხვა; ამისგამო არის საჭირო, რომ მისი მიმადევარმა იცოდეს ვრცლათ მრავალი მეცნიერება, რომელნიც ამ შემთხვევაში არიან იმისთვის საჭირო. ესე იგი უნდა შესწავლოს ჰავა, გაიგოს რა მცენარე რა ჰავას ეკუთვნის და რა ჰავას შეიწყნარებს, -- ერთის სიტყვით მამულის მომვლელმა უნდა იცოდეს კარგა ფაზიკა (მეცნიერება, რომელიც ასწავლის და იკვლევს ბუნების ძალასა, მაგალითათ: სიმძამისა სინათლისა, სითბოსი, მაგნიტიზმისა და ელექტრიზმის ძალასა), მეტეროლოგია (ეს მეცნიერება ასწავლის ჰაერის მოვლინებაებზედ: ქარის მოძრაობაზედ, რომლის შემწვობითაც მოდის წვიმა, რწყავს დედამიწასა და აძლევს მცენარეთ გაზდის შემწვობასა); კლიმატოლოგია (მეცნიერება ჰაერის შესახებ) და სხვანი. სითბოს მოფენა და მეტნაკლებობა დედამიწაზედ, ქარის ბერვა და სხვა ჰაერის მოვლინებები არიან დამოკიდებულნი იმაზედ, რა მდგომარეობასაც დედამიწის სიმეგრეველმ

შილებს შვის შესახებ, დელამიწის მოძრაობაზედ შვის გარშემო, დელამიწის ზურგის ნაშენობაზედ, განყოფილებაზედ წყლისა და ხმელისა, მიმართულებაზედ ხმელეთისა (Материкова), შთებრსა და სხვა. ესე იგი უნდა იცოდეს ასტრონომია, (რომელიც ასწავლის სამყაროს მიმართვასა და მოძრაობაზედ;) გეოგრაფია (რომელიც არის სწავლა მიწის შესახებ). ერთის სიტყვით ამ ჩვენის ზემოთქმულების სიტყვებიდამა ცხადათა სჩანს, რომ თუ გენდა რიგიანათ და სარგებლიანათ მოვიხმაროთ მიწა, უნდა საფუძვლიანათ ვიცოდეთ ყოველი სწავლა ბუნებით მეცნიერებიდამ (ბუნებითი მეცნიერებები ჰქვიანთ იმ მეცნიერებათა, რომელნიც ასწავლიან ბუნების კანონებსა და მოვლინებაებს საზოგადოთ.)

ჩვენ აქ ვილაპარაკეთ იმაზედ, თუ რაუნდა იცოდეს მის შემმუშავეებელმა, ესე იგი ყოველმა, ცოტაც არის რიგიანათ მომართული საზოგადოების მომატებულმა ნაწილმა.

შემდეგ მიწის შემმუშავეებლებისა უჭირავთ ყველაზედ მომატებული ნაწილი საზოგადოებაში ყოველ რიგს ხელოსნებსა და მექარხნეებსა (ეს ნაწილი საზოგადებისა არიან ისინი, რომელნიც შეუმზადებელს მასალას (Сырой материалъ) ამზადებს სახმარისათ, ესე იგი, ახალისებს და აკეთებს ისე, რომ მოიხმარებოდეს, როგორც საქირა; მაგალითათ უბრალო რკინიდამ აკეთებენ ნალებსა, ცულებსა, მატყლიდამ — შალებსა, მაუდსა, კანაფიდამ ტილოებს, ბამბიდაშითებსა და სხვა. ამის გამო ხელოსნებმა და მექარხნებმაც უნდა იცოდნენ რომელიმე მეცნიერებანი, რომ უფრო მარჯვით და კარგათ შეეძლოთ მომზადება და გაკეთება შეუმზადებელის მასალისა, მაგალითათ იმათ უნდა იცოდნენ ფიზიკა, ხიმია და მეხანია;





იცნობს თავისსავე ბუნებას. მინამ ის ამას არ გაიცნობს და არ ეცოდინება ბუნების სიმდიდრე, ბუნების კანონები და ამ ბუნებიდამ უხვათ საზრდოს გამოტანა, მანან რამტონიც უნდა ჩვენ მოესტკეათ, ის ისევ ის ღარიბი. . . და უღონო ღარიბება, რაც ეხლა არის. . . . .

თუ არ მიეცა ცოდენა. ეხლა კიდევ ცოტა ხალხია და მაშულო საქმაო; აგრეთვე ჯერ არც მიწა ისე მოღლილი და კიდევ საქმაო საზრდოს იძლევა, მაგრამ მაშინ აქნება უბედურება, რომ ხალხი გამრავლდება, მიწები მოიღლება, ტყეები გაიჩეხება, რომლისა გამოც წვიმებიც და წყლებიც შემცირდებიან. ეხლა ყოველი მეცადინეობა ევროპის სწავლულებისა არის მიპყრობილი იმაზედ, თუ როგორ გააერცელონ ცოდენა ხალხში და ეს მეცნიერნი კი არ მოსტკეამენ და სტირიან, რომ იმათ არას უგონებენ; ისინი ასწავლიან ხალხს ყოველს ღონისძიებასა, რომლითაც შეძლოთ იმათ თავისი თავის შველა, ისინი იგონებენ იმათთვის სხვა და სხვა ღონესა, რომ მისცენ შემწეობა იმათს საშველს გზასა, და ამათ კიდევ უგონებენ, რათგან ხალხი ჰხედავს მართალს საქმესა და არა ცარიელს ბაქიბუჭსა და ტიტინსა; ხალხი ხედავს, რომ იმისი წინამძღონი მართლა მცოდნენი, გამოცდილნი და გულის შემატკეარნი არიან და უგონებენ იმთენათ მაინც არის, რამდენათაც არ უმლიან იმათ ამათს გაგონებასა და ამათს სწავლებაზედ დადგომასა. ჩვენ? ჩვენ რილათი მოგვაქვს თავი და რის პატრონები ვჩივით, რომ ყურს არ გვიგდებენო? ან რას ვამბობთ, რა უნდა გავიგონოთ? ან, — ჩვენ სინიდის ქვეშა ვსტკეათ, — რა ვიცით და რას ვასწავლით ხალხსა, რომ ყური გვიგდოს და იმანაც ისწავლოს?! თუ გვინდა რომ გავი-

გონონ, როგორც ზემოთაცა ესთქვი, ჯერ ჩვენ უნდა ჩამე  
ვისწავლოთ, მოვეშალოთ ხალხის მასწავლებლებითა, მერე  
ეს სწავლა უჩვენოთ ხალხსა და გამოუსახოთ, და მერე რო-  
დესაც არ გაგვიგონებენ. . . . . დაესხდეთ  
და მოესთქვათ: არვინ ყურს არ გვიგდებსთქო.

ქრისტე. მამაცაშვილი.

6 იანვარს, 1867 წელს.

ს ი ა. 1867 წლის ცისკარზედ ხელის მომწერთა.

ტფლისში.

- 72 თ. ნიკოლაოზ ჭავჭავაძე.  
დავით ყიფიანი.  
თ. დიმიტრი აბხაზოვა.  
თ. კოსტანტინე ჭავჭავაძე.  
თ. ზურაბ ავალოვი.  
ახალცახეში.  
ივანე მარსურაძე.  
მიხეილ მუსხელიანი.  
პავლე მაჭავარიანი.  
გორში.
- 80 ალექსანდრე კვალიფვი.  
იაკობ მღებროვი.

ივანე სულხანოვი.

თელავში.

სფირდონ ჭავჭავაძე.

შურაში.

თ. ლევან მელიქოვი.

ვასილ სარაჯოვი.

სოხუმში.

თ. გრიგოლ შარვაშიძე.

ყუარღში.

თ. იასე ჭავჭავაძე.

ფოთში.

თ. მამია გურიელი.

ბაქოში.

აფაქუმ ვერმიშოვი,

პიატიგორსკში.

90 თ. ზაქარია ჭავჭავაძე.

ორბირში.

91 თ. მიხეილ ერისთავი.

1 8 6 7 წლის

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფლისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით, 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუიას, სჟუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მშინვე აცნობოს ამ აღრესით:

„ცისკრის რედაქციაში ტფლისს.“